

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ნინო ზაალიშვილი

ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა  
სისტემის ენებში

(ქართული, რუსული და ესპანური  
ენების მასალის მიხედვით)

სადოქტორო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუნუ გელდიაშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

თბილისი

2018

## შინაარსი

აბრევიატურების ჩამონათვალი .....	4
ანოტაცია.....	6
Annotacion .....	8
შესავალი .....	9

### თავი I. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა

1.1. ფრაზეოლოგიის კვლევის ისტორიიდან .....	15
1.2. რიცხვითი სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი.....	20
1.3. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ზოგადი დახასიათება ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში .....	30
1.3.1 იდიომი .....	34
1.3.2 სახელური იდიომები .....	36
1.3.3 ზმნური იდიომები .....	40
1.4. ნუმერაციულ ელემენტთა ფრაზეოლოგიზმების აქტიურობა .....	43
1.5. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია სემანტიკური კავშირის ხარისხის მიხედვით .....	47
1.5.1 ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია გრამატიკულ კრიტერიუმთა მიხედვით .....	52
1.6. ნუმერაციული კომპონენტების ადგილი ფრაზეოლოგიზმებში.....	57

### თავი II. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკა

2.1. ენა და კულტურა .....	60
2.2. რიცხვების სიმბოლიკა ქართული, რუსული, ესპანური ენების ნაციონალურ კულტურებში .....	63
2.3. ლექსემა „ერთი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	72
2.4. ლექსემა „ორი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	78
2.5. ლექსემა „სამი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	88

2.6. ლექსემა „ოთხი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში.....	90
2.7. ლექსემა „ხუთი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	91
2.8. ლექსემა „შვიდი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	92
2.9. ლექსემა „ცხრა“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	100
2.10. ლექსემა „ათი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში.....	101
2.11. ლექსემა „ორმოცი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში ...	102
2.12. ლექსემა „ასი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	102
2.13. ლექსემა „ათასი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში .....	104
2.14. სომატური ერთეულების შემცველი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში .....	106
2.15. ფრაზეოლოგიზმთა ეკვივალენტობის საკითხისათვის .....	112

### **თავი III. ნუმერაციის შემცველი ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში**

3.1. დისკურსი, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ობიექტი .....	118
3.2. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში .....	122
3.3. წინადადებათა ტიპები ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებით .....	127

ძირითადი დასკვნები .....	132
დამოწმებული ლიტერატურა.....	143
დანართები.....	150

## აბრევიატურების ჩამონათვალი:

ფა	ფრაზეოლოგიური აქტივობა
ნფე	ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეული
MAC	რუსული ენის აკადემიური ლექსიკონი
BAC	რუსული ენის აკადემიური, ნორმატიული განმარტებით - ისტორიული ლექსიკონი
NUM	რიცხვითი სახელი
NUMBER	რიცხვი
N	სახელი
V	ზმნა
ART	არტიკლი
ADJ	ზედსართავი სახელი
ADV	ზმნიზედა
DEM	ჩვენებითი ნაცვალსახელი
DO	პირდაპირი ობიექტი
PRO	ნაცვალსახელი
POSS	კუთვნილებითი ნაცვალსახელი
PERS	პირის ნაცვალსახელი
NEG	უარყოფითი ნაწილაკი
PREP	წინდებული
CONJ	კავშირი
NP	სახელური შესიტყვება
VP	ზმნური შესიტყვება
VN	საწყისი

CASE	ბრუნვა
CLASS	ბრუნვის ტიპი
Adv	ვითარებითი ბრუნვა
Dat	მიცემითი ბრუნვა
Erg.	მოთხრობითი ბრუნვა
Gen	ნათესაობითი ბრუნვა
Ind	თხრობითი კილო
Ins	მოქმედებითი ბრუნვა
Nom	სახელობითი ბრუნვა
SERIES_I	I სერია
SERIES_II	II სერია
SERIES_III	III სერია
Sg	მხოლოდითი რიცხვი
Pl	მრავლობითი რიცხვი
VI 1/2	ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნა
VT 2/3	ორპირიანი ან სამპირიანი გარდამავალი ზმნა

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში „ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით)“ შესწავლილია რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა, სემანტიკა და მათი ფუნქციონირება მხატვრულ დისკურსში; ყურადღება გამახვილებულია ასევე ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე.

**შესავალში** საკვლევი ენების ზოგადი ფრაზეოლოგიური სურათია აღწერილი, რაც ცხადყოფს, რომ იგი უნივერსალურია, ახასიათებს ყველა ენას და უპირატესად გადმოსცემს სამყაროს აღქმის ნაციონალურ თავისებურებებს; განსაზღვრულია ნაშრომის მიზანი და ამოცანები; დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, გამოყენებული კვლევის მეთოდები, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება; წარმოდგენილია ნაშრომის სტრუქტურა, საანალიზო წყაროები და აპრობაცია.

ნაშრომის **პირველ თავში** მიმოხილულია ფრაზეოლოგიის შესწავლის ისტორია; ზოგადად, რიცხვითი სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი და როგორც ფრაზეოლოგიის ერთ-ერთი კომპონენტი; შესწავლილია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა და გამოკვეთილია ამ მიმართებით არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები. გაანალიზებულია 7 ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში დადასტურებული 706 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეული. გამოკვლეულია ნუმერაციულ ელემენტთა ფრაზეოლოგიური აქტიურობა; ასევე, მოცემულია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია სემანტიკური კავშირის ხარისხისა და გრამატიკულ კრიტერიუმთა მიხედვით, რამაც საშუალება მოგვცა, მიგველო საანალიზო ენების ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტატისტიკური მონაცემები. აქვე მიმოხილულია ნუმერაციული კომპონენტების ადგილი ფრაზეოლოგიზმებში.

ნაშრომის **მეორე თავში** მოცემულია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის კონტრასტული სიღრმისეული კვლევა. შესწავლილია რიცხვითი სახელების სიმბოლიკა. გარდა აბსტრაქტული, რაოდენობრივი ან რიგობითი მნიშვნელობისა, ენაში რიცხვს ენიჭება რაღაც დამატებითი აზრი, იგი იძენს განსაზღვრულ კონოტაციას, ხდება შეფასებისა და სიმბოლიზაციის ობიექტი.

ნაშრომის მესამე თავში შესწავლილია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ფუნქციონირების საკითხი მხატვრულ დისკურსში. გაანალიზებულია წინადადებათა ტიპები ქართველი, რუსი და ესპანელი მწერალების 30-ზე მეტი ნაწარმოების მიხედვით.

უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვების შედეგად, ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები, მართლაც, მეტად საინტერესო საკვლევი მასალაა, როგორც თითოეული ენის, ისე საერთო (სამი ენის) მახასიათებლების გამოსავლენად.

## Annotation

The dissertation thesis: “Numeral Phraseological Units in Different Structure Languages (based on the material of Georgian, Russian and Spanish languages)” has studied the structure of numeral phraseological units, their semantics and functioning in artistic discourse; there is also an emphasis on linguistic and extra linguistic factors.

The **introduction** describes general phraseological picture of the study languages, which makes it clear that the world's phraseological image is universal; it is characteristic of all languages and predominantly reveals the national peculiarities of the perception of the universe. The goal and objectives of the thesis have been defined; the actuality of the research topic, the scientific novelty of the research, the methods used, the theoretical and practical value of the thesis have been substantiated; the structure of the thesis, the analyzed sources and the approbation is presented.

**The first chapter** of the thesis presents the history of phraseology; numeral as a part of speech and as one of the components of phraseology; the structure of numeral phraseological units has been studied and the isomorphisms and alomorphisms have been distinguished. We have analyzed 706 numeral phraseological units identified in seven phraseological dictionaries. We have explored the phrase-generating activity of numeral elements; also, there is given classification of numeral phraseologisms according to the degree of semantic connection and grammatical criteria, which enabled us to get interesting statistical data for numeral phraseologisms of the subject languages. We have also reviewed the place of numeral components in phraseologisms.

**The second chapter** of the work describes the contrastive in-depth research of semantics of numeral phraseology. The numeric symbols have been studied. In addition to abstract, quantitative or ordinal significance, the number acquires a specific connotation in the language and becomes the object of evaluation and symbolism.

**In the third chapter** of the thesis we have studied functioning of phraseologisms in the fictional discourse. Based on the works of more than 30 Georgian, Russian and Spanish writers, types of sentences have been analyzed.

As a result of observing a number of illustrative materials, we present the research outcomes in **the concluding part of the thesis**, which unequivocally proves that numeral phraseological units are truly interesting research materials in order to detect peculiarities of each language and the common features (of the three languages).



## შესავალი

ფრაზეოლოგია ბოლო ათწლეულში მეცნიერ-ლინგვისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, როგორც რთული და თვითმყოფადი მოვლენა ენისა, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ერის კულტურულ სპეციფიკას. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი - ესაა გარემომცველი სინამდვილის კონცეპტუალური აღწერის ხერხი ფრაზეოლოგიის საშუალებით. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი უნივერსალურია, იგი ახასიათებს ყველა ენას და უპირატესად გადმოსცემს სამყაროს აღქმის ნაციონალურ თავისებურებებს. სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში. გენეტიკურად არამონათესავე ენების შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლა, როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში დაიწყო, როდესაც ენათა შედარების საფუძველზე შემუშავდა მათი სტრუქტურული ორგანიზაციისა და კლასიფიკაციის პირველი პრინციპები (Курчаткина 2008: 5).

ტიპოლოგია - ზოგადად მოძღვრებაა ტიპის შესახებ. ეს არის საგანთა ან მოვლენათა აღწერა და დაყოფა ჯგუფებად ერთგვაროვან ნიშან-თვისებათა კომპლექსის საფუძველზე. განმსაზღვრელია დამახასიათებელი ნიშნები, ქმედებათა ნიმუშები და ტიპის განსაზღვრისათვის შესაბამისი სხვა ასპექტები. ენის ტიპოლოგიაში რელევანტურია, როგორც ცალკეული ნიშან-თვისებები, ასევე, უფრო ფართო, ბევრის მომცველი მომენტებიც - სტრუქტურული (მორფოლოგიური), ფუნქციონალური და სულიერ - მსოფლმხედველობრივი მომენტები (ბახტაძე 2010: 12).

ტიპოლოგიის, როგორც დისციპლინის, დღევანდელი გაგება უკავშირდება გეორგ ფონდერ გაბელენცის სახელს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გერმანელმა ენათმეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ენათა ტიპოლოგიურ კვლევაში - დაწყებული ძმები შლეგელებით და დამთავრებული ფინკით, ასევე, ამერიკული ანთროპოლოგიური ტიპოლოგიის წარმომადგენლებმა - ედუარდ სეპირმა, ჯოზეფ გრინბერგმა, პრადის სკოლამ სტრუქტურალისტური ტიპოლოგიითა და თანამედროვე ლინგვისტიკის ჩარჩოებში მოქცეულმა ტიპოლოგიურმა გამოკვლევებმა (ბახტაძე 2010: 14).

ენათა შეპირისპირებით - ტიპოლოგიური კვლევა შეიძლება მოხდეს ორ დონეზე: ენის, როგორც მთლიანობის, დონეზე - ასეთი კვლევების მიზანია, გაარკვიოს რითი

განსხვავდებიან ენები ერთმანეთისაგან, თუ როგორ არის დანახული სამყარო ამა თუ იმ ენაში სხვა ენებისაგან განსხვავებით და ენის რომელიმე ქვესისტემის დონეზე; ასეთი კვლევებისას ერთმანეთს უპირისპირდება მთლიანი პარადიგმები, რომელთა კვლევა გულისხმობს, რომ შეუძლებელია ორი ენის შესაბამისი პარადიგმების სტრუქტურათა აბსოლუტური დამთხვევა. ენის ერთ-ერთ ასეთ ქვესისტემას წარმოადგენს ფრაზეოლოგიური სისტემა.

ამკარაა, რომ შეპირისპირებითი ფრაზეოლოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან განსაკუთრებულად განვითარდა. იგი მიზნად ისახავს ფრაზეოლოგიური სისტემების შეპირისპირებას, როგორც მონათესავე, ასევე, არამონათესავე ენების სისტემებში. მთავარი ამოცანაა, პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორცაა: რაში მდგომარეობს არსებითი და ღრმა განსხვავებანი ორი (ან მეტი) ენის ფრაზეოლოგიურ სისტემებს შორის, როგორ წარმოჩნდებიან ისინი ენის ძირითად - ფუნქციონალურ-სემანტიკურ, ფორმალურ, სტრუქტურულ და აზრობრივ ასპექტებში, რა შიდაენობრივი თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არიან ისინი განპირობებულნი.

**ნაშრომის აქტუალობა** გამომდინარეობს ფრაზეოლოგიის შესწავლის თანამედროვე ამოცანებიდან და განისაზღვრება არამონათესავე ენებში ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ანალიზის აუცილებლობით, რომლის მიზანია, ჩვენი კვლევის შემთხვევაში, შეავსოს ქართული, რუსული და ესპანური ფრაზეოლოგიის შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის სფეროში დარჩენილი ხარვეზები.

რიცხვითი სახელები მიეკუთვნებიან ენის უძველეს და ერთ-ერთ აქტიურ ფენას; ამავე დროს, რიცხვითი სახელების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს ფრაზეოლოგიური წარმოქმნის (შემდგომში ფრაზეოლოწარმოქმნის) პროცესში. ასეთი ფრაზეოლოგიზმები გამოირჩევიან ექსპრესიულობით და დიდი რაოდენობით დასტურდება სხვადასხვა სისტემის ენებში.

**მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს ამგვარი ტიპის კვლევის პირველ მცდელობაში. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები არ გამოიყოფოდა ცალკე ჯგუფად და არ წარმოადგენდა ვრცელი გამოკვლევის ობიექტს; დღემდე ეს ჯგუფი არ არის სიღრმისეულად შესწავლილი. მისი ანალიზი სამი ენის მასალაზე (ქართულის, რუსულის და ესპანურის) დაყრდნობით, კონტრასტულ

ჭრილში, პირველად იქნება წარმოდგენილი ჩვენს ნაშრომში, რაც, უდავოდ, ხაზს უსვამს მის მეცნიერულ სიახლეს.

**ნაშრომის მიზანია** ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულების ენობრივი ბუნების სიღრმისეული შესწავლა თანამედროვე ლინგვისტური მეთოდების მეშვეობით; ნუმერაციული (რიცხვითი სახელების შემცველი) ფრაზეოლოგიზმების მსგავსება-განსხვავებების დადგენა არამონათესავე (ქართულ, რუსულ და ესპანურ) ენებში; მათი სემანტიკის თავისებურებების გამოვლენა; ყურადღების გამახვილება ზემოთ დასახელებული ენების სისტემების თავისებურებებზე, ასევე, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ჯგუფს სხვადასხვა ენების მყარი გამონათქვამების ფრაზეოლოგიურ ფონდებში და მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა აუცილებელია.

**ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს** ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სისტემატიზაცია და ანალიზი კონტრასტულ ჭრილში. კერძოდ, კვლევის ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორცაა:

1. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურის აღწერა;
2. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის შესწავლა შედარებით - ტიპოლოგიური ანალიზის მეშვეობით, როგორც ენის შიდა სტრუქტურაში, ასევე, ექსტრალინგვისტურშიც;
3. ფრაზეოლოგიური ერთეულების კავშირების განხილვა;
4. ყველა ცალკე აღებული ნუმერაციული კომპონენტის ფრაზეოლოგიური პოტენციალის შესწავლა;
5. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების აღწერა ჯგუფების მიხედვით: რომელი ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ უნივერსალიებს, რომლები დასტურდება სამ ენაში და რომლები ახასიათებს მხოლოდ ამა თუ იმ ენას.

**თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:** ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ნუმერაციული ერთეულების შემცველი ფრაზეოლოგიზმები ტიპოლოგიურად განსხვავებული (ქართული, რუსული და ესპანური) ენების ფარგლებში, შესწავლილი

იქნება მათი მსგავსება-განსხვავებანი სტრუქტურული შემადგენლობისა და სემანტიკის ბაზაზე, მოხდება სხვადასხვაენობრივ ფრაზეოლოგიზმთა ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება, რაც ერთ-ერთ თეორიულ ინოვაციად შეიძლება იქნეს აღქმული ლინგვისტურ კვლევათა სფეროში.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულების** არეალში იგულისხმება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში; ქართული, რუსული და ესპანური ენების ლექსიკოლოგიის სალექციო/სასწავლო კურსებში, არამონათესავე ენათა ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირების სალექციო კურსში, თარგმანის მრავალენოვანი ლექსიკონების შედგენისას და სხვა.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში დასმული საკითხის კვლევისათვის ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებით - ისტორიული; თვისებრივი; ტიპოლოგიური (შედარება-შეპირისპირებითი); აღწერითი; რაოდენობრივი.

თანამედროვე ლინგვისტიკა ხასიათდება 2 ძირითადი ტენდენციით: ერთი მხრივ, მის მიზანს წარმოადგენს ცალკეულ ენათა ადეკვატური აღწერა და ინტერპრეტაცია, მათი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი - გამოკვეთილად იგრძნობა ლინგვისტთა მისწრაფება ენობრივ უნივერსალიათა ტიპოლოგიური რაკურსით კვლევისაკენ ენის ყველა დონეზე. აღნიშნული ტენდენციები ვლინდება მსოფლიო ენათა ლექსიკური და ფრაზეოლოგიური შემადგენლობის შესწავლის დროსაც, რაც გულისხმობს ენის შესწავლას მარტივიდან რთულ დონეებამდე სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ენათა შესწავლის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფისა და სისტემის ენათა ფრაზეოლოგიის შეპირისპირებითი ანალიზი. სხვადასხვა ენათა ფრაზეოლოგიური ლექსიკის კვლევებში შედარებით - ისტორიული, შეპირისპირებითი და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდთა გამოყენებით იქმნება ფრაზეოლოგიური თეორიის განსაკუთრებული ნაწილი - შეპირისპირებითი ფრაზეოლოგია. ამგვარი კვლევები საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ სხვადასხვა ენათა ფრაზეოლოგიური ერთეულების არა მარტო მსგავსი ნიშნები, არამედ გავხსნათ კიდევ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამოხატვის პლანის იდიოთენიკური სპეციფიკა, მათი (ფრაზეოლოგიურ ერთეულთა) ხატოვანი

გადააზრების მექანიზმთა თავისებურებანი, რაც ცხადყოფს შეპირისპირებით ფრაზეოლოგიურ კვლევათა მნიშვნელობას.

თვისებრივი მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კომპონენტების ურთიერთმიმართებები, რისი საშუალებითაც გამოვლინდა სხვადასხვა სისტემის ენების დამახასიათებელი უნივერსალიები და რეალიები.

აღწერითი მეთოდის გამოყენებით განვიხილეთ ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტატისტიკური მონაცემები საკვლევ ენებში.

**კვლევის ობიექტი:** ნუმერაციული (რიცხვითი სახელის შემცველი) ფრაზეოლოგიზმები და მათი თავისებურებანი ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში.

**საანალიზო წყაროები:** საერთო სურათის სრულფასოვნებისათვის საანალიზო წყაროებად შევარჩიეთ სხვადასხვა პერიოდის გამოცემები (როგორც ადრინდელი, ისე - თანამედროვე): ქართული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ. 1966; თ. სახოკია, ქართული სიტყვა-თქმანი, თბ. 1979; თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ.1967); რუსული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (Молотков А.И., Фразеологический словарь русского языка, М.1999; Мокиенко В.М. Большой словарь русских пословиц. Москва., 2007); ესპანური ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (Caballero R. Diccionario de modismos de la lengua castellana, Buenos Aires, 1947; Correas, G. Vocabulario de refranes y frases proverbiales. Madrid.,1906. ).

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. მოიცავს ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალს, სამ თავს და დასკვნით ნაწილს. ნაშრომი შეადგენს 219 ნაბეჭდ გვერდს; ერთვის დამოწმებული ლიტერატურისა და საანალიზო წყაროების ნუსხა. ნაშრომს, დანართის სახით, ახლავს საილუსტრაციო ემპირიული მასალა.

**ნაშრომის აპრობაცია:** კვლევის თემატიკა, მიმდინარეობა, ძირითადი შედეგების ნაწილი ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა თუ სტატიებში; სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნეთ შემდეგი სტატიები:

1. **ნინო ზაალიშვილი - Роль нумеративных фразеологизмов в художественном дискурсе на материале русского, испанского и грузинского языков**, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი (Peer - Reviewed Journal): “Science Review”, №2(9), პოლონეთი, 2018, გვ. 51-56;
2. **ნინო ზაალიშვილი - Структура нумеративных фразеологизмов в разноструктурных (русском, испанском и грузинском) языках**, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი: «Известия ЮФУ.Филологические науки», რუსეთი, 2017, გვ. 56-60;
3. **ნინო ზაალიშვილი - Los fraseologismos unmerales: un análisis contrastivo de los zoónimos del español, del georgiano y del ruso**, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი (Peer-Reviewed Journal): „ენა და კულტურა“, №18, ქუთაისი, 2017, გვ.44-57;
4. **ნინო ზაალიშვილი - ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ზოგი საკითხისათვის არამონათესავე (ქართულ, რუსულ და ესპანურ) ენებში**, საერთაშორისო კონფერენცია: „კულტურათაშორისი დიალოგები“, შრომები IV, გამომცემლობა: „მერიდიანი“, 2017, გვ. 335-400;
5. **ნინო ზაალიშვილი - ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სიმბოლიკა და სემანტიკა საერთო კომპონენტით „შვიდი“ (ქართული, რუსული ესპანური ენების მასალაზე)**, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი (Peer-Reviewed Journal): „ენა და კულტურა“, №16, ქუთაისი, 2016, გვ. 26-29;
6. **ნინო ზაალიშვილი - რიცხვითი სახელი „ერთის“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარება-შეპირისპირება (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალაზე)**, საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი: “Scripta manent”, №3 (31), თბილისი, 2016, გვ. 50-54;
7. **ნინო ზაალიშვილი - El símbolo y la semántica de los fraseologismos numerales con el numeral “tres”(en la base de las lenguas: georgiana, rusa y española)**, საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი: “Scripta manent”, №3 (35), თბილისი, 2016, გვ. 19-23.

## თავი I

### ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა

#### 1.1. ფრაზეოლოგიის კვლევის ისტორიიდან

უცხოურ ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიის პრობლემები განიხილება ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში, სტილისტიკაში, გრამატიკაში, ენის თეორიაში. საკითხი ფრაზეოლოგიაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე, პირველად დააყენა რუსმა ენათმეცნიერმა ე. პოლივანოვმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1928 წ. გამოთქვა მოსაზრება, რომ ფრაზეოლოგია დაიკავებს „განკერძოებულ და მყარ პოზიციას... მომავლის ლინგვისტურ ლიტერატურაში“ ( პოლივანოვი 1928: 61 ). აკად. ვ. ვინოგრადოვის ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფრაზეოლოგიისათვის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინისათვის.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც შეიმუშავა სწავლება მყარ გამონათქვამებზე (ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე) ფრანგულ ენაში, იყო შ. ბალი; ასევე აღსანიშნავია ხ. კასარესი, ავტორი საინტერესო ნაშრომებისა ესპანური ენის ფრაზეოლოგიაში (კასარესი 1958), ვ.ვინოგრადოვის კვლევები რუსული ენის ფრაზეოლოგიაში (ვინოგრადოვი 1946,1947). „ვ. ვინოგრადოვის კონცეფცია განსაკუთრებული ნიშანსვეტია „განუშლელი კომპონენტების“ თეორიის განვითარებაში, უფრო მაღალი იმასთან შედარებით, თუ რა იყო გაკეთებული რუსულ ენათმეცნიერებაში მანამდე“ ( ამოსოვი 1963: 89 ).

მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტიკას უკვე გააჩნია მდიდარი ტრადიციები და დიდი გამოცდილება ფრაზეოლოგიური კვლევების სფეროში, დაგროვილია დიდი მასალა, როგორც ზოგიერთი ენის ფრაზეოლოგიისათვის, ასევე ფრაზეოლოგიის საერთო თეორიისათვის, დღემდე ამ დისციპლინის მთავარი კატეგორიები ჩამოყალიბებულია სხვადასხვანაირად, ტერმინები, რომლებსაც ხმარობენ ფრაზეოლოგები, არაერთმნიშვნელოვანია (მოლოტოვი 1977: 9 ).

სხვადასხვა სიტყვათა ჯგუფები, გაერთიანებული ერთობლივი აზრით, ყოველთვის იქცევდნენ ლექსიკოგრაფთა ყურადღებას და შედიოდნენ

ლექსიკონების შემადგენლობაში სხვადასხვა ნომინაციით; მაგალითად, ესპანელი ლექსიკოგრაფები მათ იხსენიებდნენ, როგორც: giro, idiotismo, solecismo, modismo, locución, expresión idiomática, frase proverbial, frase figurada y familiar და ა. შ. ესპანური ენის ფრაზეოლოგიური კრებულები გამოდის 1499 წლიდან. ესპანური ფრაზეოლოგიის ყველაზე ვრცელ კრებულად მიჩნეულია ხოსე მარია სბარბის ათტომეული (Sbarbi 1943), რომელშიც განლაგებულია ესპანური ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა სახეობები. პირველი აკადემიური ლექსიკონი (1726-1736) არეგისტრირებს ესპანური ფრაზეოლოგიზმების დიდ რაოდენობას, რომლებსაც თან დაერთვის მაგალითები ესპანელი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან. ასევე, არანაკლებად საინტერესო ლექსიკონია ს. კავარუბიასის „ესპანური ენის საგანძური“ (Covarrubias 1943). ესპანური ფრაზეოლოგიზმების დიდი რაოდენობა მოცემულია აკადემიურ განმარტებით ლექსიკონში (1970), ხ. კასარესის „ესპანური ენის იდეოლოგიურ ლექსიკონში“ (Casares 1959).

ესპანური ენის ფრაზეოლოგიაში სპეციალური თეორიული კვლევები მწირია, მაგრამ გრამატიკებში, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში იხილება ფრაზეოლოგიის საკითხები.

ფრაზეოლოგიური ერთეულის გამოყოფის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ხშირად ითვლება ენობრივი ნორმიდან გადახრა. ასეთია რ. კაბალეროსათვის ფრაზეოლოგიზმის გაგება. ტ. გრასიანი, თავის გრამატიკაში (Gracián 1946:43-60) ასე აყალიბებს მოდიზმის (ანუ ფრაზეოლოგიზმის) მნიშვნელობას: „ se llaman modismos las palabras y locuciones o giros que sin estar dentro de los principios y normas de idioma, son de uso corriente”.

ყველაზე ღრმად და საფუძვლიანად ხ. კასარესს აქვს განხილული ესპანური ფრაზეოლოგიის საკითხები. ხ. კასარესამდე ესპანურ ფრაზეოლოგიაში არ იყო ფრაზეოლოგიზმების ადეკვატური კლასიფიკაცია. მან სცადა ტერმინოლოგიის დახარისხება, რაც არის წინ გადადგმული ნაბიჯი ესპანური ენის ფრაზეოლოგიური პრობლემების შესწავლაში.

1941 წლიდან საქართველოში ჩნდება გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის საკითხებს. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ შრომად უნდა აღინიშნოს თ.სახოკიას გამოქვეყნებული შრომა „ვეფხისტყაოსნის“



ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი (სახოკია 1938), რომელსაც მოჰყვა ა.ნეიმანის პრაქტიკული ხასიათის სტატია „ქართული იდიომები“ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები (ნეიმანი 1941). ავტორი ცდილობს მათთვის შესაფერისი რუსული ეკვივალენტების მოძებნას. ამით იგი პრაქტიკულად უარყოფს მოსაზრებას, რომ იდიომი თავისი არსით წარმოადგენს ერთეულს, რომლის თარგმნა უცხო ენაზე თითქმის შეუძლებელია.

მოგვიანებით გამოდის ა. ფრანგიშვილის სტატია „გულ“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით (ფრანგიშვილი 1944), რომელშიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის განხილული „გულის“ სემანტიკური ველის მქონე იდიომური გამოთქმები. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნაშრომი მაინც ვერ მიიჩნევა ფრაზეოლოგიის საფუძვლიან კვლევად; მისი შეფასება უფრო ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით თუ შეიძლება.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო მას შემდეგ, რაც გამოიცა თ. სახოკიას ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, მაგრამ აღნიშნული ნაწარმოები ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა და არ მოიცავს ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს.

ფრაზეოლოგიის, როგორც დარგის განვითარება, რამდენადმე გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება და იწყება 1954 წლიდან, როცა გამოდის ა. ონიანის ნაშრომი „ქართულ - სვანური იდიომატიკის საკითხები“ (ონიანი 1954), რომელშიც ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად გვხვდება ქართული და სვანური ენების იდიომური გამოთქმების შედარებითი ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, იყო 1950 წელს გამოქვეყნებული თ.სახოკიას „ქართული-ხატოვანი სიტყვა - თქმანის“ პირველი ტომი შოთა ძიძიგურის შესავალი სიტყვით (სახოკია 1950-1955,1979), სადაც იგი განმარტავდა იდიომის ცნებას. თვითონ ლექსიკონი კი წარმოადგენს ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელოვან წყაროს. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ლ.ლეჟავას მოხსენება (ლეჟავა 1956) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა

შესწავლის საკითხების შესახებ, რომელშიც ავტორი განიხილავს ფრაზეოლოგიზმების დაჯგუფების ვარიანტებს.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან საქართველოში თანდათან მატულობს, როგორც მხატვრული, ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის რუსული ენიდან და რუსულ ენაზე თარგმნის საჭიროება; ეს დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ზეგავლენაზე, როგორც საქართველოზე, ასევე სხვა ქვეყნებზეც, რომელებიც იყო მისი შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ შრომას წარმოადგენს ნ. გამრეკლის „რუსულ-ქართული იდიომატიკა“ (გამრეკლი 1956), რომელშიც მოცემული იყო რუსული იდიომური გამოთქმების კონტექსტური თარგმანი. აღნიშნულ კრებულს მოჰყვა ალ. კობახიძის სტატია „რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემისა და სწავლების საკითხისათვის“ (კობახიძე 1958), რომელშიც ავტორი მსჯელობს ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის შესახებ. მტკიცედ უნდა გვესმოდეს, რომ ამ პერიოდში ქართული ენათმეცნიერების ამოცანას უცხოენოვანი მასალის ათვისებას პრაქტიკული დანიშნულება წარმოადგენდა.

სამოციანი წლების დასაწყისშივე გამოქვეყნდა ა. თაყაიშვილის ნაშრომი „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (თაყაიშვილი 1961), რომელიც დღესაც ითვლება ქართული ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შრომად. მასში განხილულია იმ დროისათვის არსებული თეორიები და მოცემულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი. აღნიშნული პერიოდი ასევე ხასიათდება ლექსიკოგრაფიული მუშაობით: ალ. ონიანი „ქართული იდიომები“, შალვა ღლონტი ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონს ( ღლონტი 1968).

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა გრძელდება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით. კვლევის ობიექტად რჩება სხვადასხვა ენობრივი მასალა. მატულობს ტიპოლოგიური კვლევების რაოდენობაც. ამ პერიოდში ქართველ მკვლევართათვის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა რუსული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა.

თეორიული თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შ.აფრიდონიძის სტატია „იდიომი და იდიომურობა“, რომელშიც გვხვდება იდიომის შემდეგი განსაზღვრება: „იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“ ( აფრიდონიძე 1986:73 ).

ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ კვლევებში უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა ტიპოლოგიური შედარების პრობლემებს, ასევე, ლექსიკოლოგიაში სხვადასხვა ენის ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ფონდებს (გ. სტეპანოვის, ვ. იარცევას, ვ. არაკინის, ვ. გაკის და ა.შ. ნაშრომები). ასეთი კვლევები გვაძლევს უფლებას, რომ გამოვამყდავნოთ ის საერთო, რაც ახასიათებს ყველა ენას, ან რაც ახასიათებს მხოლოდ ერთ ენას. რასაკვირველია, დიდად ღირებულია შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევები ფრაზეოლოგიის დარგში, რადგან კონკრეტულ ენებში ფრაზეოლოგიზმების ან მათი ჯგუფების შესწავლა ხშირად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს ფრაზეოლოგიური უნივერსალიები.

ჩვენი ნაშრომი ამდაგვარი ნაშრომების ტრადიციულადაა შესრულებული. იგი ეძღვნება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიურ ანალიზს და მათ სემანტიკურ თავისებურებებს ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში. ასევე, ვიკვლევთ ფრაზეოლოგიზმების ინტერნაციონალიზაციის პროცესებს, რომელთა სტრუქტურაშიც შედის რიცხვითი სახელი.

თუ ფრაზეოლოგიზმები, ისეთი კომპონენტებით, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ისეთი მეტყველების ნაწილები, როგორებიცაა არსებითი სახელი, ზმნა და ზედსართავი სახელი, საკმაოდ ღრმად არის შესწავლილი, იმავეს თქმა არ შეიძლება ისეთ მყარ გამონათქვამებზე, რომელთა სტრუქტურაშიც შედის რიცხვითი სახელი. აუცილებელია, აღინიშნოს ის, რომ ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები ბოლო პერიოდამდე საერთოდ არ გამოიყოფოდა ცალკე ჯგუფად და ერთიანდებოდა ფრაზეოლოგიურ მოდელში „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი“ (შანსკი 1963: 62 ).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კვლევები, რომლებიც არის წარმოდგენილი შეზღუდული მასალებით ცალკეულ ენებში (რუსულში - ა.

სუპრუნი 1955, ა. როჟანსკი 1957, ნ. შტურმინი 1973, ლ. გოტინა 1983; ყაზახურის - ს. კენზაევი 1946, ა. ხასენოვი 1957; გერმანულის - ი. კედელინი 1971, ს. კრიაჩინა 1976; თურქულის - ს. სოლოლოვი 1971; თურქმენულის - მ. აბდარახმანოვი 1972; ფრანგულის- ა. ნარზიკულოვი 1974, ინგლისურის - ა. შაკიროვი 1976, ს. შვაჩკო 1982; რუსულის და თურქმენულის - ნაზაროვი 1972, რუსულის და ჩეხურის - ი. ბეზდეკი 1960; რუსულის-ჩეხურის-ინგლისურის-გერმანულის და ფრანგულის - ა. სუპრუნი 1965; რუსულის, გერმანულის და ინგლისურის - ს. ოლხოვსკაია 1977; ფრანგულსა და ქართულში - ე. ჟორჟოლიანი 2002); არსებობს ცალკეული სტატიებიც, როგორც უცხოელ მეცნიერთა, ასევე, ქართველ ლინგვისტ-მკვლევართაც - პროფ. ც. ახვლედიანის, მ. კობეშვიძის და სხვ., მაინც, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთიანი სისტემური აღწერა.

## 1.2. რიცხვითი სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი

ტრადიციულ გრამატიკაში ენაში არსებულ სიტყვათა კავშირების კვლევა მიმდინარეობს სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური კლასების მიხედვით, სადაც სიტყვები ერთიანდებიან მორფოლოგიური ბუნებისა და სინტაქსური ფუნქციების მიხედვით. მეტყველების ნაწილთა თეორია ჯერ კიდევ ანტიკურ ენათმეცნიერებაში ჩაისახა, თუმცა ლინგვისტები ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან სიტყვათა კლასების რაოდენობაზე, მათი გამოყოფის კრიტერიუმთა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაც კამათის საგანია, რასაც ტერმინოლოგიური ქაოსიც ერთვის და ერთიანობაში მეტყველების ნაწილთა თეორია ისევე, როგორც სიტყვათა დაჯგუფება ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებად, დღემდე რჩება მეტად მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემად ენათმეცნიერებაში.

ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხადაა მიჩნეული რიცხვითი სახელის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში. უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვითი სიტყვები, რიცხვის ლექსიკური აღნიშვნები არსებობს ყველა თანამედროვე ენაში. თუ ბევრ ენაში სიტყვების ეს ჯგუფი შემოიფარგლება პირველი ათეულის რიცხვთა დასახელებით, ენათა უმეტესობაში ის მნიშვნელოვნად განვითარდა და გადაიქცა მეტყველების

დამოუკიდებელ ნაწილად - რიცხვით სახელად; თუმცა, ამ სიტყვათა დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყოფა დისკუსიის საგანია, როგორც ძველ, ასევე თანამედროვე თეორიულ ნაშრომებსა და ნორმატიულ გრამატიკებში.

ოტო იესპერსენის აზრით, რიცხვითი სახელები „უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩნია ნაცვალსახელთა განსაკუთრებულ ქვედანაყოფად, რადგან მათ რამდენიმე მსგავსი ნიშანი გააჩნიათ“ ( Jespersen 1936:512 ).

ჰენრი სვიტიც ასევე არ მიიჩნევდა რიცხვით სახელებს მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილად, უწოდებდა რა მათ არსებითი და ზედსართავი სახელების განსაკუთრებულ კლასს (noun-numeral, adjective-numeral) ( Sweet 1955:499 ).

რიცხვით სახელთა გამოყოფისას ფუნქციონალურ-სემანტიკური კრიტერიუმების არაგამოკვეთილობა და გაურკვეველობა სხვა მხრივაც კარგად ჩანს. ა. სუპრუნი (1959:46) და ი. ბაგრიანსკი (1960:9), ვ. ვინოგრადოვის (1938:141-144) კვალდაკვალ, გამოყოფენ განუსაზღვრელ-რაოდენობით რიცხვით სახელებს **сколько, столько, несколько, много, немного, мало, достаточно** (რამდენი, იმდენი, რამდენიმე, მრავალი, არამრავალი, ცოტა, საკმარისი), რომელთაც არ გააჩნიათ განზოგადებული ნუმერაციული სემანტიკა, არ წარმოადგენენ რიცხვთა დასახელებას, არ გამოიყენებიან თვლის დროს და ამიტომაც არ ჩაითვლებიან რიცხვით სახელებად. თავისებური დიფერენციაციით გამოირჩევა „გრამატიკა-80“-ის მიერ წარმოდგენილი მიდგომა. მასშიც ასევე გამოყოფილია განუსაზღვრელ-რაოდენობითი რიცხვითი სახელები, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ რიცხვების დასახელებას. აქ რიცხვითი სახელები განისაზღვრება ასე: „რიცხვითი სახელი - მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს რაოდენობას და ამ მნიშვნელობას გამოხატავს ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორიებით (თანამიმდევრულად) და სქესისა (არათანამიმდევრულად)“ ( Грамматика-80 1:573 ).

სიტყვები **мало, немало** (მცირე, არამცირე) შედიან განუსაზღვრელ-რაოდენობით რიცხვით სახელთა რიგში, თუმცა არ გააჩნიათ არც ბრუნვის და არც სქესის კატეგორია. სიტყვები **сколько да столько** (რამდენი და იმდენი), რომლებიც განეკუთვნებიან განუსაზღვრელ-რაოდენობით რიცხვით სახელებს, იბრუნვიან როგორც ნაცვალსახელები, რომლებათაც უნდა ითვლებოდნენ ისინი, მათი პრონომინალური (ნაცვალსახელოვანი) სემანტიკის გათვალისწინებით. რიცხვითი სახელებისაგან განსხვავებით, მათ აქვთ უნარი ისეთ არსებით სახელებთან შეწყობა-შეერთებისა

ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდობით რიცხვში, რომლებიც გამოხატავენ უთვლადობას, აურაცხელობას: **много шуму, сколько воды.** უნდა ვაღიაროთ, რომ აკადემიურმა „გრამატიკებმა“, სამწუხაროდ, სრულად ვერ განსაზღვრეს რაოდენობითი რიცხვითი სახელების სინტაქსური კავშირების ხასიათი, ასე მაგალითად, „გრამატიკა-70“-ში, თავდაპირველად გამოიყენება ტერმინი „რიცხვითი სახელით განსაზღვრული არსებითი სახელი“, რაც გულისხმობს რიცხვით სახელთა სინტაქსურ დამოკიდებულებას არსებით სახელებთან (Грамматика 70:308); შემდგომ კი მითითებულია, რომ „მთავარი სიტყვა - რიცხვითი სახელი (რომელსაც არ გააჩნია სქესისა და რიცხვის ფორმები), ირიბი ბრუნვის ფორმაში, უთანხმდება მასზე დამოკიდებულ არსებით სახელებს“ (Грамматика-70: 489). აქ გაურკვეველია თეზისი იმის შესახებ, თუ რატომ უთანხმდება მთავარი სიტყვა მასზე დამოკიდებულ არსებით სახელს (და არა პირიქით). „გრამატიკა-80“-შიც, თავდაპირველად, ასევე ნათქვამია, რომ რიცხვითი სახელები უთანხმდებიან არსებით სახელებს (ანუ გრამატიკულად დამოკიდებულნი არიან მათზე) (Грамматика-80 I:574); შემდგომ კი მოცემულია მითითება, რომლიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე ეხება სიტყვათა ურთიერთმიმსგავსებას: „შეთანხმებას ეხება მიმსგავსების წესი - ირიბი ბრუნვების ყველა ფორმაში... რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელისა“ (Грамматика-80 II:56). შემდგომ წერია, რომ ირიბ ბრუნვებში „არსებითი სახელები უთანხმდებიან რაოდენობით რიცხვით სახელებს ბრუნვაში (Грамматика-80 II: 78).

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები თანამედროვე ლინგვისტიკაში დღემდე გადაუჭრელია, ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში, ვეთანხმებით ქართული ენის (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე), რუსული ენის (Грамматика-80) და ესპანური ენის (la Real academia Española) ნორმატიულ გრამატიკებს. ამ გრამატიკების მიხედვით, რიცხვითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას ან რიგს, ან კიდევ გამოხატავს საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით; მაგ. ათი (ათი რვეული) აღნიშნავს საგნის რაოდენობას, მეათე (მეათე მერხი) განსაზღვრავს საგანს რიგის მიხედვით, ხოლო მეათედი ათ თანასწორ ნაწილად დაყოფილი საგნის ერთ ნაწილს გამოხატავს ( კვაჭაძე 1961: 174 ).

ნუმერაციათა ლექსიკურ - სემანტიკური ჯგუფი ქართულში მოიცავს შემდეგ რიცხვით სახელებს:

- რაოდენობითი რიცხვითი სახელები - ერთი, ორი, სამი, ექვსი, ათი, ოცი, ოცდაშვიდი, სამოცი, ასი, ათასი და სხვ.
- რიგობითი რიცხვითი სახელები - პირველი, მეორე, მესამე, ოცდამეერთე, მესამოცე, მეასე და სხვ.
- წილობითი რიცხვითი სახელები - მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, ოცდამეერთედი, ნახევარი და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები - ძირეულია, რიგობითი და წილობითი - წარმოქმნილი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან გარკვეულ რიცხვს აღნიშნავს, ან გაურკვეველს. გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელია სახელი, რომელიც შედის თვლის სისტემაში: ერთი, ორი, ათი, ასი, ათასი და ა.შ. გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელებია: ბევრი, მრავალი, ცოტა. ესენი მიმართებითი სახის ოდენობას აღნიშნავენ.

შედგენილობის მიხედვით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორნაირია: მარტივი და რთული.

მარტივია რიცხვითი სახელი, რომელიც ერთი ფუძისგან შედგება, ხოლო რთულია ისეთი, რომელშიც რამდენიმე ფუძეა. ქართულში მარტივია თორმეტი რიცხვითი სახელი (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი), ყველა დანარჩენი რთულია.

რთულად ითვლება ისეთი რიცხვითი სახელებიც, რომლებიც რიცხვს რამდენიმე ცალკე სიტყვის შეკავშირებით გადმოსცემს. ას ორი (102), ათას ას ხუთი (1105), ათი ათას ხუთას ოცდაორი (10522) და ა.შ.

რთული ფუძე მიღებულია უკავშირო შეერთებით ( ათასი, ას-თ-ერთ - მეტი) ან და კავშირის საშუალებით ( ოც-და-ორ-ი, ოც-და-ხუთ-ი). რთული ფუძე შეიძლება შეიცავდეს მარტივსა და მარტივს (ოც-და-ათი, ათ-ას-ი), მარტივსა და რთულს (ოც-და-ცხრამეტი), რთულსა და მარტივს (სამოც-და-ათ-ი) ან რთულსა და რთულს (ოთხმოც-და- თხუთმეტი) და ა.შ.

რიგობითი სახელები წარმოქმნილია სათანადო რაოდენობითის ფუძისაგან მე-პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით: მე-ორ-ე, მე-ხუთ-ე, მე-ათ-ე, მე-ოც-ე, მე-ას-ე, მე-ათას-ე.

რიგობითა წარმოების ამ წესისგან განსხვავებით დგას პირველი, რომელსაც საფუძვლად ქართული „პირ“ უდევს და „მეერთე“-ს ნაცვლად იხმარება. „მეერთე“ ცალკე არა გვაქვს, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებში გამოყენებულია „მეერთეც“ და „პირველიც“.

და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის მაწარმოებელი აფიქსები ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს დაერთვის: ოცდამეოთხე, სამოცდამეცხრე (მე - ე დაერთვის ერთეულებს); ოცდამეათე, ოთხმოცდამეათე (დაერთვის ათეულებს); ოცდამეცამეტე, ოთხმოცდამეცხრამეტე (რიგობითის აფიქსები ათმეტეულებს დაერთვის). თუ რთული რიცხვითი სახელი ცალკე სიტყვათა შეკავშირებით არის გადმოცემული, რიგობითის მაწარმოებელი აფიქსები უკანასკნელს მოუდის იმ წესის დაცვით, რომელიც მისი ცალკე ხმარებისას გვაქვს: ას მეორე, ას ოცდამეათე, ათას ცხრაას მესამოცე, ათას ხუთას ორმოცდამეთორმეტე. ამიტომ შეცდომაა, როცა ამბობენ ან წერენ: მეოცდაათე, მეორმოცდაცხრამეტე.

წილობითი სახელები ნაწარმოებია რიგობითთაგან ვითარებითი ბრუნვის ნიშნით: მესამედი ( მე-სამ-ე-დ-ი), მეოთხედი ( მე-ოთხ-ე-დ-ი), მეასედი (მე-ას-ე-დ-ი) და ა.შ. რიგობითის ვითარებითი ბრუნვის გაუვრცობელი ფორმა წილობითის ფუძეა: მესამედ-ი, მეხუთედ-ი, მეასედ-ი.

წილობითი სახელია „ნახევარი“, რომელიც „მეორედის“ ნაცვლად იხმარება. იგი უკავშიროდ დაერთვის სახელს: კილონახევარი, ბოთლნახევარი, წელიწადნახევარი, დღენახევარი, ერთნახევარი, ხუთნახევარი. „მეორედი“ რთულ რიცხვით სახელებში იხმარება: ოცდამეორედი, ორმოცდამეორედი, სამოცდამეორედი, ოთხმოცდამეორედი და ა.შ. ( შანიძე 1965:176 ).

რუსულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, რიცხვითი სახელი გამოიყოფა ცალკე მეტყველების ნაწილად. გრამატიკა 80-ის მიხედვით, რიცხვითი სახელი - მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს რაოდენობას და გამოხატავს მის მნიშვნელობას ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორიით (თანმიმდევრობით) და სქესის ( არა თანმიმდევრულად) (Грамматика-80 1:573).

ნუმერაციათა ლექსიკურ - სემანტიკური ჯგუფი რუსულ ენაში მოიცავს შემდეგ რიცხვით სახელებს:

- 1) Количественные (რაოდენობითი) – два, пятьдесят, двести;



- 2) Собирательные (შეკრებითი) – оба, двое, пятеро;
- 3) Порядковые (რიგობითი) – первый, второй, сотый;
- 4) Дробные (წილობითი) – одна пятая, три целых, две седьмых.

შედგენილობის მიხედვით, რაოდენობითი რიცხვითი სახელები სამგვარია :

- 1) მარტივი - ერთი ფუძისაგან შედგება;
- 2) რთული - ორი ფუძისაგან შედგება;
- 3) შედგენილი - რამდენიმე ფუძისაგან შედგება.

სუფიქსალურ რაოდენობით რიცხვით სახელებში (одиннадцать, двенадцать – девятнадцать), რომლებიც წარმოქმნილი არიან რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან და ასახელებენ პირველი ათეულების რიცხვებს, გამოიყოფა სუფიქსი -надцать. ასეთი რიცხვითი სახელები გამოხატავენ რაოდენობას, რომელიც უდრის მოტივირებულ სიტყვას, მიმატებული ათზე.

რიცხვით სახელებში ოცი (двадцать) და ოცდაათი (тридцать), მოტივირებულია რიცხვითი სახელებით ორი (два) და სამი (три) და აღნიშნავენ „ათის“ რაოდენობას, გამოიყოფა სუფიქსი -дцать.

რაოდენობით რთულ რიცხვით სახელებში ორმოცდაათი (пятьдесят), სამოცი (шестьдесят), სამოცდაათი (семьдесят) და ოთხმოცი (восемьдесят), პირველი კომპონენტი ასახელებს „ათეულების“ რაოდენობას.

რიცხვით სახელებში ორასი (двести), სამასი (триста), ოთხასი (четыриста) - ათასამდე (до тысячи), აღნიშნავენ ასეულებს (сотни); მათში პირველი კომპონენტი „ასეულების“ რაოდენობის განმსაზღვრელი, ამ ძირში ჩნდება ხმოვანი ო/ი/ ნულოვანი ფლექსიის წინ пять-сот-ж, четырех-сот-ж, но пяти-ст-ам, четыре-ст-а (Грамматика 80, §1032).

ესპანურ ენაში, როგორც ქართულ და რუსულ ენებში, რიცხვითი სახელი გამოიყოფა ცალკე მეტყველების ნაწილად.

ნუმერაციათა ლექსიკურ - სემანტიკური ჯგუფი ესპანურ ენაში მოიცავს შემდეგ რიცხვით სახელებს:

- 1) Numerales cardinales (რაოდენობითი) – uno, dos, seis;
- 2) Numerales ordinales (რიგობითი) – primero, quinto, sexto;

3) Numerales fraccionarios o partitivos (წილობითი) – una decima parte, la tercera parte, un tercio;

4) Numerales multiplicativos (გაორმაგებული) – doble, triple, cuádruple.

შედგენილობის მიხედვით ესპანურ ენაში რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორნაირია:

1) მარტივი - ერთი ფუძისაგან შედგენილი (uno, seis, diez, mil),

2) რთული - რამდენიმე ფუძისაგან შედგენილი (dos mil, cuarenta y uno). ( Real Academia Española 2010:392 ).

რიცხვით სახელებს 16-დან 19-ის ჩათვლით აქვთ ერთი თავისებურება: წარმოების ერთიანი ფორმულა. ეს ფორმულა ამგვარად გამოიყურება: 10 («diez», სახეცვლილი «diec» -ად) + i + რიცხვის დასახელება (მაგალითად, «seis»). ეს რიცხვითი სახელები იწერება ერთი სიტყვით; იშვიათ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს ვარიანტი diez y nueve. მაგალითად: dieciocho, diecisiete. რიცხვები 20-დან 99-მდე - საჭიროა მათი შესწავლა, რომ შემდგომში ორიენტირებულნი ვიყოთ ისეთ მნიშვნელობებზე, როგორებიცაა 23, 45, 67 და ა. შ. 20 – veinte, 30 – treinta, 40 – cuarenta, 50 – cincuenta, 60 – sesenta, 70 – setenta, 80 – ochenta, 90 – noventa. ყურადღება: რიცხვითი სახელები 21-დან 29-ის ჩათვლით ექვემდებარებიან წარმოების იმავე წესს, რომელსაც რიცხვები 16-დან 19-მდე; ანუ ათეულები და ერთეულები იწერება ერთი სიტყვით: veint + i + რიცხვი. მაგალითად: veintiuno, veinticuatro, veintitrés. 30-დან მოყოლებული 99-მდე კი, ყველა რიცხვითი სახელი იწერება 3 სიტყვით, შუაში «y» კავშირით. მაგალითად: treinta y dos, ochenta y cinco, sesenta y siete.

რიცხვითი სახელები 100-დან 1 000 000 000-მდე: 100 – cien (to), 200 – doscientos, 300 – trescientos, 400 – cuatrocientos, 500 – quinientos, 600 – seiscientos, 700 – setecientos, 800 – ochocientos, 900 – novecientos, 1000 – mil, 1 მლნ - millón, 1 მლრდ. - mil millones.

რიცხვითი სახელი ciento, არსებითი სახელის წინ, კარგავს to -ს; და მიიღება: cien mujeres, cien camisas. რიცხვთა ყველა ნაწილი 101-დან 1 000 000 000-მდე რაიმე კავშირით კი არ იყოფა, არამედ იწერება ცალკ-ცალკე; გამონაკლისია და ძალაში რჩება ის წესი, რომელიც ეხება ათეულებსა და ერთეულებს (გარდა 16-დან 29-მდე რიცხვებისა); მაგალითად: 125 – ciento veinticinco 236 – doscientos treinta y seis 4357 – cuatro mil trescientos

cincuenta y siete 25748 – veinticinco mil setecientos cuarenta y ocho 48932 – cuarenta y ocho mil novecientos treinta y dos.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების ცვლილებები:

1) რაოდენობითი რიცხვითი სახელები მეტყველებაში შეიძლება შევგვხვდეს არსებით სახელთან ერთად ან დამოუკიდებლად; მაგალითად: Tengo cinco hijos y cuatro hijas (მყავს 5 ვაჟი და 4 ქალიშვილი) — ¿Cuántas familias van a llegar? (რამდენი ოჯახი აპირებს ჩამოსვლას?) — Diez (10).

2) რიცხვით სახელთა უმეტესობას სქესი არ გააჩნია. გამონაკლისებია რიცხვითი სახელები uno და 200-დან 900-მდე; მაგალითად: Un chico (ერთი ბიჭი), Una chica (ერთი გოგონა). No es verdad que tienes doscientos amigos (არ არის მართალი, რომ შენ გყავს ორასი მეგობარი). Quiere comprar ochocientas trece rosas para su mujer (მას სურს უყიდოს თავის მეუღლეს 813 ვარდი).

3) რიცხვებს 100 (ciento), 1000 (mil) და 1000000 (millón) აქვთ მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობა, როდესაც ისინი იხმარებიან არსებითი სახელების მნიშვნელობით – cientos, miles, millones; მაგალითად: Cientos estudiantes van a protestar (ასობით სტუდენტი იკრიბება გასაპროტესტებლად). Han muerto veintidós millones (გარდაიცვალა 22 მილიონი).

### **რიგობითი რიცხვითი სახელები**

რიგობით რიცხვით სახელებს გააჩნია საკუთარი ფორმა ყოველი რიცხვისათვის; თუმცა წარმოთქმისა და დამახსოვრების მეტად მოხერხებულობისათვის, ესპანელები იყენებენ რიგობით რიცხვით სახელებს 1-დან 10-მდე, შემდეგ კი რიგობით რიცხვითსახელიან გამონათქვამებს წარმოგვიდგენენ რაოდენობითი რიცხვითი სახელებით (არა 45-ე ბინა, არამედ ბინა 45).

ცხრილში ასახულია რიცხვით სახელთა იზომორფიზმები და ალომორფიზმები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში

რიცხვითი სახელი	ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
1.ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი	რაოდენობითი რიცხვითი სახელი - ერთი, ათი, სამოცი, ასი და ა.შ.	Количественные (რაოდენობითი) два,пятьдесят,двести	Numerales cardinales (რაოდენობითი) – uno, dos, seis.
	---	<b>Собирательные</b> (შეკრებითი) – оба, двое, пятеро	---
	რიგობითი რიცხვითი სახელი - პირველი, მეორე, მესამე.	Порядковые (რიგობითი)– первый,второй, сотый	Numerales ordinales (რიგობითი) – primero, quinto,sexto
	წილობითი რიცხვითი სახელი - მესამედი, მეოთხედი, ოცდამეერთედი	Дробные (წილობითი) – одна пятая, три целых, две седьмых	Numerales fraccionarios o partitivos (წილობითი) – una decima parte, la tercera parte, un tercio
	---	---	<b>Numerales multiplicativos</b> (გაორმაგებული)– doble,triple,cuádruple
2.შედგენილობის მიხედვით	მარტივი - ერთი ფუძისგან შედგება	მარტივი - ერთი ფუძისგან შედგება	მარტივი - ერთი ფუძისგან შედგება
	რთული-რამდენიმე ფუძისგან შედგება	რთული - ორი ფუძისგან შედგება	რთული - რამდენიმე ფუძისგან შედგება
	---	<b>შედგენილი</b> რამდენიმე ფუძისგან შედგება	---
3.სქესის კატეგორია რიცხვით სახელებში	---	აქვს სქესის გრამატიკული კატეგორია.	აქვს სქესის გრამატიკული კატეგორია.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ჩატარებულ შედარება-შეპირისპირებაში ჩანს, რომ დასახელებულ ენებში რიცხვითი სახელის ნუმერაციათა ლექსიკურ - სემანტიკურ ჯგუფებს ახასიათებს, როგორც მსგავსება (იზომორფიზმები), ასევე განსხვავება (ალომორფიზმები), კერძოდ,

**იზომორფიზმები:**

- სამივე ენაში აღინიშნება რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები;
- სამივე ენაში გვაქვს მარტივი და რთული რიცხვითი სახელები;
- რუსული და ესპანური ენის რიცხვით სახელებს ახასიათებთ სქესის გრამატიკული კატეგორია.

**ალომორფიზმები:**

- ქართულ და ესპანურ ენებში არ გვაქვს - შეკრებითი რიცხვითი სახელი, ის წარმოდგენილია მხოლოდ რუსულ ენაში; ასევე, გაორმაგებული რიცხვითი სახელი არის ესპანურ ენაში, მაგრამ არ არის ქართულ და რუსულ ენებში.
- ქართულ ენაში მარტივია 12 რიცხვითი სახელი (1,2,3,4,5,6,7,8,9,10, 20, 100 ) ყველა დანარჩენი რთულია.
- რუსულ ენაში მარტივია : 1-10; 11-20, 30; რთულია - восемьсот, семьдесят и т.д; შედგენილია-восемьсот тридцать один, шестьсот двадцать один и т.д
- შედგენილი რიცხვითი სახელები დამახასიათებელია მხოლოდ რუსული ენისათვის.
- ქართულ ენას არ გააჩნია სქესის კატეგორია.

### 1.3. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ზოგადი დახასიათება ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში

ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელია მზა სახით წარმოება, მდგრადი და მკაცრად ფიქსირებული მთლიანი მნიშვნელობა, შემადგენლობა და სტრუქტურა; ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ენობრივ ერთეულებს, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი მნიშვნელობა, მათ შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობათაგან დამოუკიდებელი და მათი შემადგენელი კომპონენტები განლაგებულნი არიან მკაცრად დადგენილი წესის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომში გავანალიზეთ 706 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეული, დაფიქსირებულ 7 ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ ენაში - 238 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულია (ნფე); რუსულ ენაში - 247, ხოლო ესპანურ ენაში - 221. კვლევამ დაადასტურა, რომ სამივე ენაში არსებული ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება ის ერთეულები, რომელთა შემადგენლობაშიცაა რიცხვები: „ერთი“, „პირველი“, „ორი“, „მეორე“, „შვიდი“, „ცხრა“ (იხ. დანართი № 1, ცხრილი I).

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ არამონათესავე (ქართული, რუსული და ესპანური) ენების ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურაში ძირითადად მარტივი რიცხვითი სახელები შედიან; ქართულ ენაში ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა 88%-ია მარტივი რიცხვითსახელიანი ფუძით . მაგალითად : **ერთი** ქორწილის ხალხი (სახოკია 1979:181); **ერთი** ყოფა დააწია (სახოკია 1979:182); **ოთხში** ამოღება (სახოკია 1979:473); **ოთხ** კედელზე (სახოკია 1979:472); **ცხრა** პირი ტყავი გამამკრეს (სახოკია 1979:825); **ცხრა** ნაბადზე ხტომა (სახოკია 1979:826); **ცხრა** მთას იქით (ონიანი 1966:178); **ცხრა** თოკში გამძვრალი (ონიანი 1966:178); **ათი** თითი სამყოფი იყო ჩამოსათვლელად (სახოკია 1979:13); **ასი** მზე მიდგა ცაში (სახოკია 1966:29).

რუსულ ენაში, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა 87%-ია მარტივი რიცხვითსახელიანი ფუძით. მაგალითად: **Семь** верст не доехал ( Молотков 1999:425); **три** чулка с языка (Молотков 1999:522); **два** сапога пара (Молотков 1999:72); **два** пальца подавать (Молоков 1999:74); **одна** паршивая овца все стадо портит (Мокиенко 2007:201);

**одна** ласточка весны не делает (Молотков 1999:201); **один** как перст (Молотков 1999:204); **один** в поле не воин (Молотков 1999:202).

ესპანურ ენაში ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ერთეულთა 85%-ია მარტივი ფუძით. მაგალითად: **Una** no es ninguna (Caballero 1947:50); **una** y no más (Caballero 1947:51); más de **siete** (Caballero 1947:627); decir las **cuatro** verdades (Caballero 1947:190); entre **cuatro** (Caballero 1947:190); tener **tres** caras de médico (Caballero 1947:679); ni a la de **tres** (Caballero 1947:680); dar **cinco** de corto (Caballero 1947:161).

საანალიზო ენებში მარტივფუძიანი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების გარდა, აღინიშნება ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოქმნილი და რთული რიცხვითსახელიანი ფუძეებითაც. ქართულ ენაში - 12%. მაგალითად: **მეორედ** დაბადება (ონიანი 1966:111); **მეშვიდე** ცას ეწევა (ონიანი 1966:168); **ოცდახუთი** მცობნელი (სახოკია 1979:479); საქმე **ორმოც** დღეზე გადავიდაო (სახოკია 1979:482).

რუსულ ენაში - 8%. მაგალითად: **семьдесят** лет для невесты много,а для бабушки –в самый раз (Мокиенко 2007:625); не знаешь чести, так палок **двести** [Молотков,1999:84]; зло и через **пятьдесят** лет обнаружится (Мокиенко 2007:325).

ესპანურ ენაში-15%-ია-რთულ რიცხვითსახელიანი ფუძით. მაგალითად: un **cuarenta y uno** (Caballero 1947:198), **cuatrocientos mil** de a caballo (Caballero 1947:199). (იხ.დანართი №2)

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენისათვის ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით,დამახასიათებელია შემადგენელი რიცხვითი სახელების გამოყოფა ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურაში. მაგალითად:

**Двадцать четыре** часа (Молотков 1999:92); у бабы **семьдесят две** увертки в день (Мокиенко 2007:467); пока баба с печи летит **семьдесят семь** дум передумает (Мокиенко 2007:469).

აღმოჩნდა, რომ სამივე ენაში ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურებში შედის **რაოდენობითი** და **რიგობითი** რიცხვითი სახელები.

#### ქართული ენა:

**ერთ** უღელში შებმა (სახოკია 1979:128); **ერთი** ადგილის ტკეპნა (სახოკია 1979:143); **ერთ** დარიჯაგში გატარება (სახოკია 1979:177); **ორ** სკამზე ჯდომა (ონიანი 1966:115); **შვიდი** პარასკვი აქვს დღეში (ონიანი 1966:168) ; **ცხრა** ზნის დედა (სახოკია 1979:827); ასი თვალი უყურებს (სახოკია 1979:30).

მეორედ მოსვლა (ონიანი 1966:111); მეორედ შობა (ონიანი 1966:111); მეშვიდე ცაში აყვანა (სახოკია 1979:390);

**რუსული ენა:**

Семь пядей во лбу (Молотков 1999:373); **семи** печатей книга (Молотков 1999:378); с **три** короба (Молотков 1999:293); **один** в поле не воин (Молотков 1999:202);

**Первый** звон – чертям поклон (Мокиенко 2007:132); в **первый** и последний раз (Мокиенко 2007:142); на **седьмом** небе (Молотков 1999:342);

**ესპანური ენა:**

**Una** no es ninguna (Caballero 1947:50); se armó **una** (Caballero 1947:50); no dar **una** (Caballero 1947:51); **una** con otra (Caballero 1947:68); las **diez** de última (Caballero 1947:244); más de **siete** (Caballero 1947:107); decir las **cuatro** verdades (Caballero 1947:190); tener **tres** caras de médico (Caballero 1947:679); no salir de los **dos** (Caballero 1947:241);

Yo nací **primero** (Caballero R.,1947:721); lo **primero** es antes (Caballero R.,1947:721); a la **primera** (Caballero 1947:721).

ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, რუსულ ენაში, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში, გვხვდება შეკრებითი რიცხვითი სახელები, რაც ახასიათებს მხოლოდ ამ ტიპის სტრუქტურას; მაგალითად: **семеро** одного не ждут (Мокиенко 2007:589); **двое** пашут, **семеро** руками машут (Мокиенко 2007:199).

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ დანაწევრებადი რიცხვითი სახელები საანალიზო ენების ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში არ დასტურდება.

განსხვავებული სტრუქტურების მქონე ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შემადგენლობაში შედის ორი და მეტი რიცხვითი სახელი. ჩვენ მიერ შეგროვილი და გაანალიზებული მასალის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ქართულ ენაში ამ ტიპის - 63 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულია. მაგალითად:

ერთი მე ვარ ახალგაზრდა და მეორე შენ - დაცინვითი და დამამცირებელი თქმა (სახოკია 1979:179);

ორი თვალი ოთხად უნდა კაცს -ძალიან ფრთხილად (სახოკია 1979:461);

ერთი ფოცხვერია, მეორე ბაბრი - დაუნდობელ ადამიანებზე (სახოკია 1979:181);

ერთი -ალთას, მეორე- ბალთას -არევ-დარეულობა (ონიანი 1966:66);



ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყვესო -ერთმანეთის სიყვარული (სახოკია 1979:41);

ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დააღობოსო - ცუდის კეთება (სახოკია 1979:68);

ერთი მე ვარ და მეორე - თამარ დედოფალი - ამპარტავნობა (სახოკია 1979:179).

**რუსულ ენაში - 39. მაგალითად:**

**Семь бед один ответ** – რისკზე წასვლა (Молотков 1999:691);

**Семеро по заяца, один молотить** – ხელგამლილი ცხოვრება (Молотков 1999:700);

**Семь топоров вместе лежат, а две прялки врознь** – ქალების აუტანლობაზე (Мокиенко 2007:700);

**Семь разь отмерь, один раз отрежь** – დაფიქრდი (Молотков 1999:701);

**Семь гостей- еда, девять беда** – უბედურება (Молотков 1999:703);

**Три бабы – базар, а семь – ярмарка** – ქალების დაცინვა (Мокиенко 2007:781);

**Двух смертей не бывать, одной не миновать** – რაც უნდა მოხდეს, მოხდება (Молотков 1999:67);

**Два одному рать** – არათანასწორი ბრძოლა (Молотков 1999:65);

**Одним ударом двух мух убить** – ერთდროულად ორი საქმის გაკეთება (Молотков 1999:180);

**Один глаз морщит, второй вон тащит** – ცუდ, მყავე ღვინოზე (Молотков 1999:184).

**ესპანურ ენაში - 35. მაგალითად:**

**Vivirá tres y al cuatro** - შიმშილი (Caballero 1947:680);

**Una vía y dos mandados** – ორ კურდღელს გაეკიდები, ვერც ერთს ვერ დაიჭერ (Caballero 1947:59);

**Seis por ocho** – ჩხუბი (Caballero 1947:628);

**No saber cuántas son tres y dos** – ჭკუასუსტი (Caballero 1947:680);

**Dos por tres** - წამიერად (Caballero 1947:680);

**Decir de una hasta ciento** – ჩხუბი (Caballero 1947:69);

**Ser dos personas para en uno** – მეორე ნახევარი (Caballero 1947:232).

**რუსულ ენაში შევგვხვდა მხოლოდ 2 ნფე სამი ნუმერაციით:**

**Один воин тысячи водит, а бог и тысячи и война водит** (Мокиенко 2007:402);

**Сто лет да двадцать, да маленьких пятнадцать** (Мокиенко 2007:298).

აღსანიშნავია, რომ ესპანურ ენაში, ერთად, სამი ნუმერაციაც კი შეინიშნება 4 ფრაზეოლოგიურ ერთეულში:

Como **cinco** y **una** son **seis** – ჭეშმარიტება (Caballero 1947:163);

Como **cinco** y **dos** son **siete** – სიმართლე (Caballero 1947:164);

Como **tres** y **dos** son **cinco** – სრული სიმართლე (Caballero 1947:680);

Hacerle a **uno** un **siete** que parece un **ocho** – უშველებელი ჩხუბი (Caballero 1947:627).

ქართულ ენაში არ შეგვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები სამი ნუმერაციით. როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ მაგალითებში, ესპანურ ენაში, ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ მათემატიკურ ქმედებებს - მიმატებას, გამრავლებას და გაყოფას. ქართულ და რუსულ ენებში ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები წარმოდგენილია მცირე რაოდენობით; მაგალითად: *дважды два четыре* – ‘ცხადია’; *ორჯერ ორი ოთხი* - ‘ცხადია’.

### 1.3.1 იდიომი

მრავალი მონოგრაფია თუ სტატია მიეძღვნა იდიომურ თუ, ზოგადად, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, თუმცა, ნაშრომთა უმრავლესობა ფრაზეოლოგიისა და მასთან დაკავშირებული იდიომატიკის შესახებ უპირატესად უკავშირდება რუსულ ენას და იმ პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა ქვეყნების ენებს. ქართული ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის თეორიული გააზრება დაახლოებით იმავე პერიოდში დაიწყო, კერძოდ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, სავარაუდოდ, რუსული ფრაზეოლოგიის ზეგავლენით, თუმცა, დამოუკიდებელი ლექსიკოგრაფიული ბაზა ამ დროისათვის რუსულისაგან დამოუკიდებლად უკვე არსებობდა. ამიტომაც ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა და ერთმანეთს გაემიჯნა ორი ტერმინი „ფრაზეოლოგია“ და „იდიომატიკა“.

კვლევისას იდიომს სხვადასხვანაირად განმარტავენ: როგორც ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას, ფრაზეოლოგიურ ერთიანობას, რომლებიც შედგება ზოგადი, არამოტივირებული მნიშვნელობის მქონე ორი ან მეტი კომპონენტისაგან და ა.შ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან იდიომის შესახებ ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას: იდიომ-ი (იდიომისა) [ბერძ. idioma] ლინგვ.1. ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება; მაგ.,

ქართული თვალი დაუდგება, ყურს დაუგდებს, ბოლო მოელება, ტანს აიყრის, თავს დადებს და სხვ. 2. ძვ. კილოკავი (ჩიქობავა 1950-1964, ტ.4:599). აქვე გვხვდება, ტერმინი „იდიომატიზმი“ და „იდიომური გამოთქმა“ იდიომის მნიშვნელობით.

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან იდიომის შესახებ ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას: идиома, -ы, ж. Оборот речи, значение которого не определяется значением входящих в него слов, напр. «бить баклуши»\| прил. идиоматический, -ая, - ое. Идиоматическое выражение (Ожегов 2008:305).

ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონიდან იდიომის შესახებ ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას: modismo

*De modo e -ismo.*

1. m. Expresión fija, privativa de una lengua, cuyo significado no se deduce de las palabras que la forman; p. ej., a troche y moche.

2. m. **idiotismo** ( giro o expresión contrarios a las reglas gramaticales); p.ej., ojos vistos.(Real Academia Española 2010:654).

ყველა განმასხვავებელი ნიშნის გათვალისწინებით, იდიომს, როგორც ტერმინოლოგიურ ერთეულს, და მისგან ნაწარმოებ დერივაციულ რიგს, ერთი საერთო ხაზი გასდევს, კერძოდ:

**ქართულში:** იდიომ- (იდიომი, იდიომატიზმი, იდიომურობა, იდიომატიკა, იდიომური გამოთქმა, იდიომატური გამოთქმა);

**რუსულში:** идиом- (идиом, идиома, идиоматичность, идиоматика, идиоматическое выражение);

**ესპანურში:** de modo-e-ismo ( modismo, idiotismo, idiomática, locución idiomática).

აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ სამივე ენაში ტერმინი „იდიომი“ ძველბერძნულიდან მომდინარეობს. როგორც ქართული, ისე რუსული და ესპანური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სავსეა ხალასი ხატოვანი გამოთქმა-იდიომებით.

ჩვენი კვლევის მიზანი ქართული, რუსული და ესპანური ენების ისეთი იდიომური გამოთქმების კვლევაა, რომლებიც შეიცავენ რიცხვით სახელს. მორფოლოგიურად სიტყვა ფორმისა და სინტაქსურად შესიტყვება ფორმის შესწავლის გზით. ჩვენ მიერ იქნება შესწავლილი სახელური და ზმნური იდიომური გამოთქმები, რომელთა სტრუქტურის წარმოქმნაში მონაწილეობს რიცხვითი კომპონენტი.

### 1.3.2 სახელური იდიომები

აღსანიშნავია იდიომური გამოთქმების ორი ტიპი: **სახელური (NP)** და **ზმნური (VP)**. ქართულ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში გამოიკვეთა სახელური იდიომური გამოთქმების შემდეგი ქვეჯგუფები:

#### 1) ორკომპონენტური სახელური იდიომები:

ა)  $NP = a (NUM) + b (N)$  – (ერთი სიტყვით; ერთი მუჭა, ერთი ზურგი, ერთი ცხვირი, ერთი მტკაველი);

ბ)  $NP = a (NUM) + b(NUM)$  – (ერთი ორი).

#### 2) სამკომპონენტური სახელური იდიომები:

ა)  $NP = a (NUM) + b (N) + c (ADJ)$  – (ათასი ქისა მარჩილი);

ბ)  $NP = a (NUM) + b (ADJ) + c (N)$  – (ერთ მშვენიერ დღეს).

#### 3) ოთხკომპონენტური სახელური იდიომები:

ა)  $NP = a (NUM) + b (N) + c (NUM) + d(N)$  – (ერთი ფოცხვერია, მეორე ბაბრი; ერთი მგლისკენ, მეორე თხისკენ);

ბ)  $NP = a (NUM) + b (N) + c (V) + d (N)$  – (შვიდი პარასკევი აქვს დღეში).

განვიხილოთ ორკომპონენტური იდიომური გამოთქმა შემდეგი სტრუქტურით :

$$NP = a (NUM) + b (N)$$

$$NP = \left[ \begin{array}{c} \text{CASE: nom/ins} \\ \text{NUMBER: sg} \end{array} \right] \text{მაგ. (მეცამეტე გოჭი; ერთი ცხვირი და ა.შ.)}$$

აქ ორკომპონენტური სახელური იდიომის პირველი კომპონენტი რიცხვითი სახელია. მაგ. მეცამეტე გოჭი, ერთი ცხვირი, ერთი სიტყვით. ამ შემთხვევებში მსაზღვრელი პრეპოზიციაშია, თუმცა, ჩვეულებრივი შესიტყვებისგან განსხვავებით, რიგ შეზღუდვებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მეორე კომპონენტი წარმოდგენილია სახელობითი ან მოქმედებითი ბრუნვით. სხვაგვარად გამოთქმა კარგავს იდიომატურობას. ეს ეხება არა მხოლოდ იდიომის ზოგად მნიშვნელობას, არამედ ცალკეულ კომპონენტთა მნიშვნელობებსაც. კერძოდ, რიცხვითი სახელის სემანტიკურ თავისებურებას.

ახლა განვიხილავთ შემდეგ ჯგუფს, რომელის მაგალითებიც მწირია ქართულ ენაში

NP= NUM [CASE : dat] + NUM [CASE : nom/erg/dat/gen/ins/adv]

აღნიშნულ სქემაში წამყვანი კომპონენტის, ანუ შიდაკავშირის განსაზღვრული კომპონენტის ფუნქციას წარმოადგენს რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ერთი), ხოლო პირველი კომპონენტის ფუნქციას ასრულებს თანდებულიან მიცემით ბრუნვაში მდგომი სხვა რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ათასში).

**ათასში ერთი** - იშვიათი: „დანარჩენი ღამის მთევლნიც მოიქანცნენ და აქა-იქ მიწვნენ, ათასში ერთს ადგილს თუ-ღა მოისმოდა რომელიმე მოუსვენარის გამარტოებული სიმღერა“ [ალ.ყაზბეგი., „მამის მკვლეელი“].

ქართული ენის სახელური იდიომების მაგალითთა უმრავლესობაში (NUM+N, NUM+NUM, NUM+N+ADJ, NUM+ADJ+N, NUM+N+NUM+N, NUM+N+V+N) რიცხვითი სახელი მართავს შიდა კავშირებს, კერძოდ, იგი განსაზღვრავს და ითხოვს მეორე კომპონენტისაგან კონკრეტულ გრამატიკულ კატეგორიას.

აღსანიშნავია, რომ იდიომური გამოთქმის ერთ-ერთ მეორეხარისხოვან ნიშანს წარმოადგენს სიტყვათა წყობის მყარი რიგი, აგრეთვე იდიომის რედუქციისა თუ გავრცობის შეუძლებლობა და გრამატიკული კატეგორიების უგულებელყოფა. სახელური იდიომური გამოთქმების შესწავლა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტენდენცია აბსოლუტური არ არის.

არ. თაყაიშვილის მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომ „ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან - გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში“ (თაყაიშვილი 1961:22). ქართული ენა კი ამ მხრივ, აფიქსაციით გამოხატული გრამატიკული კატეგორიების სიუხვის გამო, სიტყვათა წყობის შედარებით თავისუფლებით გამოირჩევა. შესაბამისად, ქართული ენის ტენდენციის გათვალისწინებით, სახელურ იდიომურ გამოთქმებს ძირითადად ახასიათებს, როგორც პრეპოზიციური, ასევე პოსტპოზიციური წყობაც. ჩვენს შემთხვევაში კი, პოსტპოზიციური წყობის მაგალითები პრაქტიკულად არ გვხვდება და სიტყვათა ადგილმდებარეობის შეცვლაც კი იწვევს იდიომატურობის დაკარგვას.

რუსულ ენაში გამოვყავით შემდეგი ჯგუფები:

1.ორკომპონენტური სახელური იდიომები:

- ა) NP= a (NUM) + b (N) – один миг, пять баллов, два Аякса;
- ბ) NP = a (NUM) + b (NUM) – один-два, ноль-два;
- გ) NP= a (ADJ) + b (N) – вторая рука, второй хлеб, одного помета.

2.სამკომპონენტური სახელური იდიომები:

- ა) NP= a (N) + b (CONJ) + c (NUM) – все как один, один как сычъ;
- ბ) NP= a (PREP) +b (NUM) + c (N) – в два счета, в два огляда, на два слова.

3.ოთხკომპონენტური სახელური იდიომები:

- ა) NP= a(N)+b(PREP)+c(NUM)+d(NUM) – палка о двух концах;
- ბ) NP= a(NUM)+b(N)+c(PREP)+d(N) – один бог без греха, семь пядей во лбу;
- გ) NP= a(ADJ)+b(N)+c(PREP)+d(N) – седьмая вода на киселе;
- დ) NP= a(NUM)+b(N)+c(NUM)+d(N) – семь бед - один ответ.

ესპანურ ენაში გამოიყო შემდეგი მრავალრიცხოვანი ჯგუფები:

1.ორკომპონენტური სახელური იდიომები:

NP= a(NEG)+b(NUM) – sin cinco.

2.სამკომპონენტური სახელური იდიომები:

- ა) NP= a(NUM)+b(PREP)+c(NUM) – uno por uno, dos por tres, seis por ocho;
- ბ) NP = a (PREP) + b (NUM) + c (N) - a dos pasos, a dos haces.

3.ოთხკომპონენტური სახელური იდიომები:

- ა) NP = a (NUM) + b (N) +c (PREP) + d (ADV)- dos dedos de frente;
- ბ) NP =a (NUM )+ b (NUM) + c (CONJ) + d (NUM) – un cuarenta y uno.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სახელური იდიომების სტრუქტურა წარმოგვიდგენს შემდეგ სურათს:

სახელური იდიომების სტრუქტურა რიცხვითი კომპონენტით

ქართული ენა	რაოდენობა	რუსული ენა	რაოდენობა	ესპანური ენა	რაოდენობა
NUM + N	50	(NUM) + (N)	6	(NEG)+(NUM)	4
NUM + NUM	8	(NUM)+(NUM)	7	(NUM)+(PREP)+(NUM)	45
NUM+N+ADJ	15	(ADJ) + (N)	5	(PREP)+(NUM)+(N)	25
NUM +ADJ + N	14	(N)+(CONJ)+(NUM)	28	(NUM)+(N)+(PREP)+(AD V)	4
NUM+N+NUM+N	10	(PRE)+(NUM)+ (N)	45	(NUM)+(NUM)+(CONJ)+(NUM)	2
NUM +N +V + N	18	(NUM)+(N)+(NUM) +(N)	12		

უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელური იდიომების უმრავლესობა არ იზღუდება გრამატიკული რიცხვით. შესაბამისად, სახელური იდიომები გვხვდება როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითშიც. ნართანიანი მრავლობითის ფორმები, როგორც წესი, სახელურ იდიომებს არ ახასიათებთ.

ქართული, რუსული და ესპანური ენების სახელური იდიომები განსხვავდებიან სტრუქტურული შემადგენლობით. ქართულ ენაში არ გვხვდება მაგალითები, რომელთა სტრუქტურაშიც წინდებული და არტიკლია, რადგან ქართულ ენას არ ახასიათებს ამგვარი რამ. ქართულისაგან განსხვავებით, რუსულ ენაში გავრცობილია სახელური იდიომები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის წინდებული, ხოლო არ გვაქვს მაგალითები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის არტიკლი, რადგან რუსული ენის სტრუქტურას არ ახასიათებს ამგვარი წყობა და, როგორც ქართულში არტიკლის კატეგორია არ გამოიყოფა. ესპანურ ენაში, ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, სახელური იდიომების შემადგენლობაში შედის არტიკლი, ისევე, როგორც რუსულ ენაში, სახელური იდიომების სტრუქტურაში შედის წინდებული.

თუ ქართულ ენაში უმეტეს წილად გვხვდება ორ კომპონენტის სახელური იდიომები ნუმერაციული კომპონენტით, რუსულ და ესპანურ ენას ახასიათებს სამ და ოთხ კომპონენტის სახელური იდიომების სიმრავლე; ჩვენი აზრით, ეს

დაკავშირებულია თვითონ საკვლევ ენების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე.

კვლევამ ცხადყო, რომ საანალიზო ენებში გვხვდება ექვს, ცხრა, თორმეტ და თექვსმეტ კომპონენტის ფრაზეოლოგიური ერთეულები, ხოლო ამ შემთხვევაში საქმე უკვე იდიომებთან კი არ გვაქვს, არამედ ანდაზებთან და ფრთიან თქმებთან.

### 1.3.3 ზმნური იდიომები

ზმნური იდიომების ცენტრალურ კომპონენტს ზმნა წარმოადგენს. ქართული ენის გრამატიკულ და სტილისტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ზმნური იდიომური გამოთქმები ძირითადად იცავს გარკვეულ თანამიმდევრობას შესიტყვებაში. კერძოდ, იდიომი, თავისუფალი შესიტყვების მსგავსად, ზმნას ბოლოში აქცევს.

**ზმნურ იდიომებში გამოიყო შემდეგი ქვეჯგუფები:**

1) **ორკომპონენტისანი ზმნური იდიომები:**

$$VP = a (NUM) + b (V)$$

ამგვარი სქემის მქონე იდიომური გამოთქმები, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება რიცხვითი სახელისა და ზმნის კომბინაციით, არ გამოირჩევა სიმრავლით, სულ შეგვხვდა 13 ერთეული(ათასად იჭრებოდა, მეორედ იშვა და ა.შ.). იდიომათა შემადგენლობაში გვხვდება, როგორც რაოდენობითი, ასევე რიგობითი რიცხვითი სახეები.

$VP = NUM [CASE :adv] + VT^{123} \left[ \begin{array}{l} \text{SERIES: I/II/III} \\ \text{NUMBER:sg/pl} \end{array} \right]$ , როცა ზმნური იდიომური გამოთქმის შემადგენელი რიცხვითი სახელი გაფორმებულია ვითარებითი ბრუნვით. აღნიშნული ჯგუფი მცირერიცხოვანია.

2) **სამკომპონენტისანი ზმნური იდიომები:**

$$VP = a (NUM) + b (ADV) + c (V) - \text{ორ წყალშუა ყოფნა, ორ ცეცხლშუა ყოფნა, ორ სკამზე ჯდომა და ა.შ..}$$

3) **ოთხკომპონენტისანი ზმნური იდიომები:**

ა)  $VP = a (NUM) + b (N) + c (N) + d (V) -$  ორი ხელით პირს იბანს, ორი შოლტი ტყავი აადრო, ცხრა პირი ტყავი აადვრეს;

ბ)  $VP = a (NUM) + b (N) + c (Adj) + d (V) -$  ხუთ ყურზე ახლოს ყოფნა.



**4)ხუთკომპონენტური ზმნური იდიომები:**

VP = a (ADV) + b (NUM) + c (N) + d (NEG) + e (V) - წინ ორი პარასკევი არ უდევს;

VP = a (NUM) + b (N) + c (ADJ) + d (NEG) + e (V) - ორ ხმას ერთად ვერ ამოიღებს.

**რუსულ ენაში გამოვყავით შემდეგი ზმნური იდიომები:**

**1)სამკომპონენტური ზმნური იდიომები:**

VP = a (NUM) + b (N) + c (V) – два пальца подавать, две шкуры драть, двух зайцев убить

**3)ოთხკომპონენტური ზმნური იდიომები:**

ა) VP = a (NUM) + b (N) + c (NEG)+ d (V) – семь верст не доехал;

ბ) VP = a (V) + b (PREP) + c (NUM)+ d (N) – жить на два дома, есть в два горла, орать в две глотки.

**4)ხუთკომპონენტური ზმნური იდიომები:**

ა) VP = a (NUM) + b (N) + c (V)+ d (NEG) + e (V) – два слова связать не может.

**ესპანურ ენაში გამოვყავით შემდეგი ზმნური იდიომები**

**1)სამკომპონენტური ზმნური იდიომები:**

ა) VP= a (V) + b (PREP) + c (NUM) – gritar a una, vete con mil, abultar por siete;

ბ) VP = a (NEG) + b (V) + c (NUM) – no dar una, no marrar una;

გ) VP = a (PROSS) + b (V) + c (NUM) – yo nací primero.

**3)ოთხკომპონენტური ზმნური იდიომები:**

ა) VP = a (V) +b (PREP) + c (NUM) + d (N) – nadar entre dos aguas;

ბ) VP = a (V) +b (NUM) + c (PREP) + d (NUM) – arrastrar uno con treses;

გ) VP = a (V) +b (NUM) + c (ART) + d (NUM) – tomar uno las once.

**4)ხუთკომპონენტური ზმნური იდიომები:**

ა) VP = a (V) +b (NUM) + c (N) + d (PREP) + e (N) – tener tres caras de medico;

ბ) VP = a (V) +b (PREP) + c (NUM) + d (ART) + e (NUM) – contar a uno el cuarenta;

გ) VP = a (NEG) +b (V) + c (PREP) + d (PERS) + e (NUM) – no estar en sus cinco.

ცხრილში წარმოდგენილია ზმნური იდიომების სტრუქტურა რიცხვითი კომპონენტით

ქართული ენა	რაო დენ ობა	რუსული ენა	რაო დენ ობა	ესპანური ენა	რაო დენ ობა
(NUM) + (V)	15	(NUM) + (N) + (V)	28	(V)+(PREP) + (NUM)	31
(NUM)+ (ADV) + (V)	13	(NUM) + (N) + (NEG)+ (V)	4	(NEG) + (V) + (NUM)	16
(NUM) + (N) + (N) + (V)	20	(NUM) + (NUM) + (NEG)+ (V)	3	(PROSS)+(V) + (NUM)	7
(NUM)+(N)+(Adj) + (V)	12	(V) + (PREP) + (NUM)+ (N)	10	(V)+(PREP) + (NUM) +(N)	11
(NUM) + (V) + (NUM) + (V)	17	(NUM) + (N) + (NUM)+ (N) + (V)	5	(V) +(NUM) + (PREP) + (NUM)	9
(NUM) + (N) + (NUM)+ (N) + (V)	3	(NUM) + (N) + (V)+ (NEG) + (V)	2	(V) + (NUM) +(ART) + (NUM)	10
(NUM) + (N) + (ADJ) + (NEG) + (V)	2			(V) + (NUM) + (N) + (PREP) + (N)	5
				(V) +(PREP) + (NUM) + (ART) + e(NUM)	6
				(NEG) + (V) + (PREP) + (PERS) + (NUM)	8

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ზმნური იდიომების ტრანსფორმაციული ცვლილებების ერთ-ერთ პირობას ზმნური კომპონენტის გარდამავლობა ან გარდაუვლობა წარმოადგენს. ქართულში ზმნური კომპონენტის გარდამავლობას უკავშირდება: ა).ზმნის პოლიპერსონალიზმი, ბ).ერგატიული კონსტრუქციის შესაძლებლობა II სერიის ფორმებთან, გ).კონვერსია და დ).ინვერსია. კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისას განსაზღვრული იყო ზმნური იდიომების რამდენიმე შემზღველი, რომელიც განაპირობებს ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას იდიომის ფარგლებში, ესენია: ქცევა, ასპექტი, დრო. ბუნებრივია, რომ ბოლომდე გაქვავებული ერთეულები ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იდიომების

უმეტესობა კი სხვადასხვა სახისა და დონის ტრანსფორმაციებს ექვემდებარება და , შესაბამისად, არ იფარგლება ამა თუ იმ კონკრეტული სერიისა თუ მწკრივის ფორმებით. ქართულ ენაში, სინტაქსური თვალსაზრისით, შეზღუდვები სუბიექტისა და პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ასახვაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენპირიანია ესა თუ ის ზმნა და იდიომის ზმნური კომპონენტი მართავს მათ არა მხოლოდ იდიომის, არამედ მთელი წინადადების ფარგლებში.

კვლევამ ცხადყო, რომ რუსულ და ესპანურ ენებში ორკომპონენტიანი სტრუქტურის მქონე ზმნური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები არ დასტურდება. ქართულში კი ამ სტრუქტურის მქონე ზმნური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები საკმაოდ პროდუქტიულია. რუსული და ესპანური ენებისათვის სამ/ოთხკომპონენტიანი სტრუქტურის მქონე ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები შეადგენენ პროდუქტიულ ტიპს. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია ენების სტრუქტურის თავისებურებებთან. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ და ესპანურ ზმნას არ ახასიათებს მწკრივები, ზმნის პირი, ერგატიული კონსტრუქცია; არც ქცევის გრამატიკული კატეგორია ახასიათებთ ინდოევროპულ ენებს, ქართულისაგან განსხვავებით.

#### **1.4. ნუმერაციულ ელემენტთა ფრაზეოლოგიალური აქტიურობა**

სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის საფუძველზე, შევეცადეთ განგვესაზღვრა რიცხვით სახელთა ფრაზეოლოგიური აქტივობა - კომპონენტთა ანალოგები, ნუმერაციულ (კვანტიტატიურ) კომპონენტთა ფრაზეოლოგიალური აქტიურობის ინდექსები, ასევე კომპონენტ-სიმბოლოები, რომლებიც გამოირჩევიან მაქსიმალური ფრაზეოლოგიური აქტივობით.

ფრაზეოლოგიური და ფრაზეოლოგიალური აქტივობის პარამეტრთა განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ტერმინები გ. სოკოლოვას თეორიიდან ფრაზეოლოგიურ წარმონაქმნთა შესახებ (Сокколова 1987:53-54):

- ❖ ფრაზეოლოგიური აქტივობა - გამოხატული ციფრთა სიდიდის მიხედვით, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რაოდენობის ტოლი, ნაწარმოებნი კონკრეტული რიცხვითი სახელის მონაწილეობით;

- ❖ ფრაზეოლოგიური აქტიურობის (შემდგომში: ფა) ქვედა ზღურბლი - ტოლია 5 ფე (ფრაზეოლოგიური ერთეულის) (ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასების რაოდენობის მიხედვით: ოთხი ნომინაციურია და ერთი კომუნიკაციური);
- ❖ ფრაზეოლოგიური აქტიურობის ზღვარი (ასევე პირველი ზღვარი) - ტოლია 15 ფე;
- ❖ კომპონენტი-სიმბოლო - კვანტიტატიური კომპონენტი, ფრაზეოლოგიური აქტივობა, რომელსაც აღწევს, ყველაზე უმცირესი, მე -3 ზღურბლია ანუ 40 ნფე;
- ❖ ფრაზეოლოგიური აქტიურობის ინდექსი - გამოხატული ციფრთა სიდიდის მიხედვით, უტოლდება ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რაოდენობას, რომლებიც ნაწარმოებია კონკრეტული ნუმერაციული (კვანტიტატიური) კომპონენტის მონაწილეობით ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თითოეულ კლასში.

ანალიზი ჩავატარეთ რიცხვით სახელთა სიტყვაწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით: მორფოლოგიურად მარტივი ლექსემების ჯგუფში განიხილებოდა პირველი, მესამე და მეოთხე ათეულების რიცხვითი სახელები, რომელთა ფრაზეოლოგიური აქტიურობა (ფა) სცილდება, როგორც მინიმუმი, პირველ ზღვარს სამ შეპირისპირებულ ენაში: „ერთი“, „ორი“, „სამი“, „ოთხი“, „ხუთი“, „შვიდი“, „ასი“, „ათასი“ და რიგობითი რიცხვითი სახელი „პირველი“; მორფოლოგიურად რთული ლექსემების ჯგუფში არ გამოვლენილა არც ერთი რიცხვითი სახელი, რომელთა ფა მიაღწევდა პირველ ზღურბლს მაინც .

რიცხვით სახელთა ფრაზეოლოგიური აქტივობისა და კომპონენტთა ანალოგების ზღვართა შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ არ არის ყველა რიცხვითი სახელი ერთნაირად აქტიური ჩვენს საკვლევ ენათა ფრაზეოლოგიურ ნაქმნებში.

ჩვენ მიერ განხილულ ენებში ფრაზეოლოგიური აქტივობის მაქსიმალური დონე ფიქსირდება მორფოლოგიურად მარტივ რიცხვით სახელთა პირველ ათეულში (კომპონენტი „ერთი“ – 303 ნფე, „ორი“ – 90 ნფე, „სამი“ – 33 ნფე, „შვიდი“ – 51 ნფე), ასევე ზოგიერთ რიცხვით სახელთა მესამე (კომპონენტი „ასი“ – 41 ფნე) და მეოთხე (კომპონენტი „1000“ – 22 ფნე) ათეულში. ეს ტენდენცია აიხსნება იმით, რომ პირველი ათეულის რიცხვითი სახელები მარტივებია და არ არიან მოტივირებულნი ისეთი ნიშან-

ლექსემებით, რომლებიც, ფრაზეოლოგიზაციის პროცესში, ადვილად განივრცობიან აბსტრაქტულ მნიშვნელოვნებად.

ქართულ ენაში ფრაზეოლოგიური აქტივობის მინიმალური დონე ფიქსირდება პირველი ათეულის რიცხვით სახელებში: „ოთხი“, „შვიდი“, „ათი“. ფრაზეოლოგიური აქტივობის ქვედა ზღვარს ვერ აღწევენ მეორე ათეულის რიცხვითი სახელები: „13“.

რუსულ ენაში ფრაზეოლოგიური აქტივობის მინიმალური დონე ფიქსირდება მორფოლოგიურად რთული რიცხვითი სახელების მეორე და მესამე ათეულებში. რიცხვითი სახელების „12“, „14“, „24“, „40“, „42“, „72“, „77“, „84“, „200“, „300“, „2000“ ფა -ანი ქვედა ზღვარსაც კი ვერ აღწევს. ამ რიცხვით სახელთა დაბალი ფრაზეოლოგიური აქტივობა, ჩვენი აზრით, აიხსნება როგორც მათი სტრუქტურული გაფორმების სირთულით, ასევე იმ სემანტიკის მოტივირებულობითაც, რომელიც აბრკოლებს აბსტრაქტულ მნიშვნელობათა განვითარებას.

ესპანურ ენაში ფრაზეოლოგიურ აქტივობათა მინიმალური დონე დასტურდება რიცხვით სახელთა პირველ ათეულში: „4“, „6“, „10“. რიცხვითი სახელების: „11“, „12“, „15“, „40“, „41“, „50“, „2000“ ფა ქვედა ზღვარსაც კი ვერ აღწევს.

აღსანიშნავია, რომ სამივე ენაში ნუმერაცია „8“ - არაპროდუქტიულია. ამ კომპონენტით არ გვხვდება არც ერთი ნფე. ასევე, ქართულ და რუსულ ენებში, არაპროდუქტიულია - „6“. ესპანურ ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები ნუმერაციით „6“, მაგრამ მათი ფა ქვედა ზღვარსაც კი ვერ აღწევს.

რუსულ და ესპანურ ენებში არაპროდუქტიულია ნუმერაცია „9“; ამ კომპონენტით არ არის ფრაზეოლოგიური ერთეულები, სამაგიეროდ, ქართულ ენაში ნუმერაცია „9“ -ის ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ მაღალია.

ჩვენს საანალიზო ენებში რიცხვით სახელთა ფრაზეოლოგიური აქტივობების შეპირისპირებისას გამოვლინდა რამოდენიმე სიმბოლო-კომპონენტი: სამივე შესაპირისპირებელ ენაში სიმბოლო-კომპონენტებს წარმოადგენს „ერთი“ (მაქსიმალური ფა შეინიშნება რუსულ ენაში - 120 ნფე) და „ორი“ (მაქსიმალური ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევა ქართული ენა - 40 ნფე).

ცხრილში წარმოდგენილია საანალიზო ენების რიცხვითი სახელების ფრაზეოლოგიური აქტიურობა:

ქართული ენა	ფა	რუსული ენა	ფა	ესპანური ენა	ფა
ერთი	98	Один	120	Uno	85
ორი	40	Два	35	Dos	41
სამი	3	Три	18	Tres	12
ოთხი	6	Четыре	3	Cuatro	4
ხუთი	3	Пять	16	Cinco	16
ექვსი	-	Шесть	-	Seis	3
შვიდი	6	Семь	30	Siete	15
რვა	-	Восемь	-	Ocho	-
ცხრა	27	Девять	-	Nueve	-
ათი	3	Десять	2	Diez	7
თერთმეტი	-	Одиннадцать	-	Once	4
თორმეტი	-	Двенадцать	1	Doce	4
ცამეტი	-	Тринадцать	-	Trece	-
თოთხმეტი	-	Четырнадцать	1	Catorce	-
თხუთმეტი	-	Пятнадцать	-	Quince	1
ოცდაოთხი		Двадцать четыре	1	Veinte y cuatro	
ორმოცი	1	Сорок	4	Cuarenta	3
ორმოცდაერთი	-	Сорок один	-	Cuarenta y uno	1
ორმოცდაორი	-	Сорок два	1	Cuarenta y dos	-
ორმოცდაათი	-	Пятьдесят	-	Cincuenta	1
სამოცდაჩვიდმეტი	-	Семьдесят семь	3	Setenta y siete	-
ოთხმოცდაოთხი	-	Восемьдесят четыре	1	Ochenta y cuatro	-
ასი	21	Сто	11	Cien	9
ორასი	-	Двести	2	Doscientos	-
სამასი	-	Триста	1	Trescientos	-

ათასი	12	Тысяча	9	Mil	6
ორი ათასი	-	Две тысячи	-	Dos mil	1
პირველი	10	Первый	4	Primero	8
მეორე	3	Второй	4	Segundo	3
მეექვსე	1	Шестой	-	Sexto	-
მეშვიდე	3	Седьмой	1	Septimo	-
მერვე	1	Восьмой	-	Octavo	-
მეცამეტე	1	Тринадцатый	-	Decimotercio	-

### 1.5. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია სემანტიკური კავშირის ხარისხის მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომში რიცხვითკომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმების კვლევისას გამოვიყენეთ ვ.ვინოგრადოვის (ვინოგრადოვი 1980:140-161) კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ფრაზეოლოგიზმები დაჯგუფებულია სემანტიკური კავშირის ხარისხის მიხედვით. ამ მეცნიერმა გამოყო ფრაზეოლოგიზმთა სამი ტიპი: ფრაზეოლოგიური შენაზარდი, ფრაზეოლოგიური ერთიანობა და ფრაზეოლოგიური შესიტყვება. განავითარა რა ვ. ვინოგრადოვის ტიპოლოგია, ნ. შანსკიმ შემოიტანა ფრაზეოლოგიზმთა მეოთხე ტიპი - ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (შანსკი 1985: 161).

ნ. შანსკი თავის ნაშრომში „თანამედროვე რუსული ენის ფრაზეოლოგია“, შემდეგ განსაზღვრას გვთავაზობს: „ფრაზეოლოგიური გამონათქვამი - ეს არის მზა ფორმით წარმოქმნილი ენობრივი ერთეული, რომელიც შედგება ორი ან მეტი სიტყვიერი ხასიათის მახვილიანი კომპონენტისაგან, ფიქსირებული (ანუ მუდმივი) თავისი მნიშვნელობით, შემადგენლობითა და სტრუქტურით (შანსკი 1985:45). ეს ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ფრაზეოლოგიური გამონათქვამის ძირითადი თვისება არის მისი **წარმოებულობა**, რადგან „ფრაზეოლოგიზმები ურთიერთობის პროცესში კი არ იქმნებიან, არამედ მზა ერთეულების სახით გვევლინებიან“ (შანსკი 1985:45). ასე

მაგალითად, ფრაზეოლოგიზმები **за тридевять земель, семи пядей во лбу** და სხვ. მეხსიერებიდან ამოტივტივდებიან მთლიანი სახით.

ფრაზეოლოგიური შენაზარდი ფლობს სემანტიკური კავშირის მაქსიმალურ ხარისხს; ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების მთლიანი მნიშვნელობა დამოუკიდებელია მათი სემანტიკური შემადგენლობისგან და მათ კომპონენტთა მნიშვნელობისგან.

**ქართულ ენაში ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს განეკუთვნებიან რიცხვითსახელიანი შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:**

ერთ მაფრაშაში მოქცევა - სხვადასხვა ხასიათის და ნიჭის ადამიანების ერთნაირად აღქმა; *მაფრაშა - ფარდავისებრი ქსოვილის განიერი ოთხკუთხა ტომარა* (ონიანი 1966: 66);

ერთ პირზე დგომა - შეთანხმებულად მოქმედება (ონიანი 1966: 66);

ერთი სიცოცხლის გათავება - შეშინება (ონიანი 1966:67);

ერთი ყოფა დააწია - გაუჯავრდა, დატუქსა (ონიანი 1966:67).

**რუსულ ენაში ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს განეკუთვნებიან რიცხვითსახელიანი შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:**

Всыпать (задать) по **первое** число – დასჯა (Молотков 1999:528);

Ни **одна** собака – საერთოდ არავინ, ითქმის ადამიანზე (Молотков 1999:443);

**Сорок** сороков – რაიმეს დიდი რაოდენობა (Молотков 1999:447);

**Семь** пядей во лбу – ძალიან ჭკვიანი (Молотков 1999:373);

**Седьмая** (десятая) вода на киселе – შორეული ნათესავი (Молотков 1999:73).

**ესპანურ ენაში ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს განეკუთვნებიან რიცხვითსახელიანი შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:**

**Seis por ocho**- ჩხუბი (Caballero 1947:628);

Comer donde dan las **doce** - მორგებული, ყოჩადი (Caballero 1947:248);

Tener la cabeza a las **once** - არანორმალური (Caballero 1947:331);

Poner a uno las peras a **cuatro** (a **ocho**) - ვინმეს ყელში წაწვდომა (Caballero 1947:192).

ფრაზეოლოგიური ერთიანობანი ხასიათდება კომპონენტთა სემანტიკური შერწყმის ნაკლები ხარისხით. მათ მნიშვნელობებში, ჩვეულებრივი ხმარებისას, შეიძლება გამოიყოს კომპონენტთა მნიშვნელობებით მოტივირებული აზრი.

**ფრაზეოლოგიური ერთიანობანის მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ქართულ ენაში:**

ორ სკამზე ჯდომა - მერყეობა, უპრინციპობა (ონიანი 1966:123);



ათასად იჭრებოდა-ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება (სახოკია 1979:12);

ერთ ამბავშია - ცელქობა (ონიანი 1966:66).

**ფრაზეოლოგიური ერთიანობანის მაგალითები რიცხვითი კომპონენტით რუსულ ენაში:**

Играть **вторую** скрипку – მთავარი რომელიმე საქმეში (სიტყვასიტყვით: მეორე ვიოლინოზე დაკვრა) (Молотков 1999:143);

Не **первой** свежести – დაგლეჯილი, ძველი, ჭუჭყიანი (სიტყვასიტყვით: პირველი სიახლის არ არის) (Молотков 1999:252);

В **два** вершка от горшка – ძალიან დაბალი, დაბალი სიმაღლის, პატარა (სიტყვასიტყვით: ორი გოჯი ქოთნიდან) (Молотков 1999:59);

**Пятое** колесо в телеге – ზედმეტი ადამიანი რომელიმე საქმეში (სიტყვასიტყვით: მეხუთე ბორბალი ურემში) (Молотков 1999:533).

**ფრაზეოლოგიური ერთიანობანის მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ესპანურ ენაში:**

A **dos** haces - ფარისეველი (სიტყვასიტყვით: ორ ყოფაში) (Caballero 1947:239);

Al **primer** gallo - შუაღამეს (სიტყვასიტყვით: პირველი მამლით) (Caballero 1947:721);

Ir\ salir entre **cuatro**- ფეხებით წინ (სიტყვასიტყვით: წასვლა / გამოსვლა ოთხს შუა) (Caballero 1947:191);

Gil y **mil**- ალხანა - ჩალხანა (სიტყვასიტყვით: ხილი და ათასი) (Caballero 1947:951).

ფრაზეოლოგიური ერთიანობები, განსხვავებით შენაზარდებისა და შესიტყვებებისა, არ ფლობენ მთლიან მნიშვნელობას და ინარჩუნებენ თავიანთ სემანტიკურ დანაწევრებას. როგორც წესი, ისინი შედგებიან ორი კომპონენტისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ინარჩუნებს პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას, მეორეს კი აქვს გადატანითი, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაში, ა. მოლოტკოვის რედაქციით გამოცემულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკონში, დადასტურებულია მხოლოდ ერთი ფრაზეოლოგიური შესიტყვება:

В **двух** (в **трех**, в нескольких) шагах – ძალიან ახლოს (სიტყვასიტყვით: ორ, სამ ნაბიჯში) (Молотков 1999:531).

**ფრაზეოლოგიური შესიტყვების მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ქართულ ენაში:**

ერთი ფეხით მოვუსწარ - სულ ცოტათი, ოდნავ მოვუსწარი (სახოკია 1979:180);

ერთი ჯამი საწამლავი - დიდი ტანჯვა, სიკვდილი (სახოკია 1979:183);

ერთი ცის ქვეშ ვართ დაბადებულნი - მახლობელნი ვართ (სახოკია 1979:184);

თვალი-ოთხი, ყური - ექვსი - ძალიან უნდა ფრთხილობდე (სახოკია 1979:254).

**ფრაზეოლოგიური შესიტყვების მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ესპანურ ენაში:**

Decir las **cuatro** verdades – (სიტყვასიტყვით: ოთხი სიმართლის თქმა) (Caballero 1947:190);

Decir **mil** buenos a uno - კარგის თქმა ვინმეზე (სიტყვასიტყვით: ათასი კარგი სიტყვის თქმა ვინმესადმი) (Caballero 1947:951);

A las **mil** maravillas - მშვენიერი (სიტყვასიტყვით: ათასი საოცრება) (Caballero 1947:950);

**Cien** (**mil**) veces - ათასჯერ (სიტყვასიტყვით: ასჯერ (ათასჯერ)) (Caballero 1947:750).

ფრაზეოლოგიური ერთეულები - თავიანთი მყარი შემადგენლობითა და გამოყენებით, წარმოადგენენ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, არიან სემანტიკურად დანაწევრებადი და შედგებიან თავისუფალმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან. (შანსკი 1985:48)

**ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ქართულ ენაში:**

ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო (სახოკია 1967:21);

ას ცულ მშობელს ერთი კარგი შემნახავი სჯობიავო (სახოკია 1967:24);

ცხრა დედაკაცის ჭკუა ერთი თხილის ნაჭუჭში ეტეოდაო (სახოკია 1967:227);

ერთ ქვეყანაში ძალი არ იყო და კატას აყეფებდნენო (სახოკია 1967:63).

**ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები რიცხვითი კომპონენტით რუსულ ენაში:**

**Семеро одного** не ждут – შვიდი ერთს არ ელოდება (Мокиенко 2007:589);

**Семь** раз отмерь, **раз** отрежь – შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოჭერი (Мокиенко 2007:701);

**Семь** бед, **один** ответ – შვიდი უბედურება, ერთი პასუხი (Молотков 1999:691);

Не имей **сто** рублей, а имей **сто** друзей – არ გქონდეს ასი რუბლი, გყავდეს ასი მეგობარი (Мокиенко 2007:51).

**ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები რიცხვითი კომპონენტით ესპანურ ენაში:**


Con **una** rueda no anda una careta - ერთი ბორბლით ურემი არ დადის (Correas 1906:70);

Amor grande, vence **mil** dificultades -დიდი სიყვარული იმარჯვებს ათას სიძნელეზე (Correas 1906:900).

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრაზეოლოგიური შენაზარდი და ფრაზეოლოგიური ერთიანობა, როგორც ენობრივი ერთეულები, ფლობენ სემანტიკურ განუყოფლობას, მნიშვნელობის მთლიანობას და შეიძლება დავუპირისპიროთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, როგორც სემანტიკურად გაყოფადს და ერთიანი მნიშვნელობების არმქონე ენობრივ ერთეულებს. თავიანთ მხრივ, ფრაზეოლოგიური შენაზარდი და ფრაზეოლოგიური ერთიანობაც, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათ კომპონენტთა შიდა სემანტიკური მთლიანობის ხარისხით. (იხ. დანართი №4).

ფრაზეოლოგიური გამონათქვამები განსხვავდებიან ფრაზეოლოგიური შესიტყვებისაგან მათში ფრაზეოლოგიურად მაკავშირებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების არ არსებობის გამო.

დიაგრამაზე ნაჩვენებია რიცხვობრივი მონაცემები ქართული, რუსული და ესპანური ენების მონაცემთა გათვალისწინებით



## 1.5.1 ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია გრამატიკულ კრიტერიუმთა მიხედვით

ესპანურ ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაცია, შემოთავაზებული ხულიო კასარესის მიერ, ეფუძნება გრამატიკულ კრიტერიუმთა გამოყოფის პრინციპს, რომელთა მიხედვითაც მეტყველებაში წარმოქმნილ სიტყვაშეერთებებს იგი ყოფს სამ ძირითად ტიპად: გამონათქვამები (locuciones), ანდაზური ფრაზები (frases proverbiales) და ანდაზები (refranes). კასარესი, ფუნქციონალურ-გრამატიკულ ნიშანთა საფუძველზე, გამონათქვამებს ქვეჯგუფებად ყოფს. მისი მოსაზრებით, გამონათქვამთა ორი ჯგუფია: დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონენი და დამხმარენი (locuciones significantes o conceptuales y locuciones conexas). სადისერტაციო ნაშრომში არ განვიხილავთ დამხმარე ფრაზეოლოგიზმებს, რადგან მათში არ არსებობს რიცხვითი კომპონენტი. კასარესი განასხვავებს ფრაზეოლოგიზმთა შვიდ ძირითად ჯგუფს: სუბსტანტიურები, ადიექტიურები, ზმნიზედურები, ზმნურები, მიმღობითები, ნაცვალსახელოვანები და შორისდებულოვანები.

ქართული, რუსული და ესპანური ენების ლექსიკონთა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა შემდეგი შედეგი:

რიცხვითი კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მრავალრიცხოვან ჯგუფებს მიეკუთვნება:

- ❖ **ზმნურები (locuciones verbales)** – ასახელებენ მოქმედებას და არიან ზმნის ეკვივალენტურნი.

ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 42% შეადგენს ზმნურ ჯგუფს.

მაგალითად:

ორი ხელით პირის დაბანა - თავის პატრონობა (სახოკია 1979:476);

ერთ ყურში შეუშვებს და მეორედან გაუშვებს- არად ჩაგდება (ონიანი 1966:66);

ცხრა საცრის პური უჭამია- ბევრი სიმწრის ნახვა (სახოკია:827);

ასი ყურის გამობმა - მოსმენა, ყველაფრის ცოდნა (სახოკია 1979:29);

ერთი ფეხით სამარეში ყოფნა - სიკვდილის პირას (ონიანი 1966:67);

ორ წყალშუა დგომა- უსაშველოდ ყოფნა (სახოკია 1979:479);

ორ სკამზე ჯდომა - მერყეობა (ონიანი 1966:114).

რუსული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 50,6 % შეადგენს ზმნურ ჯგუფს.

მაგალითად:

Убить **двух** зайцев - ორი საქმის კეთება ერთდროულად (Молотков 1999:487);

Заблудиться в **трех** соснах - გამოსავალის ვერ პოვნა (Молотков 1999:502);

Бить в **одну** точку - მოთმინებით მიზნისაკენ სვლა (Молотков 1999:204);

ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 48,71% შეადგენს ზმნურ ჯგუფს. მაგალითად:

Tener la cabeza a las **once** - ჭკუიდან გადასვლა (სიტყვასიტყვით: თერთმეტის გაკეთება) (Caballero 1947:382);

Seguir en sus **trece** - დაძალება (სიტყვასიტყვით: გაგრძელება თავის ცამეტში) (Caballero 1947:688);

Dar a uno con los **ochos** y los **nueves** - რამდენიმე თბილი სიტყვის თქმა (სიტყვასიტყვით: ვინმეს მიცემა / მიგდება რვიანებით და ცხრიანებით) (Caballero 1947:357);

Hacer las **once**- დანაყრება (სიტყვასიტყვით: თერთმეტის გაკეთება) (Caballero 1947:382);

❖ ადიექტიური ფრაზეოლოგიზმები (**adjetivas**) – ასახელებენ პიროვნებათა და საგანთა ხარისხობრივ დახასიათებას და ასრულებენ ზედსართავთა ფუნქციებს:

ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 19,74% შეადგენს ადიექტიურ ჯგუფს. მაგალითად:

წელში **ორად** მოხრილი -უბედური (სახოკია 1979:480);

**ცხრად** მოკაკული - საცოდავი (სახოკია 1979:825);

**ცხრა** ჩალაში გამოვლილი -გამოცდილი (სახოკია 1979:828);

**მეშვიდე** ცამდე მიწეული -დიდი სიხარული (ონიანი 1966:112);

რუსული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 15,78% შეადგენს ადიექტიურ ჯგუფს. მაგალითად:

По **первое** число - დასჯა (Молотков 1999:528);

**Первый** блин комом - არ გამოვიდა/ ვერ გამოვიდა პირველ ჯერზე (Молотков 1999:188);

**Тридевятое** царство (тридевятое государство) - ძალიან შორს (Мокиенко 2007:677);

ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 20,51% შეადგენს ადიექტიურ ჯგუფს. მაგალითად:

A **dos** caras - ფარისეველი (სიტყვასიტყვით: ადამიანი ორი სახით) (Caballero 1947:241);

De **tres** pepinos – საშუალო (სიტყვასიტყვით: სამი კიტრით) (Caballero 1947:679);

De **tres\cuatro\siete** suelas - მაგარი, გამძლე (სიტყვასიტყვით: სამი, ოთხი, შვიდი ძირით) (Caballero 1947:680);

De **primera** - მთლად გადარეული ( სიტყვასიტყვით: პირველი) (Caballero 1947:721);

❖ **ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები (adverbiales)** – ასახელებენ მოქმედებისა და მდგომარეობის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ მახასიათებლებს.

ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 18,06% შეადგენს ზმნიზედურ ჯგუფს. მაგალითად:

ერთი ხელის მოსმით - უცებ (ონიანი 1966:67);

ერთი თვალის გადავლებით - სხარტად (სახოკია 1979:186);

ოცდაოთხ საათში - სწრაფად, ჩქარა (სახოკია 1979:482);

ოთხ კედელშუა - ჩუმად, საიდუმლოდ (სახოკია 1979:472);

ერთ ჭერქვეშ - მეგობარნი ვართ (სახოკია 1979:185);

რუსული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 20,64% შეადგენს ზმნიზედურ ჯგუფს. მაგალითად:

В **двух** шагах - ახლოს (Молотков 1999:531);

В **четырёх** стенах - ჩაკეტილი (Молотков 1999:638);

За **семью** замками - დატყვევებული (Молотков 1999:96);

ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 17,94% შეადგენს ზმნიზედურ ჯგუფს. მაგალითად:

A **dos** pasos - ორ ნაბიჯში (Caballero 1947:241);

De **cien (mil)** leguas- შორიდან, დიდ მანძილზე ( ას (ათას) ლეეზე) (Caballero 1947:836);

❖ **სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები:** აღსანიშნავია, რომ ნაკლები რაოდენობისაა ნუმერაციული კომპონენტის შემცველი სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები

(nominales) – გამომხატველნი პიროვნებებისა, საგნებისა და მოვლენებისა, ეკვივალენტური არსებითი სახელებისა.

ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 15,96% შეადგენს სუბსტანტიურ ჯგუფს. მაგალითად:

ცხრა ზნის დედა - გარყვნილია (სახვია 1979:825);

მეცამეტე გოჭი - მეტიჩარა (სახვია 1979:392);

რუსული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 10,12% შეადგენს სუბსტანტიურ ჯგუფს. მაგალითად:

Семь пятниц на неделе - ცვალებადი ხასიათი (Молотков 1999:415);

Один бог безгрешен - ყველა ცოდვილია (Молотков 1999:193);

Двадцать четыре часа - ბედისწერა (Молотков 1999:92);

На сорок сороков - დიდი რაოდენობა (Молотков 1999:447).

ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების 10,25% შეადგენს სუბსტანტიურ ჯგუფს. მაგალითად:

Cuatro palabras - მოკლე საუბარი (სიტყვასიტყვით: ოთხი სიტყვა) (Caballero 1947:192);

El quinto infierno - ღრმა, შორეული ადგილი (სიტყვასიტყვით: მეხუთე ჯოჯობეთი) (Caballero R.,1947:167);

Cuatro ojos - ბრუციანი (სიტყვასიტყვით: ოთხი თვალი) (Caballero 1947:192);

Regla de tres - მიზეზი, მოტივი ( სიტყვასიტყვით: სამის წესი) (Caballero 1947:679).

❖ მიმღეობითი: კვლევამ ცხადყო, რომ მიმღეობითი ფრაზეოლოგიზმები (participales) „რიცხვითი“ კომპონენტით არ გამოვლინდა არც ერთ საანალიზო ენაში.

❖ ნაცვალსახელოვანი: ქართული და რუსული ენების ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში ნაცვალსახელოვანი ფრაზეოლოგიური ერთეულები არ დადასტურდა, ხოლო ერთეული შემთხვევები შევგვხვდა ესპანური ენის რიცხვითსახელიანი კომპონენტის შემცველ ნაცვალსახელოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (pronominales), რაც წარმოადგენს 0,51%. მაგალითად:

Uno que otro - რამდენიმე (სიტყვასიტყვით: ერთი, რაც მეორე) (Caballero 1947:54).

❖ შორისდებულოვანი: სამივე საანალიზო ენაში ძალზე შეზღუდულია შორისდებულოვან ფრაზეოლოგიზმთა (interjektivitas) ჯგუფი. ქართულ ენაში იგი შეადგენს 4,2%; რუსულ ენაში - 2,83%. ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების შემცველი შორისდებულოვანი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფი შეადგენს 2,05%. მაგალითად:


¡ ni por **un** ojo de la cara! - არასოდეს (სიტყვასიტყვით: არც ერთი თვალიდან ) (Caballero 1947:62);

¡ la gran **siete!** - უბედურება (სიტყვასიტყვით: დიდი შვიდი) (Caballero 1947:627).

ცხრილში ნაჩვენებია რიცხვობრივი მონაცემები ქართული, რუსული და ესპანური ენების მონაცემთა გათვალისწინებით

ნუმერაციული კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულის ტიპი	რაოდენობა ქართულ ენაში	%	რაოდენობა რუსულ ენაში	%	რაოდენობა ესპანურ ენაში	%
ზმნური	100	42,01%	125	50,6%	121	48,71%
ადიექტიური	47	19,74%	39	15,78%	40	20,51%
ზმნიზედური	43	18,06%	51	20,64%	35	17,94%
სუბსტანტიური	38	15,96%	25	10,12%	20	10,25%
მიმღებობითი	რიცხვითი კომპონენტით არ დასტურდება	-	რიცხვითი კომპონენტით არ დასტურდება	-	რიცხვითი კომპონენტით არ დასტურდება	-
ნაცვალსახელოვანი	რიცხვითი კომპონენტით არ დასტურდება	-	რიცხვითი კომპონენტით არ დასტურდება	-	1	0,51%
შორისდებულოვანი	10	4,2%	7	2,83%	4	2,05%





### 1.6. ნუმერაციული კომპონენტების ადგილი ფრაზეოლოგიზმებში

ცნობილია, რომ ქართული ენა მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს და აგებულების მიხედვით აგლუტინაციურია; რუსული მიეკუთვნება ენათა ინდოევროპულ ოჯახს, აღმოსავლეთ სლავური ენაა და აგებულების მიხედვით ფლექსიურია; ესპანური კი - პლურიცენტრისტული, იბერო-რომანული ენაა და განეკუთვნება შერეულ ენათა ტიპს. ცხადია, ეს განაპირობებს იმას, რომ სამივე ენის სტრუქტურა სხვადასხვანაირია, რაც გამოიხატება ნუმერაციული ერთეულების ადგილით ფრაზეოლოგიზმებში.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნუმერაციების ადგილი სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებულია. ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში მთავარი კომპონენტი - რიცხვითი სახელია. თუ რიცხვით სახელს ამოვიღებთ ფრაზეოლოგიზმიდან, მაშინ მთლიანად ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურა დაიშლება. მაგალითად : **ოთხში** ამოღება, ჩვენ თუ რიცხვით კომპონენტს - ოთხს მოვაშორებთ, დაგვრჩება სიტყვა - ამოღება და ამ შემთხვევაში გაურკვეველი დარჩება ფრაზეოლოგიზაცია; **седьмая** вода на киселе - შორეული ნათესავი, თუ რიცხვით კომპონენტს - **седьмая** ამოვიღებთ ფრაზეოლოგიზმიდან, დაგვრჩება თავისუფალი გამონათქვამი - вода на киселе, რომელსაც უკვე არანაირი კავშირი არ ექნება ფრაზეოლოგიზმთან; ესპანური ფრაზეოლოგიზმი **cuatro** ojos - ბრუციანი, თუ ამოვიკვეთავთ რიცხვით კომპონენტს - **cuatro** (ოთხი), დაგვრჩება სიტყვა - ojos (თვალები) და ამ

შემთხვევაშიც ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურა იქნება დარღვეული. ამგვარად, კარგად ჩანს, რომ ფრაზეოლოგიზმი მთლიანი, ერთიანი ერთეულია, რომელიც არ იძლევა საშუალებას მისი კომპონენტების ამოკვეთისა ან და გადაადგილებისა.

დაკვირვებებიდან გამომდინარე, ქართულ ენაში აღმოჩნდა, რომ ნუმერაციების ადგილი მკაცრად განსაზღვრულია და მათ უკავიათ საწყისი ადგილი ფრაზეოლოგიზმებში. შეგვხვდა მხოლოდ ორი ფრაზეოლოგიზმი, სადაც ნუმერაციული ერთეული არსებითი სახელის შემდეგაა - საქმე **ორმოც** დღეზე გადავიდაო, წელში **ორად** მოხრილი.

**საწყისი ადგილი :**

**ორივე** ყბით ჭამა - მადიანად ჭამა (სახოკია 1979:475);

**ორი** დღის სიცოცხლე - ხანმოკლე, წუთიერი სიცოცხლე (სახოკია 1979:474);

**ერთი** ქორწილის ხალხი - დიდძალი ხალხი, ბევრი (სახოკია 1979:181);

**ერთი** ფეხით მოვუსწარ - სულ ცოტათი, ოდნავ (სახოკია 1979:180);

**ცხრა** შოლტი ტყავი ასძვრა - მეტად დაიტანჯა (სახოკია 1979:828);

**ხუთ** ყურზე ახლო არიან - ის ადგილი შორს არ გეგონოს (სახოკია 1979:915).

რუსულ ენაში, ქართულისაგან განსხვავებით, ნუმერაციები გვხვდება ფრაზეოლოგიზმების თავში, შუაში და ბოლოში:

1. თავში :

- **Семеро одгого** не ждут;
- **Семь** пятниц на неделе;
- **Два** – одному рать;
- **Один** в пое не войн;
- **Одна** беда не беда;
- **Семь** бед – **один** ответ.

2. არსებითი სახელის შემდეგ:

- у бабы **семьдесят две** увертки в день;
- Этой яголке **сорок два** года;
- Дай дураку волю, а он **две** возьмет.

3. ზმნის შემდეგ:

- Бить **одну** точку;
- Заблудиться в **трех** соснах;

- Поймать **двух** зайцев.

#### 4. ბოლოში:

- Продли бог на **сорок сороков**;
- Всем бы денежкам вашим покато со двора, а на их место **сто** на **сто**.

ესპანურ ენაში, როგორც რუსულში, გვხვდება ნუმერაციები ფრაზეოლოგიზმის დასაწყისში, შუაში და ბოლოში:

#### 1. თავში:

- **Dos** por tres;
- **Siete** hijos de un vientre , cada uno de su miente;
- **Uno** piensa el asno, y **otro** el albarda;
- **Una** no es ninguna;
- **Dos mil** de a caballo.

#### 2. ზმნის შემდეგ:

- Hacerse **una** cruz en la barriga;
- Estar a **tres** menos cuartillo;
- Decir las **cuatro** verdades ;
- Tener **tres** caras de medico;
- Dar **cinco** de corto.

#### 3. ბოლოში :

- Ponerse una cosa en **dos**;
- No estar en sus **cinco**;
- Estas son otras **cuarenta**;
- No saber cuarentas son **cinco**;
- Vete con **mil** ;
- Ni a la de **tres**;
- Se armó **una**;
- Yo nací **primero**.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ, ზემოთ დასახელებულ ენებში ნუმერაციების ადგილი ფრაზეოლოგიზმებში სხვადასხვანაირია. ქართული ენა გამოირჩევა ნუმერაციების განლაგების მკაცრი წესით. რუსული და ესპანური ქართულთან შედარებით, ამ მხრივ თავისუფალი წყობის ენებია და ნუმერაციები გვხვდება, როგორც ფრაზეოლოგიზმების თავში, ასევე შუაში და ბოლოში.

## თავი II

### ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკა

#### 2.1. ენა და კულტურა

ენისა და კულტურის თანაფარდობის საკითხი რთულიცაა და უაღრესად აქტუალურიც. მისი სირთულე განპირობებულია დასაკვირვებელ მოვლენათა მრავალფეროვნებით: ენა და კულტურა, თავიანთი სხვადასხვა მხარით, ერთმანეთს გადაკვეთენ და ერთმანეთს ერთვიან. ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა განპირობებულია გლობალიზაციის მძაფრი პროცესებით, კულტურათა ნიველირების მოსალოდნელი საფრთხით. ამ საკითხის მეტი სიცხადისათვის უნდა განისაზღვროს სიტყვების „ენა“ და „კულტურა“ მნიშვნელობები. კულტურა აღნიშნავს რომელიმე საზოგადოების - ხალხის, ერის, სახელმწიფოს მოღვაწეობათა შედეგების ერთობლიობას; საზოგადოების ინტელექტუალური მოღვაწეობის ფართოდ აღიარებულ სფეროთა ერთობლიობას, რომელიც შეიცავს მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და ასევე, ინტელექტუალური მოღვაწეობით განპირობებულ მორალურ - ქცევით წესებს. ამ მიმართებით, ენა არის ხალხისა და მისი ინდივიდების მიერ აზრთა ფორმირებისა და გადმოცემის სიტყვიერი საშუალება ურთიერთობის პროცესში; ასევე, ხალხთა კულტურის შეგროვებისა და შენარჩუნების საშუალებაც. რადგან კულტურა წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრებისა და ინტელექტუალური მოღვაწეობის ყოველი ეტაპის მონაკვეთს, ენა კი არის საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიულად შექმნილი პროდუქტი, რომელიც ემსახურება ამ მოღვაწეობის ასახვასა და გადმოცემას, ენისა და კულტურის თანაფარდობა დიალექტიკურად წინააღმდეგობრივია. წინააღმდეგობრიობა მდგომარეობს იმაში, რომ ენა ერთდროულად კულტურის ორგანული ნაწილიცაა და ამ „კულტურის“ შექმნის ინსტრუმენტიც. ენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას არა მხოლოდ ურთიერთობისათვის და აზრის გამოხატვისათვის, არამედ კულტურის ცოდნათა აკუმულირებისათვისაც. იგი არის ხალხის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი და, ზნე-ჩვეულებათა და ადათ-წესებთან ერთად, წარმოადგენს ამა თუ იმ ერის კულტურულ მემკვიდრეობას. „არის რა ერის ერთ-ერთი ნიშანი“, მისი „სოციალური

ურთიერთქმედება“, ენა წარმოადგენს ნაციონალური კულტურის არსებობისა და გამოხატვის მთავარ ფორმას“ (ვორობიევი 1997: 12). ამის შესაბამისად, ენა გვეკლინება კულტურის რეალიზებული არსის სახით, ენის არსებობა დიალექტიკურად უკავშირდება საზოგადოებისა და კულტურის განვითარებას. იმავდროულად, ენა არა მხოლოდ მომენტალურად ასახავს თანამედროვე კულტურას, არამედ აფიქსირებს კიდევ მის წინამავალ მდგომარეობებს და გადმოსცემს მის ღირებულებებს მომავალში (მიხაილოვა 1998: 106).

ენა არის ხალხის კულტურის, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის სარკე; მრავალ შემთხვევაში, ის არის ხალხის ისტორიისა და მსოფლმხედველობის წყარო, რასაც წარმატებით იყენებენ კულტუროლოგები და მითოლოგები თავიანთ კვლევებში. ენის აქტიურ და კონსტრუქციულ თვისებას, ასევე ხალხის კულტურის, ფსიქოლოგიისა და შემოქმედების ფორმირებაზე მისი ზემოქმედების უნარს ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში. ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირის პრობლემის კვლევას ლინგვისტიკაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. XIX საუკუნის დასაწყისში ეს პრობლემა წარმატებით მუშავდებოდა ძმები გრიმების მიერ, რომელთაც შექმნეს საყოველთაოდ ცნობილი მითოლოგიური სკოლა, რამაც გაგრძელება პოვა XIX საუკუნის 60 – 70 -იანი წლების რუსეთში, ფ. ი. ბუსლაევის, ა. ი. აფანასიევის, ა. ა. პოტებნიას ნაშრომებში. ამ პრობლემის დამუშავებაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვ. ჰუმბოლდტის შრომებს, რომელიც ენაში ხედავდა ხალხის სულის, მსოფლშეცნობისა და მენტალიტეტის გამოვლენასა და ხორცშესხმას. იკვლევდა რა სხვადასხვა ენებს, ჰუმბოლდტმა, თავის მთავარ ლინგვისტურ ნაშრომში „ადამიანთა ენების აგებულების განსხვავებათა შესახებ და მისი გავლენა ადამიანთა მოდგმის სულიერ განვითარებაზე“ (1836), ჩამოაყალიბა ენისა და ხალხის ხასიათებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დებულება, გადაწყვიტა ენათმეცნიერების მრავალი კარდინალური პრობლემა და ამ საკითხებზე მისი შეხედულებები დღემდე აქტუალურია.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ლინგვისტიკის ანთროპოლოგიურ პარადიგმაზე გადასვლამ სტიმული მისცა ჰუმანიტარულ კვლევათა ინტერდისციპლინარული დარგების სწრაფ განვითარებას, რომელთაც საფუძვლად უდევთ „ადამიანი - ენა - კულტურა“. ის გაგება, რომ ხალხის ისტორია-კულტურასა და

მის ენასთან შორის კავშირი დგინდება ხალხის აზროვნებაში, გაჩნდა მხოლოდ კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმოშობის შემდეგ. ხალხის ისტორიისა და კულტურის თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, განიცდიან გააზრებას, შედიან ხალხის აზრთა სამყაროში, შემდეგ კი, იღებენ რა ენობრივ გამოხატულებას, ჩაერთვებიან ხალხის ენის სემანტიკურ სივრცეში და რჩებიან იქ (Ллоес 1988:124).

კონტრასტული კვლევების განვითარებამ, „ენისა და კულტურის“, „ენისა და აზროვნების“ პრობლემებისადმი ინტერესის აქტივიზაციამ, ენის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში კოგნიტიური და ეთნოლინგვისტური დაკვირვებების გაფართოებამ, ასევე ნაციონალურ ენათა და ნაციონალურ შემეცნებას შორის თანაფარდობის სფეროში ექსპერიმენტალურ და ფსიქოლინგვისტურ კვლევათა განვითარებამ - ამ ყველაფერმა გამოიწვია მკვლევართა ყურადღების შესამჩნევი ამაღლება ენისა და კულტურის პრობლემის მიმართ. ენასა და კულტურას ახასიათებს საერთო ნიშნები: შემეცნების ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ხალხისა და ინდივიდის მსოფლმხედველობას. ენის გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა მრავალი შესაძლებლობა, რომ შევნიშნოთ ენის არსებითი დახასიათების სხვა წახნაგებიც, რომლებიც უკავშირდება მაგიას, რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებას, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, სადაც მთავარი როლი ენას განეკუთვნება. თანამედროვე კვლევები (აპრესიანი 1995; არუტიუნოვა 1991; 1995; 1995 ა; ბულიგინა, შმელოვი 1997; ვეჟბიცკაია 1996; ვორობიევი 1996; 1997; გლოვინსკაია 1990; 1992; 1993; ჰუმბოლდტი 1985; კარასიკი 1996; კოლესოვი 1995; კუპინი 1995; 1995 ა; 1996; შახოვსკი 1996 და სხვ) ადასტურებენ, რომ სხვადასხვა ხალხთა მენტალიტეტისა და კულტურას შორის განსხვავება საკმაოდ მკაფიოდაა ასახული ენაში. კონკრეტული ეთნოსის შემეცნებითი გამოცდილების თავისებურებანი, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შტრიხები ექსპლიციტურად ხორციელდება ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

## 2.2. რიცხვების სიმბოლოკა ქართული, რუსული და ესპანური ენების

### ნაციონალურ კულტურებში

რიცხვით სახელთა კვლევა, მათში რიცხვის ცნების ეთნოკულტურულ და მენტალურ თავისებურებათა ასახვის თვალსაზრისით, ხორციელდება არა მარტო ლინგვისტა მიერ, არამედ ფსიქოლოგთა, ეთნოლოგთა, კულტუროლოგთა, ისტორიკოსთა, მათემატიკოსთა და ფილოსოფოსთა მიერაც. სიმბოლოთა კულტურულ სისტემაში, რიცხვებს გააჩნიათ დამატებითი, სიმბოლური მნიშვნელობები და ამიტომაც წარმოადგენენ სემიოტიკურად პოლიფუნქციონალურ ნიშნებს.

თითოეული რიცხვი ფლობს თავის სიმბოლიკას, რომელიც, როგორც წესი, არ ემთხვევა სხვადასხვა კულტურებში. გარდა აბსტრაქტული რაოდენობრივი ან რიგობითი მნიშვნელობისა, ხალხური კულტურის ენაში, რიცხვს ენიჭება რაღაც დამატებითი აზრი, იგი იძენს განსაზღვრულ კონოტაციას, ხდება შეფასებისა და სიმბოლიზაციის ობიექტი. ამ თვალსაზრისით, იგი არ განსხვავდება ადამიანის გარემომცველი სამყაროს სხვა ნიშნობრივი მახასიათებლებისაგან - ზუსტად ასევე, ხალხურ ტრადიციაში, სემანტიზირდება და ფასდება ფერი, სივრცითი და დროითი ნიშნები - „ზემოთ - ქვევით“, „მარჯვენა - მარცხენა“, „სწორი - მრუდე“, „აღმოსავლეთი - დასავლეთი“, „დღე - ღამე“ და ა.შ.

რამდენადაც რიცხვი წარმოადგენს თვლის შედეგს, გადათვლისა, გაზომვისა, აწონვისა და ა. შ., აუცილებელია დავიწყოთ იმით, თუ როგორ ინტერპრეტირდება ეს ქმედებები ხალხურ ტრადიციებში. ისინი ხშირად მიიჩნევიან საშიშებად, მათ ენიჭებათ მაგიური აზრი, მათი დახმარებით, ხალხური წარმოდგენის მიხედვით, შესაძლებელია, დავეუფლოთ და დავიმორჩილოთ რაიმე თვლადი საგანი; ეს ქმედებები ხშირად მიეწერება ჯადოქრებს, არაწმინდა ძალის მქონე პერსონაჟებს.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ 1-დან 10-მდე და რიცხვ 40-ის, სიმბოლიკას. ეს რიცხვითი სახელები დიდი რაოდენობით შევგვხვდა ქართული, რუსული და ესპანური ენების ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობებში. თუმცა, სხვა რიცხვითი სახელებითაც მოიპოვება ფრაზეოლოგიზმები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სიმბოლიკა.

სიმბოლოებისა და ნიშნების ლექსიკონში (ზ.აბზიანიძე:46) - „ერთიანი“ - სამივე ენაში სიმბოლოა ერთობლიობისა, ცენტრია, ღმერთია, მზეა, მამაკაცური საწყისია; ამის

გარდა, რიცხვი „ერთი“ აღნიშნავს სულიერ ერთობლიობას, მთლიანობას, გამოხატავს ერთიან ბუნებას ყველაფრისას, რაც ცოცხალია.

სიმბოლოთა და ნიშანთა ლექსიკონები (ზ.აბზიანიძე:21) ადასტურებენ, რომ „ორი“ იქმნება ორი ერთეულის შეერთებით. ეს არის პირველი წყვილი რიცხვი და პირველი რიცხვი, რომელიც შეიძლება გაიყოს. როგორც ყველა წყვილი რიცხვი, „ორი“ - მდებარეობითი რიცხვია. რაიმეს გაყოფა ორად, თანაბრად - ნიშნავს სამართლიან, პატიოსან საქციელს. თანამედროვე არაბული ციფრი „2“ მომდინარეობს ორი ჰორიზონტალური ხაზისაგან, ანუ ორი ერთეულისაგან. ეს რიცხვი მუდამ იყო სიმბოლო - ორობითობისა, დუალიზმისა, კავშირისა, სულიერ და მატერიალურ სამყაროთა დაპირისპირებისა, წინააღმდეგობრიობათა ერთიანობისა და ბრძოლისა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ესპანურ ენებშიც. მრავალ კულტურაში არსებობს ცნება ორი საიქიოს შესახებ, სადაც ხვდებიან გარდაცვლილ ადამიანთა სულები. ქრისტიანული ტრადიციით, მათ უწოდებენ სამოთხესა და ჯოჯოხეთს. ეს ორი სამყარო წარმოადგენს პოლარიზაციის ყველაზე ნათელ სიმბოლოს, როგორც სიკეთისა და ბოროტების მუდმივ დაპირისპირებას.

სლავურ მითოლოგიურ-პოეტურ შეხედულებათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ რიცხვი „ორი“ იყოფა საკმაოდ დიდი რაოდენობის სიმბოლურ მნიშვნელობებად:

1. დაპირისპირება, რომელიც ჩადებულია რიცხვ „ორის“ სემანტიკაში, გამოხატულია სლავურ რელიგიურ ტრადიციაში ოპოზიციით Белоног-Черноног, რაც შესაბამისად, წარმოგვიდგენს სიკეთესა და ბოროტებას. ამ ოპოზიციის წარმოშობა შეიძლება აიხსნას სამყაროს საფუძვლებზე დაკვირვებით, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი დაპირისპირება დღისა და ღამისა, ზამთრისა და ზაფხულისა და სხვ.

2. რიცხვი „ორი“ სლავურ კულტურაში მჭიდროდ უკავშირდებოდა წარმოდგენებს იმქვეყნიურ სამყაროზე. მიიჩნევდნენ, რომ საკუთარ ბედს ადამიანი ხედავდა ცხოვრებაში ორჯერ: დაბადებისთანავე და სიკვდილის წინ. უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვი „ორის“ კავშირი იმქვეყნიურ სამყაროსთან ხსნის ორობითობის სიხშირეს რიტუალურ ქმედებებსა და წეს-ჩვეულებებში, რომლებიც მიმართულია არაწმინდა ძალასთან კონტაქტის დამყარებისაკენ, მისი ნეგატიური ზემოქმედებისაგან თავდაცვისათვის (გათვალვისათვის გამოიყენებოდა საგანი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, ბოქლომი გასაღებით, შეზრდილი ნაყოფები). წარმოდგენა იმ



ნეგატიურზე, რომელიც აკავშირებს რიცხვ „ორის“ სემანტიკას იმქვეყნიურ სამყაროსთან, პერსონიფიცირებულია სლავურ ორგულ ღვთაებაში (Двоедушник) - ადამიანი, რომელსაც შეუძლია იქცეს ცხოველად და მოიტანოს ვნება.

3. რიცხვი „ორი“, სლავურ კულტურაში, შეესაბამებოდა მეუღლეობის (ცოლ-ქმრობის) იდეას, მამრობითი და მდედრობითი საწყისის გაერთიანებას. ასე, მაგალითად, ყარყატების წყვილი სწრაფი ქორწინების სიმბოლოს წარმოადგენდა. გარე სამყაროს სტრუქტურამ ასახვა პოვა საცხოვრებელი სივრცის ორგანიზაციაში: სახლი იყოფოდა ორ ნაწილად - მამაკაცის (მარჯვენა მხარე, რომელშიც იყო წითელი კუთხე) და ქალის (მარცხენა, რომელშიც იყო კერა) (ოსიპოვა 2008). სლავურ სიძველეთა ლექსიკონის მიხედვით (1999), „ორი“ - ეს არის რიცხვობრივი კოდის ელემენტი, რომელიც სიმბოლოა დაწყვილებისა, თვლადობისა, გაორმაგებისა და ორად გაყოფისა, შეტყუებისა; ხალხურ რწმენებში, ის იღებს საპირისპირო შეფასებას: ითვლება საშიშად, ეშმაკის რიცხვად, ასოცირდება სიკვდილთან, თუმც შეიძლება ჰქონდეს დადებითი მნიშვნელობაც - გაერთიანებისა, კეთილდღეობის გაორმაგებისა. ხალხური გადმოცემით, ორმა ერთნაირმა საგანმა შეიძლება მოიტანოს უბედურება და სიკვდილი. ასევე, საშიშად ითვლებოდა და იკრძალებოდა ორი პირის მიერ ერთდროულად ერთი და იგივე ქმედებაც. ცუდ ნიშნად ითვლებოდა ერთნაირი სოციალური მდგომარეობის მქონე ორ პირთა შეხვედრაც, მაგალითად, ორი მაჭანკლის, ორი მძახლის, ორი პატარძლის, ორი მშობიარის, რომლებიც ერთსა და იმავე დღეს მშობიარობდნენ. რიცხვ „ორის“ დემონური და სხვასამყაროსეული ხასიათია გამოხატული ბულგარულ ანდაზურ თქმაში: «Ако палиш Богу една свещ, на дявола две пали» ('თუ ღმერთს უნთებ ერთ სანთელს, ეშმაკს - ორი აუნთე').

სლავთა რწმენის მიხედვით, „ორმაგთვალეზიან“ ძაღლს შეუძლია შენიშნოს სიკვდილი, ამ დროს ის იწყებს ყმუილს და წკმუტუნს. ორობითობის დემონური ხასიათი აშკარად ვლინდება იმ რწმენაში, რომ ეშმაკები და სხვა უწმინდურობა შეიძლება მხოლოდ ერთი დარტყმით დაამარცხო, მოსპო; ორჯერ თუ დაარტყამ, კვლავ გაცოცხლდება და შეიძლება გაორმაგდეს კიდევ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რიცხვ „ორის“ სიმბოლიკას დამკრძალავ (სამგლოვიარო) რიტუალებში და იმ რწმენებში, რომლებიც სიკვდილს ეხებოდა. სერბები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ ოჯახში, რომელშიც ერთი წლის მანძილზე ორი ადამიანი გარდაიცვალა, აუცილებლად

იქნებოდა მესამე მიცვალებულიც, რადგან „პირველი ორი მას ეძახდა“. მნიშვნელოვნად სუსტადაა გამოხატული იმ რიცხვის დადებითი სიმბოლიკა, რომელიც ძირითადად, უკავშირდება სამეურნეო მაგიას, სადაც „ორი“ მოიაზრება საქორწინო წყვილის სიმბოლოდ და კეთილდღეობათა გამრავლების ნიშნად: ორმაგ თავთავს რიტუალურად აჭმევენ პირუტყვს ნაყოფიერების გამრავლებისათვის. და ბოლოს, „ორს“ შეიძლება ჰქონდეს თავისი პირდაპირი რიცხვობრივი მნიშვნელობა, როგორც არის, მაგალითად, რუსულ ადათში, რომ წმინდა ხუთშაბათს (Чистый четверг), მზის ამოსვლამდე, კომბოსტოს გადარგვისას, ორ თესლს დებენ, რომ გაჩნდეს ორი ხბო, ან ცხრა მარტს აჭმევენ ორ ცხვარს ორ ანტრიას, ორი ბატკანის მოსაგებად.

„სამიანი“ რუსულ და ქართულ ტრადიციებში, პირველ რიგში, წარმოადგენს სულიერი საწყისის განსახიერებას, იგი სიმბოლოა სისავსისა და სრულყოფილებისა. ქრისტიანული ცნების „სამების“ თაყვანისცემა, რომელიც წარმოადგენს „სამის გაერთიანებას“, რიცხვ „სამს“ ანიჭებს სრულყოფილებისა და სულიერების მნიშვნელობას. თვით ადამიანის აგებულებაც სამმაგად ორგანიზებულია, შეიცავს რა სხეულს, სულსა და სულიერებას. „სამების“ გეომეტრიული სიმბოლოა - სამკუთხედი და ყოვლისმხილველი თვალის (Всевиद्याщего ока) გამოსახულებებში ეს ფიგურა იქცევა სამების გამოსახულებად. სამების მნიშვნელოვნება მჟღავნდება არამარტო მართლმადიდებლურ რელიგიურ აზრებში, არამედ ჩვენს ნაცნობ ზღაპრებშიც, თქმულებებშიც და ყოფით ტრადიციებშიც. ფოლკლორში ვხვდებით სამ გოლიათს, რომლებმაც უნდა გაიმარჯვონ სამთავიან გველეშაპზე; გმირს აქვს სამი სურვილი; იგი სამ გამოცდას უძლებს; ხვდება სამი გზის გასაყარზე; სამჯერადი კოცნა ბედნიერებისათვის რუსულ სიმბოლოს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ქრისტიანული ტერმინი „სამება“ (“троица”) ხმარებაში შემოვიდა II საუკუნეში, ტერტულიანის მიერ, სიტყვა „ტრიადას“ (“триада”)-ს ნაცვლად. „ტრიადისაგან“ განსხვავებით, რომელიც გამოხატავდა მნიშვნელობას „სამი სხვადასხვა“, „სამება“ აღნიშნავს „სამთა ერთობლიობას“. „სამების“ პოზიტიური ხასიათი, პრაქტიკულად, ყველა ტრადიციაში ვლინდება, განსაკუთრებით ქრისტიანულ რელიგიაში. მოვიყვანთ მაგალითს ბიბლიიდან, ადამის მესამე შვილთან - სიფთან დაკავშირებით, რომელმაც კვლავ მოიპოვა სამოთხე, შეცვალა რა მამისათვის მოკლული შვილი აბელი. ეს სიუჟეტი ზუსტად შეესაბამება რიცხვთა წარმოშობის ლოგიკას: აბელი (1) ღმერთის გულის

მომგები; კაენი (2) - არ არის ღმერთის გულის მომგები (მისი მსხვერპლობა - უკუგდებულია), რადგანაც „ორი“ არის „ერთის“ უარყოფა. ეს უარყოფა აშკარადაა გამოხატული კაენის მიერ აბელის მკვლელობაში. სიფი (მესამე ვაჟი) არის შემობრუნება ერთიანობისაკენ ( $3 = 1 + 2$ ). აბელმა მისცა კაცობრიობას წმინდა რტოს საწყისი, სიფი - არის განსაკუთრებული ღვთაებრივი სულიერი სიმრავლის წყარო. საინტერესოა ისიც, რომ სიფი, ძველებრაულად “seth”, მსგავსია სანსკრიტული ფუძისა “sat” და ნიშნავს „წმინდა ყოფას“. რიცხვი „სამი“ წარმოადგენს სიბრძნის პრინციპს, აძლევს ადამიანს საშუალებას, რომ მართოს აწმყო დრო, განჭვრიტოს მომავალი და გამოიყენოს წარსული გამოცდილება.

მიხეილ ჩიქოვანმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართულ ეპოსში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რიცხვი „სამი“. ამავე დროს „სამი“ ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნისთვის“. სამია პოემის წამყვანი ძმადნაფიცი გმირი (ქართული ფოლკლორისთვის ნიშანდობლივია ძმადნაფიცობის მოტივი).

რიცხვი “სამი” ესპანურ კულტურაში მიჩნეულია, როგორც მისტიკური და სულიერი რიცხვი, რომელიც საკმაოდ ხშირად აღინიშნება ისეთ პოპულარულ მოთხრობებში, როგორიცაა: „სამი სურვილი“, „სამი ამოცანა“, „სამი დათვი“, „აღდგომის სამი სული“. ესპანეთში იმისათვის, რომ განედევნათ ავი სულები, მსხვერპლად სწირავდნენ სამ შავ ცხოველს.

**რიცხვი “ოთხი”** მიჩნეულია, როგორც უნივერსალური რიცხვი, რადგან არსებობს 4 შემადგენელი ნაწილი - მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი. მთვარეს აქვს ოთხი ფაზა. ესპანელები თვლიან, რომ 4 პრაქტიკული და მატერიალური რიცხვია. არსებობს ცრურწმენები, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ჩინეთში იგი უბედურების სიმბოლოა. რაც შეეხება ბიბლიას, წმინდა ხუანში ოთხი აპოკალიპსის მხედარი ქაოსისა და კაცობრიობის წალეკვის სიმბოლოა.

„ოთხნიშნობის“ იდეა ნაკლებადაა დამახასიათებელი რუსული ტრადიციებისათვის. მიუხედავად ამისა, შეიძლება გავიხსენოთ ოთხწახნაგიანი კერპი (Знрученог - მდინარის სახელწოდება), ოთხი სლავურ-ბალტიკური ღვთაების - იაროვიჩის, რცევიტის, პორევიტის და პორენუტის - გაერთიანება ერთ ღვთაებაში, სინათლის ოთხი მხარე და, შესაბამისად, ოთხი მითოლოგიზირებული ქარი.

რაც შეეხება რიცხვ „ხუთს“, რომელიც გაცილებით ხშირად გვხვდება საკლასიფიკაციო კოდში, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი კავშირი რიცხვ „ცხრასთან“ – იმპერატორის ნიშანთან. ნუმეროლოგიური ტრადიციის მიხედვით, „ხუთს“ უჭირავს ცენტრალური უჯრედი ცხრაადგილიან ნაგებობაში. ეს რიცხვი უკავშირდება ყველა დანარჩენ რიცხვს და აერთიანებს მათ ერთ მთლიანობად. გარდა ამისა, რიცხვი „ხუთი“ – კენტია და შეესაბამება მამაკაცურ საწყისს. ამგვარად, რიცხვი „ხუთი“ უმაღლესი ხელისუფლების განმასახიერებელი საკრალური რიცხვია.

რუსეთში რიცხვი „ხუთი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა; გავრცელებული იყო კელტური წარმოშობის განსაკუთრებული თამაში, რომლის დროსაც ადამიანს უნდა აესროლა და დაეჭირა ხელით ხუთი ქვა მკითხაობის მიზნით. ძველი ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მზე ცეკვავს წელიწადში ხუთჯერ. ზოგჯერ „ხუთიანი“ განიხილებოდა ქორწინების სიმბოლურ გამოსახულებად, ასევე ის ითვლებოდა ადამიანის უზენაესთან გაერთიანების რიცხვად. შუა საუკუნეებში, „ხუთიანი“ აღიქმებოდა მიწიერი ეკლესიის მაცხოვართან მისტიკური გაერთიანების ნიშნად.

თვლიან, რომ რიცხვი „5“ ადამიანის ცხოვრების სიმბოლოა და აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის ერთობლიობას, ქორწინებას, როგორც 2-ისა და 3-ის ჯამი.

რიცხვი „5“ ასოცირდება ბაბილონის ღმერთთან აშართან და მის რომაულ ეკვივალენტთან ვენერასთან, მათი სიმბოლო იყო ხუთწვერიანი ვარსკვლავი, ან როგორც უწოდებენ - პენტაგრამა.

**რიცხვი „ექვსი“** ასოცირდება პასუხისმგებლობასთან და თვითმყოფადობასთან. იგი ამდნიშვნელია ევოლუციური პროცესის განვითარებისა.

რაც შეეხება ბიბლიას, რიცხვ ექვსს აქვს ღრმა წარმომავლობა. ექვსი დღე იქმნებოდა სამყარო, მეექვსე დღეს ღმერთმა შექმნა ადამიანი. იესო ქრისტეს ცხოვრების აღწერაში და ყველა წმინდა ნაწერებში მოიხსენიება რიცხვი ექვსი- იესო იყო ჯვარზე გაკრული მეექვსე დღეს, ექვს საათზე.

რიცხვი „ექვსი“, რუსულ მითოლოგიასა და ტრადიციებში გაცილებით ნაკლებად გვხვდება, ვიდრე „ხუთიანი“. მისი არსებობა შეიძლება შევნიშნოთ არა მხოლოდ არითმეტიკულ, არამედ სივრცით-გეომეტრიულ პლანშიც. ასე მაგალითად, მეცნიერები ლაპარაკობენ „ჭექა-ქუხილის ნიშანზე“, რომელიც ეძღვნება ჭექა-ქუხილის ძველსლავურ ღმერთს (რომლის სახითაც როგორც პერუნი, ასევე როზიც

გვევლინებოდა), რომელიც წარმოგვიდგებოდა როგორც გარემოში ჩახატული ექვსსხივიანი ვარსკვლავის სახით, ასევე ექვსჩხირიანი ბორბლის სახით.

**რიცხვი „შიდი“** მიიღება „სამისა“ და „ოთხის“ მიმატებით; ამათგან პირველი შესაკრები წარმოადგენს ცისა და სულის სიმბოლოს, მეორე კი - ასახიერებს მიწასა და სხეულს. უძველესი დროიდანვე მიღებული იყო ადამიანის ცხოვრების დაყოფა შვიდწლიან ციკლებად. შვიდ წლამდე გრძელდებოდა ასაკი, ვიდრე ბავშვი მოიკრებდა გონებას, შემდეგ - 14 წლამდე, მას უკვე შეეძლო მუშაობა, 21 წლიდან კი - დგებოდა სრულწლოვანება. მომდევნო ციკლები სრულდებოდა, შესაბამისად, 28, 35 და 42 წლით. ასევე უძველესი დროიდან მოდის შვიდწლიანი კვირის ტრადიცია, რომლის თითოეული დღე ეძღვნება განსაზღვრულ პლანეტასა და ღვთაებას. ასტროლოგია, ათასწლეულთა მანძილზე, ცნობდა მხოლოდ შვიდ პლანეტას, მთვარისა და მზის ჩათვლით. მათი საკრალური სიმბოლოები იყო შვიდკბილაკიანი გვირგვინი, შვიდი საკურთხეველი, ებრაული რიტუალური შანდალი შვიდი სანთლით, შვიდ ხარშებმული მზის ეტლი, ბაბილონის კოშკის შვიდი დონე. ეს სიმბოლური მოტივი ყველაზე მეტად მკაფიოდაა განხილული ბიბლიაში. „ძველ აღთქმაში“ ღმერთმა შექმნა დედამიწა ექვს დღეში, მეშვიდე დღეს დაისვენა, რადგან დაინახა, რომ სამუშაო სრულად და სრულყოფილად ჰქონდა დასრულებული. აქ რიცხვი „შიდი“ ასევე აღნიშნავს დამსახურებულ დასვენებას ყველა საქმის დასრულების შემდეგ. იერიხონის აღებისას, შვიდი მღვდელი, შვიდ ბუკზე (ნადარაზე) დაკვრით, ექვსი დღის მანძილზე, გარშემო უვლიდნენ ქალაქის კედლებს თითო-თითოჯერ, მეშვიდე დღეს კი - შვიდჯერ. შემდეგ მათ ერთად ჩაჰბერეს ბუკებს და იერიხონის კედლები დაინგრა. ბიბლიაში „შიდიანი“ - სიხშირული ნიშანია. რასაკვირველია, „შიდი“ გვხვდება სხვა წმინდა წიგნებშიც, მაგრამ ქრისტიანული კულტურული ტრადიციებისათვის ძირითადია ბიბლიური მემკვიდრეობა. ზემომოყვანილ ყველა შემთხვევაში რიცხვითი სახელი „შიდი“ გადმოსცემს მთლიანობისა და სრულყოფილების იდეას. „შიდეული“ - ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული კულტურული მოტივია ქართულ, რუსულ და ესპანურ კულტურებში (ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს კულტურული უნივერსალიებიც, ცალკეული ფაქტებიც და ფოლკლორული მოტივებიც); შდრ.: კვირის შვიდი დღე, სპექტრის შვიდი ფერი, შვიდი ტონი მუსიკაში, შვიდი გმირი ფოლკლორულ სიუჟეტებში და ა. შ.

ქრისტიანულ სამყაროში „რვიანი“ სიმბოლოა აღორძინებისა და განახლებისა. ამ სიმბოლოების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტეს აღდგომა აქ მოცემულია როგორც „შექმნის მერვე დღე“. ქრისტიანულ კულტებსა და ემბლემატიკაში არსებობს „რვიანის“ საკრალური მნიშვნელობის მაილუსტრირებელი მრავალი მაგალითი. ჯვრის აღდგენის ემბლემას წარმოადგენს რვაბოლოიანი მალტური ჯვარი, ხოლო ადამიანის სულიერი განახლება, ნათლობის საიდუმლო გზით, ასახულია რვაწახნაგოვანი ფორმის ნათვლის ემბაზში.

ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, რვა სხივი აქვს ბეთლემის ვარსკვლავს, რომელმაც მსოფლიოს აუწყა მაცხოვრის დაბადება.

რიცხვი „რვა“ გვხვდება ძველრუსულ ტექსტებში, თუმცა მისი უფრო მნიშვნელოვანი გამოვლენა - გრაფიკულია. ღვთისმშობლის რვასხივიანი ვარსკვლავი განეკუთვნება სლავურ ადრეულქრისტიანულ საკრალურ სიმბოლოებს. პერუნის ცნობილი ტამარი გარშემორტყმულია რვა კოცონით, რომლებიც განლაგებულია სინათლის ოთხ ძირითად და ოთხ შუალედურ მხარეს.

ესპანურ კულტურაში ასევე რიცხვი „რვა“ - წინასწარმეტყველების, განახლებისა და სამართლის დაცვის სიმბოლოა. იგი აღნიშნავს რამე ახლის საწყისს. მერვე დღე უდრის ახალი კვირის დასაწყისს. მუსიკალურ განზომილებაში 8-ით იწყება ახალი ოქტავა. სამყაროს ბევრ ნაციონალურ კულტურაში - „8“ სიმბოლოა უფრო კარგი სამყაროსი, რომელიც აერთიანებს ჩვენს და სხვა სამყაროებს. რვაწვერიანი ვარსკვლავი და რვაკუთხედი ამ ორი სამყაროს გაერთიანების სიმბოლოა.

„ცხრა“ - უნივერსალური რიცხვია, რომელშიც ჩადებულია კაცობრიობის ტრანსმულტატივობის და მულტიმულტატივობის აზრი. რიცხვი „ცხრა“ ძალიან ხშირად გვხვდება რუსულ ტრადიციაში, სადაც ის შეიძლება უკავშირდებოდეს კალენდარულ თემატიკას. სლავურ ზღაპრებში გვევლინებიან ცხრათავიანები, ჯადოქარს კი - ცხრა ძმა ჰყავს. რუსულ თქმულებათა მიხედვით, დათვი გამოდის ბუნაგიდან 9 მარტს. აღდგომის შემდეგ მეცხრე კვირა მუდამ თაყვანსაცემად მიიჩნეოდა. რუსული ხალხური ზღაპრული ტრადიცია დემონურ გველს რთავდა სამი, მაგრამ გაცილებით ხშირად სამჯერ სამი, ანუ ცხრა თავით, რომლებიც უნდა მოეკვითა კეთილ ჭაბუკს ჩალისფერი მახვილით. ეს ცხრათავიანი დემონური გველი, რომელიც იყო იდენტური დედამიწის შავი ღმერთის სახისა, პრაქტიკულად უკვდავი იყო, რადგან

ერთი ხელის მოქნევით მოკვეთილი სამი თავის ადგილზე სხვა სამი თავი ჩნდებოდა. მხოლოდ უზენაეს ძალთა ჩართვა და იმ გმირის გამჭრიახობა, რომელიც სწორად მოიხმარს ბასრ მახვილს („ერთიანს“), ეხმარება გმირს, რომ დაამარცხოს დაუმორჩილებელი გადატრიალებული „ცხრიანი“ და განამტკიცოს ერთიანობა.

**რიცხვი „ათი“** შეიძლება განვიხილოთ შემდეგნაირადაც: 1 - ეს არის ღმერთი; 0 - უსასრულობა. ციფრი „ერთის“ თვისებებია ღირსება, რწმენა, საკუთარი თავდაჯერებულობა, სახელი და დიდება, რომლებიც მოქმედებენ ღვთაებრივი კანონების შესაბამისად; „ნული“ განასახიერებს სულიერ ბრძოლას და უბიძგებს ადამიანს, რომ შეიგნოს თავისი დანიშნულება ამ ცხოვრებაში. ამ სახით, ეს რიცხვი (10) არის მატერიალური და სულიერი საწყისების საკრალური ერთიანობის გამოხატულება: რიცხვი „ათი“ - თვით სრულყოფილებაა, რადგან ფლობს ორივე საწყისს.

**„ორმოცი“** - აბსოლუტური სისრულის რიცხვია. ქრისტიანულ რელიგიაში - საკრალური რიცხვია. 40 დღე გრძელდებოდა ქრისტეს მარხვა უდაბნოში, 40 წელი მიდიოდა მოსე უდაბნოში. რიცხვ „ორმოცის“ მისტიკური ფუმეა პითაგორეელთა წმინდა ტეტრაკტისი. რიცხვი ორმოცი ქრისტიანულ ტრადიციებში რიტუალური მიზნებისთვის გამოიყენებოდა დროის მნიშვნელოვანი პერიოდების, განსაკუთრებით სულიერი მომზადებისა და გამოცდის, განწმენდის, დასჯის, მარხვის ან იზოლაციის პერიოდების, განსაზღვრისთვის. ადრეული ისტორიკოსები „ორმოცს“ უფრო მეტად სიმბოლური რიცხვის მნიშვნელობით იყენებდნენ. ბიბლიაში წარღვნა ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა; ისრაელის ტომი ორმოცი წელიწადი დაეხეტებოდა უდაბნოში; მოსე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ესაუბრებოდა ღმერთს სინაის მთაზე; დავითისა და სოლომონის მეფობა ორმოცი წელიწადი გრძელდებოდა; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტემ ორმოცი დღე იმარხულა უდაბნოში, ორმოცი თვის განმავლობაში ქადაგებდა და სიკვდილიდან ორმოცი დღის შემდეგ ზეცაში ამაღლდა. „ორმოცი დღის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ბაბილონის დროიდან. წელიწადში ორმოცი დღის განმავლობაში ხომლი ეფარებოდა ჰორიზონტს და აღარ მოჩანდა ბაბილონის ცაზე. დროის ეს მონაკვეთი ემთხვეოდა წვიმების, ქარიშხლების, წყალდიდობების პერიოდს და წლის ყველაზე სახიფათო დროის მონაკვეთს წარმოადგენდა. ხომლის „დაბრუნებას“ ბაბილონის ცაზე

საყოველთაო ზეიმით ხვდებოდნენ და წვავდნენ ორმოცი ლერწმის კონას, რომელიც სიმბოლურად ბოროტი ძალების ორმოცდღიან ბატონობას გამოხატავდა.

კვლევამ ცხადყო, რომ რიცხვების სიმბოლიკას დიდი როლი უკავია სხვადასხვა კულტურის ენებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული, რუსული და ესპანური ენები სხვადასხვა სტრუქტურის ენებია, საანალიზო ენების რიცხვების სიმბოლიკა მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამივე კულტურა მიეკუთვნება ქრისტიანულ სამყაროს; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაქვს განსხვავებებიც.

### 2.3. ლექსემა „ერთი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

რიცხვი არის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მსოფლიოს ენობრივ სურათში. რიცხვითი სახელის კატეგორიამ რუსულ ენაში ჯერ ვერ მიაღწია იმ აბსტრაქტულობას, რაც დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის. სქესის გრამატიკულ კატეგორიას რუსულში ინარჩუნებს მხოლოდ რიცხვითი სახელები - „ერთი“ და „ორი“. ქართულ ენას არ გააჩნია სქესის კატეგორია; ესპანურ ენაში მხოლოდ რიცხვით სახელს - „ერთს“ და რიცხვით სახელებს „200-900“ გააჩნიათ სქესის გრამატიკული კატეგორია.

რუსულ ენაში არ არსებობს ერთიანი გაგება სიტყვა „ერთის“ გრამატიკული სტატუსისა. სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ძალიან დიდ რაოდენობას და პირიქით, ძალიან პატარა რაოდენობას. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ რიცხვითი სახელია, ზოგი კი ზედსართავ სახელად მიიჩნევს (Грамматика 80:491).

ქართულ და ესპანურ ენებში, რუსული ენისაგან განსხვავებით, სიტყვა „ერთი“ მიეკუთვნება რიცხვით სახელს.

ნ.მ. შანსკი აღნიშნავს: „...სიტყვა „ერთში“ შესუსტებულია რიცხვითი სემანტიკა, რადგან ერთობლიობა გადმოიცემა თვითონ არსებითი სახელის მხოლოდობითი რიცხვით... რითიც რიცხვითი სახელი „ერთი“ გამოდის, როგორც ტავტოლოგიური განმეორება იმისა, რაც უკვე აღნიშნულია არსებითი სახელის მხოლოდობითი რიცხვით“ (შანსკი 1964:102).



ამავე დროს, რიცხვითი სახელი „ერთი“ საკმაოდ უხვადაა ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში, იგი ამჟღავნებს თავის სხვადასხვა ფუნქციას ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნაში. მაგალითად, რუსულ და ესპანურ ენებში ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები კომპონენტით „ერთი“ განსხვავდებიან სქესობრივი კუთნილებით. რუსულში: მამრ. -один как перст (ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით; „ერთი, სულ მარტო“); მდედ. – одна беда не беда (სიტყვასიტყვით: ‘ერთი უბედურება, უბედურება არაა’, „არაფერია“); საშ.სქ.- одно к одному( „ერთი ერთში“). ესპანურ ენაში: მდედ. -una y buena (სიტყვასიტყვით: - ‘ერთი და კარგი’, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით - „დიდი რისკი, ჩხუბი“; მამრ.- uno no es ninguno (სიტყვასიტყვით: - ‘ერთი არაფერია’, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით - „ერთ ჩიტს გაზაფხული არ მოჰყავს“); ესპანურ ენაში საშუალო სქესის კატეგორია არ არის. ქართულ ენას საერთოდ არ გააჩნია სქესის კატეგორია. ამიტომაც ქართული ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იგი არ აისახება.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში რიცხვითი სახელით „ერთი“ დაფიქსირებულია – 100 ფრაზეოლოგიური ერთეული; რუსულ ენაში – 120; ესპანურ ენაში - 85.

განალიზებულმა მასალამ გვაჩვენა, რომ „ერთი“, ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში მონაწილეობს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში და მატებს მას რაიმე სემას ან აძლიერებს. ჩვენ განვიხილავთ ლექსემა „ერთის“ ფუნქციებს ფრაზეოლოგიზმებში და გამოვყოფთ სემანტიკურ ნაირფეროვნებას.

### 1. სემანტიკური მნიშვნელობით „მარტოდმარტო, მარტო“

ქართულ ენაში: სხვებისგან გამოყოფილი, მარტო: ერთი თავი მაქვს (მარტოხელა ვარ, ცოლშვილი არა მყავს, ჩემს მეტი არვინა მყავს); ერთი ღერი ბიჭი ვარ ( ცარიელ-ტარიელი, უნათესავო, უმახლობლო); ერთი მეომარი არ არის. (იხილეთ ცხრილი I)

რუსულ ენაში: один в поле не воин (მარტო რთულია რაიმეს გაკეთება); одной рукой и узла не завяжешь (მარტო ვერ გადალახავ რაიმე საქმეს); один как сыч (მარტოხელა ადამიანი); одна муха не проест и брюха ( მარტო საქმეს ვერ გააკეთებ).

ესპანურ ენაში: uno no es ninguno (ერთი არავინაა), uno y no más (მხოლოდ ერთი).

მარტოობის სემანტიკა გადმოიცემა ლექსემა „ერთით“, როგორც არსებითი სახელით, ასევე ზედსართავი სახელით და ნაცვალსახელით. იზოლირების, მარტოობის

იდეა გადადის სოციალური ურთიერთობების სფეროში, მას აქვს ნეგატიური კონოტაცია. ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია სოციუმში ცხოვრება, ის არის იზოლირებული მისგან:

**ქართულ ენაში:** მარტოხელა ადამიანი ჭამაშიც ცოდოავო

**რუსულ ენაში:** одному против многих не замышлять; одному и топиться скучно; и в раю жить тошно одному; один и дома загорюет.

**ესპანურ ენაში:** una alma sola, ni canta ni llora (მარტოხელა სული არც მღერის, არც ტირის).

## 2. სემანტიკური მნიშვნელობა „ერთი, უნიკალური“

ასეთი ფრაზეოლოგიზმები ხაზს უსვამენ ობიექტის უნიკალურობას. რელიგიის სფეროში ერთობლიობა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, ღმერთთან. ამ შემთხვევაში, უნიკალურობა და ერთობლიობა შერწყმულია. ხალხის ქვეცნობიერში დაფიქსირებულია ერთობლიობის იდეა, როგორც რელიგიური და აქსეოლოგიური:

**ქართულ ენაში:** ერთმა ღმერთმა იცის.

**რუსულ ენაში:** Один Бог, одна правда.

**ესპანურ ენაში:** Solo Dios sabe.

## 3. სემანტიკური მნიშვნელობით „არაფერი“

**ქართულ ენაში:** ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევაო; ერთი (კაცი) არ არის მეომარი; ერთ მერცხალს გაზაფხული არ მოყავს (ერთი-არაფერია).

**რუსულ ენაში:** ფრაზეოლოგიზმებში სემა „არაფერი“: ни одной души (არავინ არ არის); одна речь не поговорка (ვინმეს აზრი, არგუმენტი არ არის); из пяти пальцев не вижу ни одного, а один в глазах семерит (ხუთი თითიდან ვერც ერთს ვერ ვხედავ, ერთი კი შვიდად მეჩვენება).

**ესპანურ ენაში:** uno no es ninguno (ერთი არაფერია).

## 4. სემანტიკური მნიშვნელობით „მსგავსი, ერთნაირი“

**ქართულ ენაში:** ერთი კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი; ერთ ცის ქვეშ ვართ დაბადებულნი.

**რუსულ ენაში:** из **одного** и того же теста (მსგავსება ხასიათით, ყოფით); **одним** миром мазаны (ერთნაირები); **одного** поля ягода (ერთმანეთს ჰგვანან, უარყოფითი სემის გამომხატველი). (იხილეთ ცხრილი X)

**ესპანურ ენაში:** ser **dos** personas para el **uno** (ორი ერთნაირი ადამიანი, ერთმანეთისათვის დაბადებული); ser **uno** y lo mismo (ერთნაირები).

### 5. სემანტიკური მნიშვნელობით „ერთიანი, მთლიანი“

რიცხვითი სახელი ერთი მკაფიოდ გამოხატავს ერთობლიობის და მონოლითობის იდეას, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანულ ტრადიციასთან:

**ქართულ ენაში:** ერთ პირზე დგომა (შეთანხმებულად მოქმედება); **რუსულ ენაში:** все как **один** (ერთბაშად); **ესპანურ ენაში:** gritar a **una** ( ერთბაშად, ერთხმად).

### 6. ოპოზიციურ წყვილებში „კონტრასტის გამომხატველი“

ნუმერაცია „ერთი“ ოპოზიციურ წყვილებში კონტრასტის გამომხატველია.

**ქართული ენის მაგალითები:** დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი - ხშირად, მრავალჯერ;

ერთი ტოროლა ცხრა ქათამს აეწონება; ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დააღპობსო.

**რუსული ენის მაგალითები:** в **одни** руки **десять** дел брать; никто беды не перебудет: **одна** судет – **десять** будет; **один** год **десять** лет заел; сшито на **одного**, так на **двоих** не наденешь.

**ესპანური ენის მაგალითები:** **una** vez engañan al cuerdo, y **dos** al necio; ponerse **una** cosa en **dos**; **una** vez salí, y **diez** me arrepentí; **una** en el clavo, y **ciento** en la herradura.

### 7. სემანტიკური მნიშვნელობით „ძალიან პატარა რაოდენობა“

არა აქვს ნომინაციური მნიშვნელობა და ლექსემა „ერთი“ გამოიყენება, როგორც რიცხვითი სახელი, რომლის არსშიც დევს ოპოზიცია **ერთი-ბევრი** :

**ქართული ენის მაგალითები:** ერთი ტოროლა ცხრა ქათამს აეწონება; ერთი შეგირდს მისცხე და ხუთი გამზრდელსაო; ერთ დღეს მიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდაო; ერთი მგელი კვდება, მაგრამ სხვა ათასი ლეკვი რჩება.

**რუსული ენის მაგალითები:** лучше **один** раз своими глазами увидеть, чем **сто** раз услышать; лучше **семь** раз сгореть, чем **один** раз овдоветь.

ესპანური ენის მაგალითები: **una** en el clavo y **ciento** en la herradura; **una** vez salí, y **diez** me arrepentí.

მაგრამ არსებობს გამონათქვამები, რომლის მნიშვნელობაშიც დევს „ცოტას“ გაგება:

ქართული ენის მაგალითები: ერთი ღერი ბიჭი ვარ; ერთი ნეკი ძაფი მმართვეს; ერთი მუჭა; ერთი მტკაველი.

რუსული ენის მაგალითები: **одним** словом не обойдешься; **один** волосок со многих быков (капля в море).

ესპანური ენის მაგალითებში ფრაზეოლოგიური ერთეულები ასეთი სემანტიკით არ დასტურდება. რუსული ფრაზეოლოგიისათვის ამგვარი მნიშვნელობა არატიპურია.

#### 8. ლექსმა „ერთი“ იხმარება ნაცვალსახელის მნიშვნელობით ოპოზიციაში „მეორე“:

ქართული ენის მაგალითები: ერთ მეზობელს მუცელი სტკიოდა, მეორე ხელს ისვამდაო; ერთს წისქვილი გაუყიდეს და მეორე იქ სარეკელას ეძებდაო; ერთ ყურს ჰქვია - „ისმინეო“, მეორეს - „ისხლიტეო“.

რუსული ენის მაგალითები: в **одной** руке пусто, а в **другой** ничего; на **одном** конце червяк, на **другом** – дурак (о рыболове-любителе); **одна** беда не угасла, **другая** загорелась; **одна** слеза катилась, **другая** воротилась; **одному** нравится арбуз, **другому** свиной хрящик.

ესპანური ენის მაგალითები: **una** cosa es decirlo y **otra** es verlo; **una** vez en la vida y **otra** en la muerte; **una** dura, y **otra** madura; **una** vez en la vida y **otra** en la muerte; **unas** han ventura, y **otras** han ventrada; **uno** come la fruta aceda, y **otro** tiene la dentera: uva.

#### 9. ნუმერაციული მყარი გამონათქვამები, რიცხვითი სახელით „ერთი“ აზვიადებენ (ჰიპერბოლის ფუნქციას ასრულებენ) მეტაფორული „სივრცითი“ სიახლოვის იდეას:

ქართულ ენაში: სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია.

რუსულ ენაში: от любви до ненависти **один** шаг (სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია); лук с морковкой хоть с **одной** грядки, да не одинаково сладки (ხახვი და სტაფილო თუმცა [ბოსტნის] ერთი კვალიდანაა, მაგრამ ერთნაირად ტკბილი არაა).

ესპანურ ენაში: desde el amor hasta el odio **un** paso. (იხილეთ ცხრილი XX)

ფრაზეოლოგიზმების კვლევის პროცესში მივიღეთ ესპანური ფრაზეოლოგიისათვის უნიკალური მნიშვნელოვნება - ესაა აბსოლუტურობის მნიშვნელობა: აბსოლუტური სიჩუმე; სავსებით ცხადი, აბსოლუტური სიცხადე; სრული სისუფთავე, აბსოლუტური სისუფთავე. შესაძლებელია, ეს მნიშვნელობები

უნიკალურია ესპანელი ხალხისათვის, რადგან მათ ხასიათში დევს ასეთი თვისებები: დისციპლინირებულობა და სიმშვიდე - მშვიდობისმოყვარეობა, მაგრამ მაინც არსებობს ენობრივი უნივერსალა რიცხვი „ერთისათვის“: ეს არის დაპირისპირება „ერთი - მრავალი“, რაც აიხსნება ცნობიერების არქექტიპური თვისებით - შეადაროს დაპირისპირებულობა, გამოყოს მრავალიდან ერთეული.

ცხრილში წარმოდგენილია დადებითი და უარყოფითი სემის მატარებელი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები რიცხვითი სახელით „ერთი“:

	ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
დადებითი სემის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულები რიცხვითი სახელით „ერთი“	გულში ერთი ღრუბელი აღარ არის	–	–
	ერთი მყავდეს და შენისთანაო	–	–
	ერთი ხელი სულ იმისკენა მაქვსო	–	–
	ერთ ჯამში ვჭამთ	–	–
	ერთხელ ჩვენკენაც მოვა წვიმა	–	–
	ერთი ცის ქვეშ ვართ დაბადებულნი	–	–
	ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია	–	–

	ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
<p>უარყოფითი სემის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულები რიცხვითი სახელით „ერთი“</p>	ერთი თავი მაქვს - მარტოხელა ვარ	лучше <b>один</b> раз своими глазами увидеть, чем <b>сто</b> раз слышать	<b>Una</b> y no más
	ერთი ამას დახე - იტყვიან როცა ვინმეს ტყუილზე ან ცუდლუტობაზე დაიჭერენ	<b>один</b> год <b>десять</b> лет заел	Decir de <b>una</b> hasta <b>ciento</b>
	ერთ დღეს გავჩენილვარ, ერთ დღეს მოგვკვდები	в <b>одни</b> руки <b>десять</b> дел брать;	No dar <b>una</b>
	ერთ დარიჯაგში გატარება	<b>одного</b> поля ягода	<b>Una</b> alma sola, ni canta ni llora
	ერთ ბღავანს არ გაუშვებდნენ	<b>один</b> и дома загорюет	<b>Una</b> y buena
	ერთმა ცხვირი ემმაკისკენ გასწიოს, მეორემ - ჯანდაბა - დოზანისაკენ	и в раю жить тошно <b>одному</b>	<b>Una</b> en el año, y ésa en tu daño
	ერთი - ალთას, მეორე - ბალთას	от любви до ненависти <b>один</b> шаг	<b>Una</b> vía y <b>dos</b> mandados

## 2.4. ლექსემა „ორი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ქართულ, რუსულ და ესპანურ გრამატიკებში მეცნიერები სიტყვა **ორს**, სემანტიკური და გრამატიკული ნიშნებით, მიიჩნევენ რიცხვით სახელად.

ა. მ. პეშკოვსკი რიცხვით სახელს განიხილავს მხოლოდ სინტაქსურ ჭრილში, გვთავაზობს რა, რომ თვით ტერმინი შეიცვალოს ახალი ტერმინით - „თვლადი სიტყვებით“, გამოიყოს მასში თვლადი არსებითი სახელები (ერთიანი, წყვილი), თვლადი ზედსართავეები (ერთეული, ორგვარი) და თვლადი ზმნიზედები (ორჯერ) (ციტ.: ვალგინა, 2002). სამივე საკვლევ ენაში, „ორი“ შედის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ლექსიკო-გრამატიკულ რიგში, კერძოდ, წარმოადგენს განსაზღვრულ-რაოდენობითს, რადგან აღნიშნავს ერთეულთა განსაზღვრულ რაოდენობას. რუსულ ენაში, რიცხვით სახელს „ორი“ აქვს სქესის მორფოლოგიური კატეგორია. რიცხვითი

სახელი „ორის“ სქესის კატეგორია - ეს არის სიტყვაგვალეზადი მორფოლოგიური კატეგორია, წარმოდგენილი ფორმათა ორი რიგით: მამრობითი და საშუალო სქესის ფორმათა რიგით - „**два**“ და მდედრობითი სქესის ფორმათა რიგით „**две**“. მამრობითი და საშუალო სქესის ფორმები აღნიშნავენ, რომ რიცხვითი სახელებით განისაზღვრება მამრობითი ან საშუალო სქესის საგნები; მდედრობითი სქესის ფორმები კი აღნიშნავენ, რომ რიცხვითი სახელებით განისაზღვრება მდედრობითი სქესის არსებითი სახელები: „**два стола, две книги**“. სიტყვა „**два**“ -ს სქესის მორფოლოგიური მნიშვნელობა გამოხატულია მხოლოდ სახელობით და ბრალდებით ბრუნვათა ფორმით (იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებითი ბრუნვა სახელობითი ბრუნვის თანაბარია): **два стола – две книги**, მაგრამ **двух столов – двух книг**.

ესპანურ ენაში, რიცხვით სახელებს აქვთ სქესის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ რიცხვით სახელს „**ორს**“ არ გააჩნია ეს კატეგორია. ქართული ენის გრამატიკაში ეს კატეგორია არ არსებობს.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, „**ორს**“ (**два**) აქვს საერთოსლავური ინდოევროპული მახასიათებლები (შდრ. პრუს. **dwai**, ლათ. **duo**, გერმ. **zwei**, ინგლ. **Two** და ა.შ.). ითვლება, რომ თავდაპირველად „**ორი**“ იყო თვლის მინიმალური რიცხვის გამოხატულება, რადგან „ერთიანის“ ცნება, რომელიც უფრო აბსტრაქტულია, თავდაპირველად არ არსებობდა (Этимологический словарь 2004:126).

სემანტიკური თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღების ქვეშ ექცევა სიტყვამაწარმოებელი დერივატები **двойник** და **двойственный**. ნაწარმოები არსებითი სახელის სემემა შეიცავს ნათელ სემებს „სრული მსგავსება მეორესთან“, „ორი ერთგვარი ნაწილი“ (შდრ. განმარტებები: ადამიანი, რომელიც ზუსტად გავს მეორე ადამიანს; რაიმე, რომელიც ზუსტად მსგავსია სხვა რამისა; საგანი, რომელსაც აქვს ორი მსგავსი ნაწილი ან შედგება ორი ნაწილისაგან). ჩვენი ანალიზისათვის, ნაწარმოები ზედსართავის სემანტიკაში, მნიშვნელოვანია „დაპირისპირებულობის“ სემა (შდრ. ისეთი, რომელშიც შეერთებულია ორი სხვადასხვა თვისება, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო). რიგობითი რიცხვითი სახელები, რომლებიც იცვლებიან ზედსართავი სახელების მსგავსად - რიცხვის, სქესისა და ბრუნვის მიხედვით, აქვთ იგივე დაბოლოებები და ასრულებენ იმავე სინტაქსურ ფუნქციებს, ხშირად ითვლებიან ზედსართავთა სახესხვაობებად. (Русская грамматика 1980: 574). ასე მაგალითად,

ლექსემას - **второй** აქვს ნიშნები იმისა, რომ ჩაითვალოს ზედსართავად. რიგობითი რიცხვითი სახელები გამოხატავენ საგნის რიგით ადგილს თვლისას (**второй дом от угла, наш дом – второй от угла**).

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, **оба** იმავე ძირისაა, რაც ლატვ. **abi**, ლათ. **ambo**, ბერძნ. **amphō**. **Оба** -ს საწყისია - „ახლოს მყოფი“ (გვერდი-გვერდი)(Этимологический словарь 2004). ერთობლიობის, კრებითობის იდეა დევს სიტყვის შიდა ფორმაში.

**MAC** და **БАС** გამოყოფენ სიტყვა **оба** -ს ერთნაირ მნიშვნელობას: კრებითი რიცხვითი სახელი (ერთიც და მეორეც). რიცხვით სახელ **оба** -ს, როგორც **два** -ს, აქვს სქესის მორფოლოგიური კატეგორია და მისი მნიშვნელობა გამოიხატება ყველა ბრუნვით ფორმაში: **обоих студентов, обоими студентами; обеих студенток, обеими студентками**.

გადავიდეთ ამ რიცხვით სახელთა ფრაზეოლოგიური სემანტიკის ანალიზზე. ლექსემა „ორი“, ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, მონაწილეობს ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობათა ფორმირებაში და, შეაქვს რა მასში რაიმე სემა, აძლიერებს და ჰიპერბოლიზირებს ფრაზეოლოგიზმის ძირითად მნიშვნელობას.

**კვლევამ ცხადყო, რომ გამოიყოფა შემდეგი მნიშვნელობები:**

### **1. რეალურად რაოდენობრივი მნიშვნელობა**

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში სიტყვა **ორი** თავისი პირდაპირი რიცხვითი მნიშვნელობითაა და ასახელებს განსაზღვრულ რაოდენობას. მოცემული კლასის ფრაზეოლოგიზმები შეიცავენ წყვილ საგანთა სახელებს.

**ქართული ენის მაგალითები:** **ორი** ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო; **ორი** პირძვირი კაცი ერთმანეთის მიბაძვით შიმშილით დაიხოცნენო; **ორი** ქალი ჭიდაობდა და თურქი ხვანჯარს იხსნიდაო. (იხილეთ ცხრილი II)

**რუსული ენის მაგალითები:** дороже алмаза свои **два** глаза; **двух** зайцев убить; старый друг лучше новых **двух**; **два** арбуза в **одной** руке не удержишь (кое-кому это удается сделать, а в большинстве случаев бывает осечка); **два** брата на медведя пойдут, а **два** чужих и киселя не одолеют (ახლობლები ამბობენ ასე ერთმანეთზე).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ესპანურ ენაში არ გამოვლინდა ამგვარი მაგალითები.



რაოდენობის პირდაპირი მნიშვნელობა გამოხატულია განმარტებითი კონსტრუქციების დახმარებით, რომლებშიც წარმოდგენილია ორი საგნიდან თითოეული.

**რუსული ენის მაგალითები:** на торгу **два** дурака: **один** дешево дает, **другой** дорого просит; не день и не **два**; **два** друга – мороз да вьюга; собрались **два** друга – дуга да подруга.

**ესპანური ენის მაგალითები:** **Dos** amigos de una bolsa, el **uno** canta y el **otro** llora.

სამივე საანალიზო ენაში რაოდენობის მნიშვნელობა გამოხატულია ლექსემა **ორის** ჩართვით გადასათვლელი რიგის რაოდენობაში.

**ქართულ ენაში:** სამი ჭირი - ჩემსკენ, ორი ქალი - შენსკენ; (ერთი) აბაზის დამწუნებელსა ორი აბაზი მაინც უნდა გკონდესო; ორი ყური, ერთი პირი მისთვის არის, რომ ბევრი ისმინოს და ცოტა თქვასო.

**რუსულ ენაში:** **одна** женщина – баба, **две** бабы – базар, а **три** – ярмарка; **два** горя вместе, **третье** пополам.

**ესპანურ ენაში:** Cuando **dos** no quieren, **tres** no barajan; **una** es escaseza, **dos** gentileza, **tres** valentía, **cuatro** bellaquería; **una** aceituna es oro, **dos** plata, y la **tercera** mata. (იბილეთ ცხრილი XXI)

## 2. მნიშვნელობა „ცოტა, ნორმაზე ნაკლები“

ეს ინტენსიფიკატორი, უპირატესად, გამოიყენება უარყოფით სემანტიკიან ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობების ხელშემწყობად. იდიომის განმარტებაში გამოიყოფა ექსპრესიულობის კონოტაციები, შეფასებით „ძალიან“.

**ქართულ ენაში:** **ორად ორი** (მხოლოდ ორი, ორზე მეტი არა); წინ **ორი** პარასკევი არ უდევს; მოდალური მნიშვნელობით: „არ შეძლება“, „არ ცოდნა“: **ორ** ხმას ერთად ვერ ამოიღებს (რამის გადაბმულად თქმის არ შეძლება); **ორი** ფეხის გადადგმაზე; **ორი** დღის სიცოცხლე.

**რუსულ ენაში:** от горшка **два** вершка (ძალიან დაბალი, პატარა. ითქმის ადამიანზე); оценки «набекрень» (Искон. Сращение предлога на и сущ. бекрень «бок», в диалектах еще известного) (Этимологический словарь 2004): шапочка в **две** денежки – и та набекрень, а также модальные смыслы: «не мочь», «не уметь»: **двух** слов не мочь связать (не мочь, не уметь связно сказать что-либо, изложить свои мысли). ფრაზეოლოგიზმში **первый** парень на деревне, а деревня в **два** двора ასევე იგულისხმება მნიშვნელობა „ძალიან პატარა“. ამ

კლასის ფრაზეოლოგიზმები, არაიშვიათად, აიგებიან ანტითეზის პრინციპით: цена зайцу – две деньги, а бежать – сто рублей; двое пашут, а семеро руками машут. (იხილეთ ცხრილი XI)

**ესპანური ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები არ დაიძებნა ასეთი მნიშვნელობით.**

რიცხვი „ორი“, როგორც მცირე რაოდენობის მაჩვენებელი, რუსულ ენაში, უპირისპირდება რიცხვით სახელებს შვიდს და ასს. ფრაზეოლოგიზმი два пальца подавать ( ითქმის ამპარტავან ადამიანზე) აღწერს ეტიკეტური სიტუაციის დარღვევას ხელის ჩამორთმევის დროს, დამშვიდობებისას ან მისალმებისას, როცა იყენებენ მხოლოდ ორ თითს (ნაკლებს, ვიდრე მიღებულია წესით), ანუ „ორი“ ასევე ემსახურება მცირე რაოდენობის გამოხატვას.

### 3. მნიშვნელობა „ბევრი, ნორმაზე მეტი“

ცხადია, რომ ამ ჯგუფში რიცხვი „ორი“ და მისგან წარმოებულნი არიან სინონიმები ლექსემისა „ბევრი“. ფრაზეოლოგიზმთა განმარტებებში, აღნიშნულია სემანტიკური ნიშანი „ნორმაზე გადაჭარბება, ანომალია“.

**ქართულ ენაში:**

- **ორი** თვალი **ოთხად** უნდა კაცს (მალიან ფრთხილად, დაკვირვებით). ლექსემა „ორი“ ასახავს არარეალურობას, რადგან ადამიანს გააჩნია მხოლოდ ორი თვალი და ეს ხაზს უსვამს აზრს „მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ“;

- **ორ** კერაზედ ცეცხლის დანთება (ორი ოჯახის მოკიდება). ჩვენს ქრისტიანულ სამყაროში მიღებულია, რომ კაცს უნდა ჰყავდეს ერთი ოჯახი და არ ითვლება ნორმად ორი ოჯახის ყოლა. აქ ლექსემა ორი ხაზს უსვამს ნორმიდან გადახრას- „მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ“;

- **ორი** შოლტი ტყავი ააძრო (მაღზე სცემა). ლექსემა „ორი“ ასახავს არარეალურ სიტუაციას, რადგან ცოცხალ არსებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ კანის ერთი ფენა (ტყავი). ეს სიტუაცია ხაზს უსვამს და აქტუალურს ხდის აზრს „ბევრი, ზედმეტი“;

- **ორჯერ** მოკლული. ამ ფრაზეოლოგიზმში ლექსემა „ორი“ ასახავს არარეალურ მდგომარეობას. ადამიანი ორჯერ არ კვდება, ეს შეუძლებელია. ყველა სულიერი არსება ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება.

## რუსულ ენაში:

- **Две** шкуры драть (безжалостно угнетать, использовать в своих интересах). ლექსემა „ორი“ ასახავს არარეალურ სიტუაციას, რადგან ცოცხალ არსებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ კანის ერთი ფენა (ტყავი). ეს სიტუაცია ხაზს უსვამს და აქტუალურს ხდის აზრს „ბევრი, ზედმეტი“;

- Видеть на **два** аршина под землю (ითქმის გონება გახსნილ ადამიანზე). აქ შეინიშნება ანალოგიური სიტუაცია, რადგან მიწის ქვეშ დანახვა შეუძლებელია, მით უმეტეს ორ არშინზე. ირეალურობა ბადებს აზრს „ბევრი, ვიდრე ჩვეულებრივ“;

- О **двух** головах. აქ ლექსემა „ორი“ ასევე მიუთითებს სიტუაციის არარეალურობაზე, რადგან ცოცხალ არსებებს ორი თავი არა აქვთ, და ეს ხაზს უსვამს აზრს „მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ“. ანომალიური გაორების სემანტიკას გადმოსცემს გამონათქვამი: жить на **два** дома (ერთდროულად ორ სახლში ცხოვრება).

ესპანური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები ნუმერაციით „ორი“ ამგვარი სემანტიკით არ გვხვდება.

**„დიდი რაოდენობა, ბევრი“ ფორმალურად ოპოზიციის საშუალებით გამოიხატება:**  
ქართულ ენაში: ორი ერთზე ლაშქარიაო; ორი ყბით ჭამა.

**რუსულ ენაში: один – два ან ноль – два: два одному – рать; на рубль работы, на два похвальбы; грош за него дать мало, а два – много; где два, там не один; ум добро – а два лучше; есть в два горла; орать в две глотки.**

**ესპანურ ენაში: una** desorden no lleva al hospital, más **dos** llevarán; **una** aguja para la bolsa y **dos** para la boca.

## 4. მნიშვნელობა „დიდხანს“

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ანტონიმურია წინარე ჯგუფის მიმართ, ხასიათდებიან მოქმედების ხანგრძლივობით. თითოეული მათგანი შეიცავს ლექსემას საუკუნე (**век**), რაც ხაზს უსვამს ხანგრძლივი დროის მნიშვნელობას: береженная посуда **два** века стоит; **два** века не жить, а век – не тужить.

ქართულ და ესპანურ ენებში ფრაზეოლოგიზმები ნუმერაციით „ორი“ ასეთი სემანტიკით არ დასტურდება.

## 5. მნიშვნელობა „აბსოლუტური იგივეობა“

ეს მნიშვნელობა სიმბოლურია, განპირობებული სლავური მითოლოგიით (Осипова 2008). ფრაზეოლოგიზმებში წყვილი საგანი გამოხატავს ორი ადამიანის ერთნაირ თვისებებს.

**რუსულ ენაში:** два сапога – пара; гусь да гагара – два сапога пара; два лаптя; два сапога – пара, и оба на левую ногу. ზოგ შემთხვევაში საგნები იგივეება გარეგნული ნიშნებით: **Как две капли воды.**

**ესპანურ ენაში:** dos que duermen en el mismo colchón, son de la misma opinión; como dos gotas de agua.

**ქართული ენის მაგალითებში არ დასტურდება.**

## 6. მნიშვნელობა „განუსაზღვრელობა, ორობითობა“

ფრაზეოლოგიზმთა ეს ჯგუფი გამოირჩევა თავის სიუხვით.

**ქართული ენის მაგალითები:** ორ ცეცხლშუა ყოფნა; ორ ცეცხლშუა ჩავარდნა; ორივე მხარეზე კერვა (ორპირობა, მერყეობა, უპრინციპობა); ორ სკამზე ჯდომა; ორ ჭირშუა ყოფნა; ორ წყალშუა (დგომა ან ყოფნა).

**რუსული ენის მაგალითები:** между двух огней, между двумя стульями сидеть, на два фронта, меж двух остаться наголо, двум господам служить.

**ესპანური ენის მაგალითები:** nadar entre dos aguas; entre dos fuegos, estar entre chivo y conejo; dos dedos de frente.

რუსულ და ესპანურ ენებში შეიცავენ ან გულისხმობენ წინდებულს. რუსული ენისათვის - между/меж; ესპანური ენისათვის - entre, რომელიც მიუთითებს რაიმეს სივრცით მდებარეობას სხვა საგნებს შორის. ასეთ მდგომარეობაში ყოფნისას სუბიექტი დგას არჩევანის წინაშე, მაგრამ ყოველთვის არ შეუძლია ამის გაკეთება. ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც წესი, უარყოფით კონოტაციას ატარებენ. ქართული ენის, ზემოთ მოყვანილი ჯგუფის ფრაზეოლოგიზმები არ გულისხმობენ წინდებულს, ესპანური და რუსული ენებისგან განსხვავებით.

## 7. მნიშვნელობა „შეუთავსებლობა“

ეს ჯგუფი შეიცავს ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა სემანტიკაში გამოხატულია ცოცხალ არსებათა მეტოქეობისა და მტრობის იდეა. ფრაზეოლოგიზმები ორი ერთნაირი

არსების შეუთავსებლობის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია უარყოფითობის შემცველი სინტაქსური კონსტრუქციებით:

**ქართულ ენაში:** ორი ქაჩალი ერთ სავარცხელზე ჩხუბობდაო; ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ ეტეოდაო; ორი ძიძის შუა ბავშვი დაიხრჩოო; ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო; ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო.

**რუსულ ენაში:** две бараньи головы в один котел не положишь; два kota в одном мешке не улежатся; два медведя в одной берлоге не живут; два черта не живут в болоте; две собаки из одной миски лакать не станут; две гусыни в одном гнезде не усидят.

**ესპანურ ენაში:** una vía y dos mandados; dos agujas no se pinchan; dos bueyes machos no viven en una misma cueva; dos gatos en un costal, no juntos pueden estar; dos gorriones en una espiga hacen mala miga; dos hambrientos a un pan, mal trato le dan.

## 8. ორი აქტიური ქმედების ერთდროულად შესრულების სიტუაცია

ასეთი სიტუაცია ითვლება „ანომალიურად“. საინტერესოა, რომ ორი საქმის ერთდროულად შესრულების თვით პროცესი ფასდება უარყოფითად იმ დროს, როდესაც შედეგი მარკირებულია განსაკუთრებულად დადებითად.

**ქართული ენის მაგალითები:** ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო

**რუსული ენის მაგალითები:** за двумя зайцами погнаться; убить двух зайцев.

**ესპანური ენის მაგალითები:** una vía y dos mandados.

რუსულ ენაში დასტურდება უნიკალური მნიშვნელობა, სადაც რიცხვი „ორი“ შეიძლება იყოს სიმბოლო იმქვეყნიური ნეგატიური ძალისა. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი **Черта с два!** გამოხატავს უარყოფით შეფასებას. აქ ლექსემა „ორი“ აძლიერებს თავისი კონტექსტუალური პარტნიორის სემანტიკის ნეგატიურ კომპონენტს. არსებობს რწმენა, რომ ეშმაკი და სხვა უწმინდურობა შეიძლება მოსპო ერთი დარტყმით: თუ ორჯერ დაარტყამ, იგი გამოცოცხდება და გაორმაგდება კიდევ. მოტივმა **Черта-с два!** თავისი ასახვა ჰპოვა სამხრეთ და აღმოსავლეთ სლავთა ფოლკლორში.

ასევე, რუსული ენის ფრაზეოლოგიზმებს ნუმერაციით „ორი“ ახასიათებთ მნიშვნელობა „ჩქარა, სწრაფად“. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების სისწრაფეს, მომენტალურობას, წამიერებას და აქვთ დადებითი კონოტაციები. ჩვეულებრივ, ისინი აგებულია მოდელით რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: **в два счета; в два огляда; на два слова.** თვით არსებით

სახელებსაც აქვთ სწრაფი მოქმედების სემანტიკა და გამოხატავენ ამ მნიშვნელობას: **огляд = взгляд – быстрое действие; счет = считать – быстрый процесс.** ასევე გადმოიცემა ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: **раз – два и готово.** ფრაზეოლოგიურ ერთეულში **живо – два** - სისწრაფის სემანტიკა აქტუალიზირდება ლექსემა **живо** -ს დახმარებით.

რიცხვითი სახელი **второй**, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, შეიძლება გამოჩნდეს საკუთარი მნიშვნელობით, განსაზღვრავს რა საგნის/მოვლენის ადგილს რიგის მიხედვით: **первая роса ледовая, а вторая – медовая; первую рюмку ты берешь, а вторая тебя хватает; первую дочь бери по матери, а вторую по сестре.** ასეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურა ერთნაირია, შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეულში აღწერილია ორი საპირისპირო სიტუაცია. თუმცა აქ შეიძლება, განვითარდეს შეფასებითი მნიშვნელობა. მაგალითად: **первую рюмку ты берешь, а вторая тебя хватает – второй** იძენს ელფერს „ზედმეტი, არასაჭირო“, უარყოფით კონოტაციას. ფრაზეოლოგიურ ერთეულში **первая роса ледовая, а вторая – медовая - второй** იძენს დადებით კონოტაციას. განმეორების იდეაში, როგორც იდეა მეორისა, რაღაც ასლისა, რომელიც „გადაღებულია“ პირველი ელემენტიდან, სიზუსტის ხარისხი შეიძლება ვარირებდეს. ასეთმა გამეორებამ, შეიძლება, ვერ მიიღოს ნათლად გამოხატული შეფასებითი შეფერილობა. ორ ობიექტს შორის, შეიძლება, ისეთი ურთიერთობები იყოს, როდესაც მეორე წარმოადგენს სრულყოფილს და ამიტომაცაა პოზიტიურად შეფერილი ასლი პირველისა: **второй хлеб `о картофеле`, второй дом `о месте, где человек чувствует себя комфортно, как дома`.** თუ საქმე ეხება ორ ობიექტს, როგორც რაღაც ერთიანობას, მაშინ მეორე, შეიძლება, შეფასდეს როგორც დამატებით-აუცილებელი, ტოლფასი პირველისა. ეს აზრი ახასიათებს სოციალური და პირადი ურთიერთობების სფეროს: **вторая рука `ახლო დამხმარე/მარჯვენა ხელი`, вторая половинка `მეუღლე/შეყვარებული`.**

რიცხვით სახელ „მეორეს“ ხარისხობრივი მნიშვნელობა მყარ შეერთებებში ვითარდება რამდენიმე მიმართულებით:

1. მნიშვნელოვნობის მიხედვით, მსგავსი პირველისა, ანუ ისეთივე მნიშვნელოვანი: **вторая натура** - დადებითი კონოტაციით.

2. მის ოპოზიციად ვითარდება საპირისპირო მნიშვნელობა „არამნიშვნელოვანი“: **вторую** скрипку играть; **второй** и третьей руки; отойти на **второй** план - უარყოფითი კონოტაციით.

3. შეფასებითი სემანტიკა ვლინდება ოპოზიციით „ნორმა - ანომალია“

ნორმიდან გადახრა იღებს განსაზღვრულ შეფასებას. ნორმისა და ანომალიის იდეა, უმეტესი რეგულარობით, შეინიშნება ისეთ რიცხვით სახელთა სემანტიკაში, რომლებიც ფუნქციონირებენ ლექსემათა და ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში და მათი შინაგანი ფორმა შექმნილია მოდელით - „რიცხვითი სახელი + სხეულის ნაწილის (ორგანოს) დასახელება: **из вторых уст; из вторых рук.** ანომალიური გაჩენა **вторых губ** მოიაზრება ნეგატიურად, არასწორად, ამიტომაც ფრაზეოლოგიური ერთეულის **из вторых уст – «через посредников»** მნიშვნელობა უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. ფრაზეოლოგიურ ერთეულში **из вторых рук**, ერთი შეხედვით, ანომალია არაა, რადგან ადამიანს ორი ხელი აქვს. თუმც, როგორც ე. ვ. შაბალინა წერს, „იდეა, რომელიც წარმოადგენს საფუძველს, სავსებით გასაგებია: ნორმის სახით მიიჩნევა ერთი „აქტიური“ ხელის (მარჯვენის) ქონა. საინტერესოა, რომ ასეთი ფუნქციონალური არათანაბარუფლებიანობა მარცხენა და მარჯვენა ხელისა ენობრივად საკმაოდაა დამკვიდრებული. მაგალითად, სოციალური ურთიერთქმედების ფუნქციები მიეწერება მხოლოდ ერთ (აქტიურ) ხელს, თუკი შევადარებთ გამონათქვამებს **предложить руку и сердце, протянуть руку помощи** და სხვ. ხელების ასეთი singularis ფუნქციონირება აღიქმება ნორმად, რაც პრინციპიალურად განასხვავებს მათ (ხელებს) სხეულის სხვა წყვილი ნაწილებისაგან - უპირველეს ყოვლისა ფეხებისაგან“ (Шабалина 2010: 77).

ტიპური პროცედურა თვლა/გაზომვა არ ვარაუდობს ობიექტთა შემფასებელ ატრიბუციას, მისი მთავარი მიზანია - საგნის სათვლელ რიგში მოთავსება და მისი ადგილის განსაზღვრა ამ რიგში: შდრ. **два стола, второй человек.** თუმცა, მყარ შეერთებებში, რომლებიც შეიცავენ რიცხვობრივ კომპონენტს, რიცხვით სახელს, გარდა რაოდენობრივისა, შეიძლება ჰქონდეს ასევე ხარისხობრივი შევსება. რიცხობრივი ანომალიები აღწერენ ცხოვრებისეულ ციკლებს, აძლევენ ფრაზეოლოგიურ ერთეულს დადებით კონოტაციას: **вторая молодость** (მორალური და ფიზიკური ძალების მომატება ხნიერ ასაკში). სამივე საანალიზო ენაში „**მეორეს**“ სემანტიკა, როგორც სხვა

რამის შემცველისა, ვლინდება ნომინაციებში - კულტურულ პრეცედენტებში: **второе пришествие/ მეორედ მოსვლა/ segundo advenimiento.**

რიცხვითი სახელი „ორივე“ (**оба**) ვიწრო სემანტიკის მფლობელია. მთავარი იდეა, რომელსაც ის გადმოსცემს, დევს შიდა ფორმაში - ეს არის იდეა სიახლოვისა მსგავსების საფუძველზე. რიცხვითი სახელი „ორივე“, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდ რაოდენობაში, წარმოადგენს ინტენსიფიკატორს: ერთნაირად, სწრაფად. ხაზს უსვამს შესასრულებელი ქმედების ინტენსივობას: **ухватиться обеими руками** (რაიმეს გამოყენება მიზანის მისაღწევად); **подписываться обеими руками** (სრულიად დათანხმება რამეში); **оба глаза смотреть** (დაკვირვებით ყურება)/ **ორივე ხელით პირის დაბანა/ ორივე ხელით დაბლაუჭება.**

## 2.5. ლექსემა „სამი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ლექსემა **სამი** გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში რუსულ და ესპანურ ენებში. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ენის კულტურაში „3“ საკრალური რიცხვია, ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონები ადასტურებენ ფრაზეოლოგიზმების მწირე რაოდენობას ნუმერაციით „სამი“. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში - 3 ფრაზეოლოგიური ერთეულია; რუსულ ენაში - 18 ; ესპანურ ენაში - 12 (იხილეთ ცხრილები: III, XII, XXII).

გამოვყავით „სამის“ სემანტიკური რამდენიმე ჯგუფი:

### 1. რაოდენობითი მნიშვნელობა:

**სამი** დღის გოჭი **სამი** დღის სავალზე წავაო.

За три **вещи** не ручайся : за честь, за молодость, за жену.

### 2. სემანტიკური მნიშვნელობით „არაფერი“:

**სამის** არ დამსხმელი და არც შემსმელიო.

### 3. შედის ოპოზიციურ ურთიერთობებში:

**სამი** გოჭი- ჩემსკენ, **ორი** ქალი - შენსკენ.

**Три** бабы – базар, а **семь** – ярмарка.

A cada **tres** por **cuatro**.



**Tres** zapatos al buey, **cuatro** ha menester.

#### 4. სემანტიკური მნიშვნელობით „უბედურება“:

ამ ჯგუფში რიცხვი „3“ უბედურების სიმბოლოა, რომელიც კარგად ჩანს ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში.

В поле тебе лебеды, да в дом **три** беды.

Беда беду родит – **третья** сама бежит.

#### 5. სემანტიკური მნიშვნელობით „ჭკუასუსტი“:

**Tres** не перечтет.

No saber cuántas son **tres** y **dos**.

#### 6. სემანტიკური მნიშვნელობით „ბევრი“:

С **три** короба.

**Три** чулка с языка.

#### 7. სემანტიკური მნიშვნელობით „არარეალური დრო“:

На то лето, не на это, а на **третий** год, когда черт умрет;

Не страшны злыдни в **три** дни, страшны в **три** года.

როგორც ვხედავთ, რიცხვი „სამი“ მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნაში. იგი არ არის აქტიური, როგორც სხვა კომპონენტები, მაგრამ ჩვენ შევძელით, გამოგვეყო სემანტიკური ნაირაფეროვნება, რომელიც მათ ახასიათებთ. ქართული ენისათვის უნიკალური მნიშვნელობაა - „არაფერი“, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ქართული ენის ფრაზეოლოგიზმებს. რუსული ენისათვის უნიკალური აღმოჩნდა არარეალური დროის აღქმა ნუმერაცია „სამის“ მეშვეობით, რაც არ აღინიშნება არც ქართულ და არც ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში. ესპანური ენისათვის უნიკალური მნიშვნელობაა - „ლატაკი“. მაგალითად: estar a **tres** menos **cuartillo**; vivir al **tres** y al **cuatro**.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო ენებში ოპოზიციურ წყვილებს სხვადასხვა რიცხვითი სახელები ქმნიან. ქართულისათვის - 3/2; რუსული ენისათვის - 3/7; ესპანური ენისათვის - 3/4.

## 2.6. ლექსემა „ოთხი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ოთხი სამივე ენის გრამატიკაში აღნიშნულია, როგორც რაოდენობითი რიცხვითი სახელი. რუსულ და ესპანურ ენებში ამ რიცხვს არ გააჩნია სქესის გრამატიკული კატეგორია. იგი შედის ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში, მისი მეშვეობით წარმოიქმნება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ სამივე საანალიზო ენაში ფრაზეოლოგიზმები რიცხვითი სახელით „ოთხი“ გვხვდება მწირი ოდენობით: ქართულ ენაში - 6 ფრაზეოლოგიური ერთეული; რუსულ ენაში -3; ესპანურ ენაში -4 .

შევძელით გამოგვეყო შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

### 1. სემანტიკური მნიშვნელობით „დაჩაგრული“:

ოთხში ამოღება;

ოთხფეხის ჩაკვლა საფლავეში;

წელში ოთხად მოკაკულია (იხილეთ ცხრილი IV)

Челом **четырем**, а **пятому** помогай бог. (იხილეთ ცხრილი XIII)

### 2. ოპოზიციური წყვილი :

თვალი - ოთხი, ყური - ექვსი;

### 3. სემანტიკურ მნიშვნელობით „საიდუმლოდ“:

ოთხ კედელშუა.

ქართული ენისათვის ფიქსირდება უნიკალური მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ქართული ენის ფრაზეოლოგიზმებში მოიპოვება - ოპოზიციური წყვილი - 4/6 სემანტიკური მნიშვნელობით - „ყურადღებით“, სემანტიკური მნიშვნელობით „საიდუმლოდ“, რაც ქართული მენტალობის მახასიათებელია და არა რუსულ და ესპანურ ტრადიციებში.

ასევე, ესპანურ ფრაზეოლოგიზმებშიც დასტურდება უნიკალური მნიშვნელობები - „სიმართლის თქმა“ – decir las **cuatro** verdades; სემანტიკური მნიშვნელობით „არაფერი“- por **cuatro** cuartos, no valer **cuatro** cuartos. ეს მნიშვნელობები ახასიათებს მხოლოდ ესპანურ კულტურას და ტრადიციას (იხილეთ ცხრილი XXIII).

## 2.7. ლექსემა „ხუთი“ ქართულ, რუსულ, ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

სამივე საანალიზო ენაში რიცხვი „ხუთი“ მოიპოვება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურაში. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში - 3 ფრაზეოლოგიური ერთეულია, რუსულ ენაში - 16, ესპანურ ენაში - 16 (იხილეთ ცხრილები: V, XIV, XXIV).

გამოვყავით შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

### 1. სემანტიკური მნიშვნელობით „ზედმეტი“:

Как телеге **пятое** колесо.

Как собаке **пятая** нога.

### 2. სემანტიკური მნიშვნელობით „არეგ-დარეულობა“:

Перескакивать с **пятого** на десятое.

### 3. სემანტიკური მნიშვნელობით „დაღლა“:

Работать за **пятерых**.

### 4. სემანტიკური მნიშვნელობით „მალე“:

Без **пяти** минут.

### 5. გამოხატავს დადებით ექსპრესიას:

**Пять** баллов;

На **пять** с плюсом;

Дай **пять**.

ქართულ ენაში ფრაზეოლოგიზმები ნუმერაციით „ხუთი“ უკავშირდებიან სანთელს, რაც უნიკალური მნიშვნელობაა და ახასიათებს მხოლოდ ქართულ ენას. სემანტიკური მნიშვნელობით გამოხატავს „სინათლეს, სიკეთეს“: **ხუთი** თითო სანთელი შეანათებს იქ ანთებული (სახოკია 1989:944), **ხუთით** სანთლად დაინთება ვისთვისმე (სახოკია 1989:944).

კვლევამ ცხადყო, რომ ქართული და რუსული ენის ლექსიკონებში არცერთი ფრაზეოლოგიური ერთეული არ დასტურდება რიცხვითი სახელით „ექვსი“, ხოლო ესპანური ენის ლექსიკონებში მოიპოვება მხოლოდ ოთხი ფრაზეოლოგიური ერთეული:

Como **cinco** y **una** son **seis** – „სიმართლე“;

Estar a **seis** menos **cuartillo** – „უფულოდ ყოფნა“;

Tocarle el **seis** doble a **uno** – „გამართლება“;

**Seis** por **ocho** – „ჩხუბი“. (იხილეთ ცხრილი XXV)

## 2.8. ლექსემა „შვიდი“ ქართულ, რუსულ, ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

რიცხვითი სახელი „შვიდი“ მნიშვნელოვანი სემანტიკის გამომხატველია მსოფლიო კულტურული ტრადიციის მიხედვით და საკრალურ რიცხვად მიიჩნევა. მისი ამგვარი წარმოდგენის ზუსტი წყაროების დასახელება შეუძლებელია, თუმცა მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ოდესღაც არსებული ათვლის შვიდეული სისტემის გავლენით, ან შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის უნარს - ერთდროულად აღიქვას საგანთა სიმრავლე მაქსიმუმ **შვიდი** ერთეულის რაოდენობით (Миллер 1964: 192-194).

მსოფლიო კულტურულ ტრადიციაში, რიცხვ **შვიდზე** წარმოდგენა უკავშირდება „სამის“, როგორც დინამიკური მთლიანობის გამომხატველის და „ოთხის“, როგორც სტატიკური მთლიანობის გამომხატველის შეკრებას (ჯამს). ტ. იაკუბოვსკაიამ, თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება რიცხვს **შვიდს** – „ძველი დროის უდიდეს გამოცანას“, სცადა, რომ აღმოეჩინა კავშირი რიცხვ **შვიდისა** და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებსა და წარმოდგენებს შორის. შეაპირისპირა რა ცნებები და ობიექტები, რაც უკავშირდება რიცხვებს სხვადასხვა ხალხთა წარმოდგენებში, ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ რიცხვებში დაფარულია ბუნების რაღაც კანონები, როგორც ცნობილი, ასევე ჯერ-ჯერობით უცნობი, თანამედროვე მეცნიერებისათვის (Якубовская 2008).

„**შვიდიანი**“ აქტიურად ფუნქციონირებს რუსულ და სხვა სლავთა ტრადიციულ კულტურებში. როგორც შ. ბაიასგალანი აღნიშნავს, უნდა აღინიშნოს ამ რიცხვის უპრეცედენტო გამოყენება რუსულ ფრაზეოლოგიზმებში, მყარ შეერთებებსა და ანდაზებში. შესაძლებელია, ეს განპირობებული იყოს ამ კონცეპტის პოპულარობით ქრისტიანულ კულტურაში (Ш. Баясгалан 2006). ამასთანავე, რიცხვ „**შვიდის**“ კონცეპტი შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა კულტურათა ცნებით უნივერსალიებს. მაგალითად, რუსულ და მონღოლურ ენათათვის საერთოს წარმოდგენს ამ რიცხვის ხმარება განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის აღსანიშნად. უმეტეს შემთხვევაში, ასევე, შეიძლება ვილაპარაკოთ მის რიტუალურ გამოყენებაზეც - „**შვიდი**“ წარმოდგენს თითქოს, საერთოდ, რიცხვითი ცნების სიმბოლოს. მეცნიერები აღიარებენ, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კულტურული მნიშვნელოვნობა გაცილებით უფრო

დიდია, თუ მის შემადგენლობაში შედის სიმბოლური შემადგენელი (Баранов, Добровольская 2008: 268).

ანტიკური პერიოდის ავტორებმა, როგორც ცნობილია, გამოყვეს მსოფლიოს არქიტექტორულ ძეგლთა შვიდი საოცრება. ასე წარმოიშვა ფრაზეოლოგიზმი **семь чудес света**. სასაუბრო მეტყველებაში, სამყაროს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთს უწოდებენ ხოლმე რაიმე შესანიშნავსა და დიდებულს. ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ცა შედგება **შვიდი** უძრავი ბროლის სფეროსაგან, რომლებზედაც მიმაგრებულია ვარსკვლავები და პლანეტები. **მეშვიდე** ცა, ყველაზე მაღალი, იყო ღმერთისა და ანგელოზთა ყოფნის ადგილი. ამის შესახებ მოთხრობილია მუსულმანთა წმინდა წიგნში “ყურანში“, რომელიც თითქოსდა, ჩამოტანილ იქნა ადამიანებთან ანგელოზების მიერ მეშვიდე ციდან. ამჟამად, ფრაზეოლოგიური ერთეული **на седьмом небе** აღნიშნავს სიხარულისა და ბედნიერების უმაღლეს ხარისხს.

კვლევამ ცხადყო, რომ სამივე ენის გრამატიკებში რიცხვი „**შვიდი**“ მიეკუთვნება რაოდენობით რიცხვით სახელს. რიცხვი „**შვიდი**“ მოიპოვება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ქართულ ენაში - 6 ფრაზეოლოგიური ერთეული, რუსულ ენაში-30, ესპანურ ენაში - 15.

როგორც აღმოჩნდა, ქართული ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში მოიპოვება ფრაზეოლოგიური ერთეულების მწირი რაოდენობა ნუმერაციით „**შვიდი**“. ქართულ ენაში ჩვენ შევძელით გამოგვეყო შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

**ცვალებადი ხასიათი:** **შვიდი** პარასკევი აქვს დღეში; **შვიდი** პარასკევი აქვს კვირაში.

**სიხარული:** **მეშვიდე** ცაში აყვანა; **მეშვიდე** ცას ეწევა; **მეშვიდე** ცამდე მიწეული.

**მოკრძალებული:** **შვიდ** სადილზე შეესწრო, **შვიდი** ლუკმა აიღეო. (იხ. ცხრილი VI)

**ესპანური ენის სემანტიკური ჯგუფები:**

**ბევრი:** más de **siete**.

**ცბიერი:** hablar más que **siete**.

**ცვალებადი ხასიათი:** **Siete** hijos de un vientre, cada uno de su mente. (იხ. ცხრილი XXVI)

ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, რუსული ენის ფრაზეოლოგიზმებში დიდი ოდენობითაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ნუმერაციით „**შვიდი**“. მათი სემანტიკა ნაირფეროვანია:

1. რიცხვითი სახელები **семь, седьмой, семеро**, ზოგ შემთხვევაში, ინარჩუნებენ პირდაპირ რაოდენობრივ მნიშვნელობას: **семь** перемен, а все редька: редька триха, редька ломтиха, редька с квасом, редька с маслом, редька в кусочках, редька в брусочках да редька целиком; **семь** смертных грехов; у кобылы хоть **семь** жеребников, а ей свой хомут; У кошки **семь** жизней; **семерых** молодых заменит; **семерых** молодых за пояс заткнет (იხილეთ ცხრილი XV).

თუმცა, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა იდიომატური ბუნება ანეიტრალებს მნიშვნელობებს და რიცხვითი სახელები წარმოადგენენ განზოგადოებული რაოდენობის მაჩვენებლებს. **შვიდის** გააზრება, როგორც მცირე ან დიდი რაოდენობის მაჩვენებლისა, დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რომელ კონკრეტულ რეალიებს შეესაბამება მოცემული რიცხვითი მაჩვენებელი, არამედ ის ასევე განისაზღვრება სივრცეში თვლად საგანთა ერთმანეთის მიმართ განლაგებითაც: შდრ. დიალ. волок — **семь** ёлок (მცირე მანძილი). თუ ჩვენს წინაშე ტყის სივრცეა, მაშინ ცხადია, რომ დაშორება «**в семь елок**» უმნიშვნელო იქნება. როგორც განუსაზღვრელი სიმრავლის მაჩვენებელი.

## 2. მიუთითებს რაოდენობრივ ერთობლიობაზე:

чем **семерых** посылать, лучше самому побывать; сам не дерусь, **семерых** не боюсь; **семеро** в семье и все большие (все хозяйева); **семь** раз поели, а за столом не сидели; **семьдесят семь** болезней — **семьдесят семь** травок. მოყვანილ კონტექსტში ასახვას პოულობს **семи/ семидесяти семи трав** -ის (რომელთაც უნარი აქვთ განკურნონ შესაბამისი რაოდენობის ავადმყოფობები) კულტურული და ენობრივი მოტივი. Баба с печи летит, **семьдесят семь** дум передумает — შესამჩნევია, რომ რიცხვითი სახელები **семьдесят семь** და **семью семь** ინტენსიფიცირებენ **შვიდიანის** სემანტიკაზე და ამიტომაც განიხილებიან როგორც მისი ვარიანტები.

**Семеро** с ложкой (ხალხის დიდი რაოდენობა, რომელიც უნდა დაანაყრო); **семеро** на полатах: **семеро** и горох молотят; **семи** пестами ступе (в ступе) не угодишь (ურთიერთობის დალაგების შეუძლებლობა); **семеро** по лавкам. ასეთი მნიშვნელობა გადმოიცემა, ძირითადად, არა რაოდენობრივი, არამედ კრებითი რიცხვითი სახელით **семеро**, რაც საერთოდ შეესაბამება კრებითი რიცხვითი სახელების ლექსიკო-გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც ახასიათებს მხოლოდ რუსულ ენას, ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით

### 3. დროითი სემანტიკის გამოხატველი:

**семь** лет, как видел коровий след, а все молоком отрыгается; **семь** лет молчал, на **восьмой** вскричал; **семь** лет мак не родил, а голода не было; не хвались женой в **семь** день, а хвались в **семь** лет.

### 4. სემანტიკური მნიშვნელობით „დიდი რაოდენობა“ :

у **семи** няnek дитя без глаза; на всякого крестьянина по **семи** баринов; плохо — у одной овечки и **семь** пастухов; у **семи** дворов один топор, да и тот без топорща.

### 5. პიროვნების მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელები, რიცხვით სახელებთან შეერთებისას, ასახელებენ პიროვნებათა სიმრავლეს, რომელთა არსებობა, აღწერილ სიტუაციებში, არ არის შესაძლებელი ანუ ეწინააღმდეგება საღაზროვნებას. განუსაზღვრელი სიმრავლის სემანტიკის ინტენსიფიკაციისათვის გამოიყენება «один/три/восемь — семь», ტოლფასი ოპოზიციისა «мало-много».

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაწილი, რომელშიც არის ლექსემა **один/три/восемь**, შეიცავს დადებით კონოტაციას და უმეტესად ხაზს უსვამს მეორე ნაწილის ნეგაციას კომპონენტით **შვიდი**: **один** пашет, а **семеро** руками машут; **один** с сошкой — **семеро** с ложкой; нужда **семерых** заставила, а радость **одному** досталась; **семеро** с пером — **один** с топором. თუმცა, ხდება პირიქითაც: დადებითი კონოტაციის მატარებელია ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაწილი ლექსემით **შვიდი**: лучше **семь** раз покрыться потом, чем один раз инеем; **один** пьет — **семерым** кошну рвет; лучше **семь** раз гореть, чем **один** раз овдоветь. ხშირად ასეთი ოპოზიცია გვხვდება ანდაზებსა და გამოცანებში: **семеро** капралов над одним рядовым; **семь** сел, один вол, да и тот гол; на **семь** деревень одна лошадь.

### 6. მყარ გამონათქვამებში აქტუალიზდება პიროვნებათა განუსაზღვრელი სიმრავლის სემა ლექსემა **შვიდის** საშუალებით, რომელიც წარმოადგენს წარმოებულს შვიდიდან და წინადადებაში ასრულებს ქვემდებარის როლს, მასზე დამოკიდებული არსებითი სახელის გარეშე.

**семь** бед — **один** ответ; **семь** раз примерь, **один** раз отрежь; **семь** раз доверься — **один** проверься.

### 7. არსებობს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჯგუფი ლექსემით „შვიდი“, რომელთა სემანტიკა აბალანსებს განუსაზღვრელი დიდი რაოდენობისა და ინტენსივობის ზღვარს:

из пяти перстов не видит ни одного, а один в глазах **семерит** `о пьяном человеке, который нетвердо идет, мельтешит`. ვფიქრობთ, რომ «мельтешить» (თვალის აჭრელება) გამოწვეულია ადამიანის მოძრაობის ვიზუალური აღქმით. გარდა ამისა, საკვებით შესაძლებელია კონტამინაცია ლექსებით **семенить** ('ხშირი, პატარა ნაბიჯებით სვლა').

#### 8. ლექსემა „შვიდს“ ზოგჯერ გააჩნია ინტენსიურობის სემანტიკური ელფერი:

на **семи** соборах не догнать `невозможно опередить или сравняться`; на **семи** базарах куплены `о бойких, живых глазах`; в **семи** ступах толченный `бывалый, с большим жизненным опытом`; из **семи** печей хлебы едал `бывалый`; купался в семи водах `об опытном, бывалом человеке`.

#### 9. სემანტიკური მნიშვნელობით „დამალულია“, „ინახება“:

За **семью** печатями, за **семью** морями, за **семью** замками.

#### 10. „შვიდი“ ადამიანის უარყოფითი ფიზიკური მდგომარეობისა და ასევე ამ მდგომარეობის გამომწვევ მოქმედებათა სემანტიკის გამაძლიერებელია. ასეთ შემთხვევებში, შვიდი უპირატესად იერთებს ფიზიოლოგიური და სომატური სფეროების ლექსიკას:

до **седьмого** пота (დაღლა-დაქანცვამდე მუშაობა); сгонять **семь** потов, **семь** шкур спускать (ტანჯვა უმძიმესი სამუშაოთი).

#### 11. სიმრავლე, პროცირებული ჰორიზონტალურ სივრცეზე, ბადებს ინტენსიური დაშორების სემანტიკას:

на **седьмой** порядок (სახლიდან შორს); на **седьмой** версте (შორს); к **семи** соснам (შორს); за **семью** горами (ძალიან შორს, კაცმა არ იცის სად); **семь** верст до небес и все лесом (ძალიან შორს); дураку **семь** верст не крюк.

#### 12. სივრცითი დაშორების იდეა კორელირებს მიუწვდომლობის იდეასთან და ამიტომაც შეიძლება, რომ შეიერთოს ნეგატიური აზრები. კულტურული მოტივი **семи печатей** და **семи замков** საკმაოდ აქტიურია რუსულ ენაში:

за (под) **семью** замками; за **семью** печатями `под строгим присмотром`.

დაშორების სიდიდემ **в семь верст** შეიძლება გამოიწვიოს პარადოქსალური სიტუაცია, რომელშიც „მნიშვნელოვანი დაშორება“ გადაილახება „უმნიშვნელო მიზნით“: за **семь** верст киселя хлебать `далеко и попусту идти, ехать, тащиться и т. п. куда-либо`. თუმცა, შორეული გზა არ არის გრძელი მოყვარული გულისათვის და საყვარელი ადამიანისათვის: к милому **семь** верст не крюк; для друга и **семь** верст не околица.



**13. სივრცითი დაშორება ასევე შეიძლება იყოს საფუძველი ნათესაურ კავშირთა გააზრებისათვის:**

**седьмая** вода на киселе (შორეული ნათესავი); до **седьмого** колена (ითქმის შორეული ნათესაობის ხარისხზე); от **седьмой** свиньи поросенок (ითქმის, როდესაც ეჭვი ეპარებათ ნათესაობაში).

რიცხვითი სახელი, ფრაზეოლოგიურ ერთეულში შეიძლება გადმოსცემდეს კომბინირებულ მნიშვნელობებს, რომლებიც წარმოიქმნიან რაოდენობისა და სივრცის, რაოდენობისა და დროის სემანტიკურ ველთა პერიფერიაზე. რიცხვი **შვიდის** სიმბოლური სემანტიკა ნაწილობრივ მოტივირებს გამონათქვამთა მნიშვნელობებზე, რადგან ზოგ ხალხთა წარმოდგენით, ცა შედგება შვიდი დონისაგან და ის, ვინც უმაღლეს, მეშვიდე დონეზე მოხვდება, განიცდის მუდმივ ნეტარებას.

ა. მოკლაკოვა აღნიშნავს, რომ ხშირად რიცხვითი სახელები, რუსული და ინგლისური ენების შემადგენლობაში, ახორციელებენ რა რაოდენობრივ-სივრცით მნიშვნელობას, სემანტიკურად არსებითად განსხვავდებიან. მაგალითად, მხოლოდ რუსულ ფრაზეოლოგიაში, კომპონენტი რიცხვითი სახელი **შვიდი** გამოხატავს განუსაზღვრელად-დიდი რაოდენობის სემას ისეთ გამონათქვამთა შემადგენლობაში, როგორცაა: за **семь** верст киселя и **семь** верст до небес и все лесом. აქ რიცხვითი სახელის **შვიდის** სემანტიკური ბირთვი დაკარგულია, მაგრამ შინაგანი ფორმის დონეზე, ეს კომპონენტი ნაწილობრივ მოტივირებს გამონათქვამის მნიშვნელობას, რადგან რუსულ ფოლკლორში, **შვიდს** გააჩნია განსაკუთრებული მაგიური ასოციაციები და გამოხატავს სიმრავლის ზოგად ცნებას (Моклакова 2008).

**14. რიცხვითი სახელები შვიდი/შვიდეული (семь/семеро), ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, შეიძლება წარმოადგენდნენ ანომალიის მაჩვენებელს. პოზიტიურ რიცხობრივ ანომალიებს შეუძლიათ აღწერონ ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ღირსებები:**

**семи** пядей во лбу (ძალიან ჭკვიანი, გამორჩეული). ამ შემთხვევაში **семи** пядей во лбу, რაოდენობრივი მახასიათებელი (რომელიც, ცხადია, წარმოდგენილია ჭკუის „სათავსოდ“) გადადის ინტელექტის ხარისხობრივ მახასიათებელში.

**15. კვირის დღეების სახელწოდებების ლექსემებთან შეერთებისას, რიცხვითი სახელი შვიდი ქმნის პარადოქსულ სიტუაციას, როცა კვირის ერთი და იგივე დღე**

მეორდება შვიდჯერ, საიდანაცაა **სემანტიკა ცვალებადობისა და არამუდმივობისა**, რომლიდანაც შემდეგ შეიძლება განვითარდეს არასარწმუნოების იდეა (იმ პრინციპით, რომ „რაც ცვალებადია, არ არის ჭეშმარიტი“):

**семь** пятниц на неделе ( у кого) `кто-либо часто меняет свои решения, намерения, настроения и т. п.`; у бабы **семь** пятниц на неделе; **семь** четвергов на неделе `много небылиц`; дожидайся год и **семь** суббот; на одном дне **семь** пятниц; **семь** четвергов и все в пятницу. დარღვეული წარმოდგენა „დღის“ შესახებ, როგორც რაღაც ერთგვარ კონტინუუმზე (მოცემულ შემთხვევაში - ამინდის ცვალებადობის მიხედვით), აისახება იდიომებში: день **семером** ходит `о чьем-либо непостоянстве`; на **семерых** ездить `о часто меняющейся погоде`; сентябрьский час — **семь** погод у нас. ცვალებადობისა და არამუდმივობის იდეა, მოცემული რიცხვითი მაჩვენებლებით, პროეცირებს მორალურ თვისებათა სფეროზე: на **семерых** ездит (о человеке без твердых убеждений); когда злой бываю, **семерых** убиваю (об очень злом человеке); **семь** раз по-твоему, да хоть раз по-моему.

**16.** ინტელექტუალური თვისებების სფეროს პროეცირებისას, ერთობლიობა შვიდი ელემენტიდან მოიაზრება, როგორც ინტელექტის არასაკმაო ნაწილი:

до рубля **семь** гривен не хватает (ითქმის ფსიქიურად არამდგრად ადამიანზე). გამონათქვამში потерял **пять**, а нашел **семь**, რომელიც წარმოადგენს აშკარა რიცხობრივ ანომალიას, მოცემულია რიცხობრივი პარადოქსის სიტუაცია, რომელიც წარმოგვიდგება დაუჯერებლად (საეჭვოდ) და შეესაბამება ქურდობას. Под **семью** когтями (დამოკიდებლობა/ უსუსურობა), შეერთებაში **შვიდიანი** ლექსემასთან **პრჭყალი**, რომელიც მიეკუთვნება „ცხოველური სომატიკის“ სფეროს და არის ნეგატიური ინტენსივობის პოტენციალური სემანტიკა, გვაძლევს „რიცხობრივ ანომალიას“ და ამგვარად აძლიერებს ნეგატიურ სემანტიკას.

ამგვარად, რიცხვითი სახელი **შვიდი**, წარმოდგენილი ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, არ ატარებს მკვეთრად გამოხატულ შემფასებლურ კონოტაციებს. თუმცა, უკავშირდება რა, ერთი მხრივ, ადამიანის წარმოდგენებს სამყაროზე (семь дней недели) და მსოფლიო კულტურის პრეცედენტებზე (семь великих архитектурных памятников Древнего мира), ხოლო, მეორე მხრივ, ბიბლიურ ტრადიციებზე (семь ангелов, семь главных грехов), შვიდი გადმოგვცემს მთლიანობისა და დასრულებული ერთიანობის იდეას: семь дней в неделе; семь звезд в венце; седьмой день Божий; семь чудес света. На

**семи** ветрах. „შვიდი“ წარმოადგენს ობიექტთან უარყოფითი დამოკიდებულების ინტენსიფიკატორს, ამასთანავე მნიშვნელოვანია ის, რომ მისი ნეგატიური ინტენსივობა მყარდება მისი კავშირით რელიგიისა და ხალხური დემონოლოგიის სფეროთა ლექსიკასთან. ამ კავშირის წყაროს წარმოადგენს სლავური კულტურული ტრადიცია: *хоть бы тебя черти семеро побрали!* ; *семь бы стрел и усовьев тебе в бок!*. „შვიდი“ ფუნქციონირებს ისეთ გამონათქვამებში, რომლებშიც ხატოვანადაა ნომინირებული ადამიანისათვის საკეთილდღეო სიტუაცია: *в рай на семи лошадях* (რაიმე კარგისაკენ). რიცხვითი სახელი შვიდი, სივრცით ობიექტთა დასახელებებთან ერთად, აძლიერებს დაშორების სემანტიკას. თუმცა, გამონათქვამს *поди к семи соснам!* (აღნიშნავს უკმაყოფილებას) მივაკუთვნებთ თვლის კულტურულ სიტუაციას, რადგან როგორც ფორმით, ასევე გრამატიკული წყობითაც, იგი წარმოადგენს წყევლას (შეჩვენებას). რადგანაც წყევლის ადრესატი უფრო ხშირად „იგზავნება“ რაღაც იმქვეყნიურ სივრცეში, ამიტომაც *семь сосен* შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი შეერთების უფრო მსუბუქ კორელატად, ვიდრე *семь чертей*. რიცხვით სახელ **შვიდის** საკრალური კონოტაციები ძლიერდება „სომატიკისა“ და „რელიგიისა და მითოლოგიის“ სფეროებში ფუნქციონირების ხარჯზე. უერთდება რა რელიგიურ და მითოლოგიურ ლექსიკას, **შვიდს** შეუძლია გაააქტიუროს რელიგიური ლექსიკის სემანტიკური კომპონენტები. გარდა ამისა, იგი აძლიერებს ხალხური დემონოლოგიის სფეროს ლექსიკის ნეგატიურ სემანტიკურ კომპონენტებს.

- ❖ კვლევამ ცხადყო, რომ არც ერთი საანალიზო ენის ლექსიკონებში არ დასტურდება ფრაზეოლოგიური ერთეული კომპონენტით „რვა“.

## 2.9. ლექსემა „ცხრა“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

კვლევამ ცხადყო, რომ ნუმერაციით „ცხრა“ არცერთი ფრაზეოლოგიური ერთეული არაა რუსულ და ესპანურ ენებში, იგი არაპროდუქტიულია ფრაზეოლოგიკონსტრუქციაში. ზემოთ აღნიშნული ენებისაგან განსხვავებით, ქართულ ენაში რიცხვითი სახელი „ცხრა“ აქტიური და პროდუქტიული კომპონენტია. ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები კომპონენტით „ცხრა“ დაფიქსირებულია - 27 ფრაზეოლოგიური ერთეული. (იხილეთ ცხრილი VII)

მათი სემანტიკური ნაირფეროვნება შემდეგია:

### 1.სემანტიკური მნიშვნელობით „ცუდი“.

ცხრარჯულა - გაიძვერა (სახოკია 1989:825);

ცხრამუცელა- გაუმადლარი (სახოკია 1989:827);

ცხრა თოკში გამძვრალი - გამოცდილი, გაიძვერა (სახოკია 1989:827);

ცხრათავიანი დევი - ყოვლადძლიერი (სახოკია 1989:827);

ცხრა ზნის დედა - გარყვნილია, უნამუსოა (სახოკია 1989:827);

ცხრა ენა გამოიბა - აყბედდა (სახოკია 1989:827).

### 2.სემანტიკური მნიშვნელობით „ტანჯვა“.

ცხრა პირი ტყავი გამაძვრეს - ძალიან დამტანჯეს, მატერიალურად სავსებით გამანადგურეს (სახოკია 1989:825).

### 3.სემანტიკური მნიშვნელობით „შორს“.

ცხრა მთას იქით - უსაზღვრო სიშორე, ძალზე შორს (სახოკია 1989:825);

ცხრამთასიქითელი - ძალზე შორეული, სრულებით უცხო (სახოკია 1989:827).

### 4.სემანტიკური მნიშვნელობით „ბედნიერება“.

ცხრა მზე ამოხდება - ცაზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება (სახოკია 1989:828);

ცხრათვალა მზე - ნათლადმჩინარე, მცხუნვარე, ძალზე მოკაშკაშე, უზომოდ ბრწყინვალე (სახოკია 1989:827).

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სემანტიკური მნიშვნელობები მიეკუთვნება მხოლოდ ქართულ ენას და მნიშვნელოვან ალომორფიზმს წარმოადგენს.

რუსულ და ესპანურ ენებში ფრაზეოლოგიური ერთეულები რიცხვითი კომპონენტით „ცხრა“ არ არის პროდუქტიული. ზემოთ მოყვანილი მაგლითები უნიკალურია ქართული ენისათვის და ახასიათებს მხოლოდ მას.

## 2.10. ლექსემა „ათი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

რიცხვი „ათი“ სამივე ენის გრამატიკაში აღნიშნულია, როგორც რაოდენობითი რიცხვითი სახელი. რუსულ და ესპანურ ენებში ამ რიცხვს არ გააჩნია სქესის გრამატიკული კატეგორია. იგი შედის ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში ნუმერაციით „ათი“ დადასტურებულია - 3 ფრაზეოლოგიური ერთეული; რუსულ ენაში - 2; ესპანურ ენაში - 7. (იხილეთ ცხრილები: XVI, XXVII)

გამოვყავით შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

ქართულ ენაში:

✚ სემანტიკური მნიშვნელობით „ცოტა“:

ათი თითის სამყოფი იყო ჩამოსათვლელად.

რუსულ ენაში:

**Сорока с тыну, а десять на тын.**

ესპანურ ენაში:

✚ სემანტიკური მნიშვნელობით „უბედურება“:

Las **diez** de ultima;

Estar uno en las **diez** de últimas;

Hacer uno las **diez** de últimas.

კვლევამ ცხადყო, რომ ნუმერაცია „ათის“ სემანტიკური ჯგუფები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არ არის ბევრი. ხოლო, ამ მწირი მასალიდანაც ჩანს, რომ ისინი ძირითადად გამოხატავენ ან დადებით, ან უარყოფით სემას; თუმცა, ახასიათებთ გარკვეული ექსპრესიულობა.

## 2.11. ლექსემა „ორმოცი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან რიცხვ ორმოცზე ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას: ორმოცი-ი (ორმოცისა) 1. რიცხვი 40, - ოთხჯერ ათი, ორჯერ ოცი. 2. რელიგ. გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს მიცვალებულისათვის გადახდილი წირვა ან პანაშვიდი.

საანალიზო ენების რიცხვი **ორმოცის** სემანტიკა ემთხვევა სამივე კულტურაში. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში რიცხვი **ორმოცი** - 1 ფრაზეოლოგიური ერთეულია; რუსულ ენაში - 3 ფრაზეოლოგიური ერთეული; ესპანურ ენაში - 1. აშკარაა, რომ რიცხვი „ორმოცი“ არაპროდუქტიულია და ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნაში არ მონაწილეობს. მაგალითების მწირი რაოდენობის გამო შეუძლებელია სემანტიკურ ნაირფეროვნებაზე საუბარი. სამივე საკვლევ ენაში იგი უკავშირდება რელიგიურ თემატიკას, ეს დამთხვევა განპირობებულია იმით, რომ ქართველები, რუსები და ესპანელები მიეკუთვნებიან ქრისტიანულ სამყაროს.

## 2.12. ლექსემა „ასი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ლექსემა **ასის** მეორადი მნიშვნელობები მყარადაა დამკვიდრებული ენაში და ფრაზეოლოგიზმებშიც. თითოეული ორნიშნა რიცხვი, მის შემადგენელ ციფრთა შეჯამების გზით, შეიძლება, დაყვანილი იქნეს ერთნიშნამდე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მის ფარულ არსად. ასეთი ერთნიშნა რიცხვი განეკუთვნება ორნიშნას, როგორც მოვლენის არსი. თუ ერთნიშნა რიცხვები არიან ღვთიურნი და არქიტპურნი, მაშინ ორნიშნა რიცხვები შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ქმნილებანი“. რიცხვითი სახელი **ასი** საკვლევ ენებში არ ატარებს არავითარ სიმბოლურ, ემოციურ დატვირთვას. ეს რიცხვი არ არის აღნიშნული არცერთ ჩვენ მიერ გამოყენებულ იმ წყაროებში, რომლებიც გვაწვდიან რიცხვთა სიმბოლიკის ინტერპრეტაციას.

კვლევამ ცხადყო, რომ რიცხვითი სახელი **ასი** აქტიურად მონაწილეობს საკვლევი სამივე ენის ფრაზეოლოგიურ სტრუქტურებში. ქართულ ენაში რიცხვითი სახელი **ასით** - 21 ფრაზეოლოგიური ერთეულია; რუსულ ენაში - 11; ესპანურ ენაში - 9.

### 1. ინტენსიფიკატორი „ბევრი“

MAC და BAC ლექსიკონების მიხედვით, ასი გამოხატავს რაიმეს განუსაზღვრელად დიდ რაოდენობას. ამ რიცხვითი სახელის სემანტიკური ბირთვი რუსულ, ქართულ და ესპანურ ენებში მსგავსია და ეს ასახულია :

**რუსული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში:** не имей **сто** рублей, а имей **сто** друзей; ехать за **сто** верст киселя хлебать; за доброго человека **сто** рук; **сто** голов – **сто** умов; **сто** лет в обед; (იხილეთ ცხრილი XVII)

**ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში:** ასი მიიწია - ასი დაეტიაო; ასმა სულმა ცხვარმა ნედლ ხეს რომ შებღავლოს, ისიც გახმებაო; ასი კაცი ცხენს კაზმავდა, ვაი უკაცურობისაო; ასი ერთად და ერთი ათასადო. (იხილეთ ცხრილი VIII)

**ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში:** **cien** años de guerra, y no un día de batalla; **ciento** viejo y **ciento** nuevo, y **ciento** para dar por Dios; **ciento** te entrego, **ciento** me has de dar, porquero. (იხილეთ ცხრილი XXVIII)

### 2. ინტენსიფიკატორი „ბევრი - ცოტა“

ოპოზიციური ჯგუფები „ბევრი - ცოტა“, „ერთი - მეორე“ ძალიან ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიზმებში. ასე მაგალითად, რიცხვითი სახელი ასი, მნიშვნელობით „ბევრი“ უპირისპირდება სხვა უმცირეს რიცხვს (ძირითადად, 1 - დან 100 - თან):

**რუსული ენის ფრაზეოლოგიზმებში:**

лучше **один** раз своими глазами увидеть, чем **сто** раз слышать; цена зайцу – **две** деньги, а бежать – **сто** рублей; **сто** к **одному**; верный друг лучше **сотни** слуг.

**ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში:** ას შემომტანს ერთმა გამტანმა აჯობაო; ას ცუდ მშობელს ერთი კარგი შემნახველი სჯობიაო; ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო.

**ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში:** **ciento** de un vientre, y cada uno de su mente; **ciento** en campo y **uno** en cabo.

### 3. ინტენსიფიკატორი „განუსაზღვრელად მცირე რაოდენობა“

ფრაზეოლოგიური ერთეულები, მნიშვნელობით „ცოტა“, შეიცავენ მატერიალურ (ფინანსურ) კონტექსტს: **сто** рублей не деньги; **сто** лет не старуха; **сто** верст не расстояние.

ასეთ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, ძირითადად, გამოყენებულია სინტაქსური კონსტრუქციები ნეგაციით, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს განუსაზღვრელად მცირე რაოდენობას. სიტყვაშეერთებებში **первой сотни, да не первой тысячи, сотня** წარმოადგენს მცირე რაოდენობის მაჩვენებელს, რაც არატიპურია ისეთი

ფრაზეოლოგიზმისათვის, რომელიც აგებულია ორი რიცხვის ოპოზიციით. ქართულ და ესპანურ ენებში, ასეთი მნიშვნელობის მქონე ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები არ გამოვლინდა.

## 2.13. ლექსემა „ათასი“ ქართულ, რუსულ და ესპანურ ფრაზეოლოგიზმებში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რიცხვ „ათასზე“ ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას: ათას-ი (ათასისა) 1. რიცხვი 1000, – ათჯერ ასი. ათასი და კიდევ ათასი რამდენი იქნებაო, დედას ეკითხებოდა [გიო] (ი. ბერიაშვილი). ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით

მქმნელია (რუსთაველი). 2. გადატ. ბევრი. გარეთ– ატლასი, შიგნით– ათასი (ხალხ.). ათასმა აზრმა გამიელვა (რ. გვეტ.). ენა რომ გასატეხი იყოს, აქამდე ათას ალაგას გადატყდებოდა (ილია). ყბად აგილო, ცილს გწამებს, ამბობს ათას რამესო (აკაკი). ათასში ერთი რიცხვით ძალიან ცოტა, იშვიათი. ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლო იყოს სამართლიანად თქმა: «რაზე მომცდარა დამწერიო!» (ილია). ათასში ერთხელ მეტად იშვიათად. ათასში ერთხელ შავი ყორანი მხრების ტყლაშუნით თავზე გადუვლის (ვაჟა). ბიჭი თუ შემოივლიდა ათასში ერთხელ (რ. ინან.). ეგ (ეს) ერთი და სხვა ათასი! მილოცვაა წარმატების შემთხვევაში (ან ირონიულად – მსუბუქი მარცხის დროს). ყველას გილოცავთ გამარჯვებას! ეს ერთი და სხვა ათასი! ათასად ზმნს. ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა (ანდაზა).

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამივე საანალიზო ენაში რიცხვი „ათასი“ მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმებში. ქართულ ენაში - 11 ფრაზეოლოგიური ერთეული ; რუსულ ენაში - 9 ; ესპანურ ენაში - 6. (იხილეთ ცხრილები: IX, XVIII, XXIX)

### 1. სემანტიკური მნიშვნელობით „ დიდი რაოდენობა“

ქართულ ენაში:

ათასი - მრავალი, უმრავლესი;

ათასი რომ თქვა, მაინც... - რაც უნდა ბევრი, რაც უნდა დაუსრულებლად ილაპარაკო, ვერ დამარწმუნებ...;

ათასი გზა აქვს - მრავალ გაჭირვებას უნდა გასცეს პასუხი;



ათასად იჭრებოდა - ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება;

ათასში ერთხელ ჩავიგდე რთველი - დალხინება იშვიათად მღირსებია, ერთთავად გაჭირვებაში ვარ, ჩემი საქმის გამოკეთებას არაფერი ეშველა;

ათას ქისად - არაფრის გულისათვის;

ათასში ერთხელ - იშვიათად;

ათასი თოკიდან გამომძვრალი - მეტად გამოცდილი, ბევრი გაჭირვების მნახველი და გადარჩენელი;

ათასი გიჟი გარბოდა, ყველას თავისი ერჩივნაო.

ესპანურ ენაში:

Amor grande, vence **mil** dificultades - დიდი სიყვარული იმარჯვებს ათას სიმძნელეზე;

**Mil** veces - ათასჯერ;

Vete con **mil** - ჭირსაც წაუღიხარ.

## 2. ოპოზიციურ წყვილებში „მრავალი - ცოტა“

ქართული ენაში: ათას უგულო მეომარს გულადი - ორი სჯობია.

ესპანურ ენაში: Gil y **mil** - ალხანა-ჩალხანა;

decir **mil** buenos a **uno** - კარგის თქმა ვინმეზე.

## 2.14. სომატური ერთეულების შემცველი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში

ქართული, რუსული და ესპანური იდიომატური გამოთქმების კომპონენტთა კვლევისას, სიხშირის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ოდენობით სომატური იდიომები დადასტურდა. მათი სახელური კომპონენტი ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი არსებითი სახელია.

სომატური ლექსიკა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსი მეცნიერი ი. ნ. კარაულოვი აღნიშნავს, რომ ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებს, მატარებელსა და მომხმარებლებს - ადამიანებს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას (Караулов 1987: 7).

„სომატური იდიომი, რომელიც შეიცავს სომატურ კომპონენტს, ჩვეულებრივ, გაიგება როგორც ფრაზეოლოგიზმი, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ორგანიზმის არა მარტო გარეგნულ ფიზიკურ ფორმებს (თავი, ხელი, ფეხი და ა. შ), არამედ მის გულსისხლძარღვთა, ნერვულ და სხვა სისტემების ელემენტებსაც (სისხლი, გული და ა. შ.)“ (რუსაძე 2010: 85).

სამივე საანალიზო ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა შეიცავს ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებებს. ქართული ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე ხშირად გვხვდება: ხელი, ფეხი, თვალი, თავი, ყური.

რუსული ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში, ყველაზე ხშირად გვხვდება: ხელი, თავი, თვალი, თითი.

რაც შეეხება ესპანურ ენას, ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სომატური კომპონენტებით არის წარმოდგენილი, მწირია. ესპანურ ენაში გვხვდება: თავი, პირი, თვალი, თითი, ფეხი, ძუძუ, მუცელი.

კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში - 39 ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმია სომატური კომპონენტით; რუსულ ენაში - 24; ესპანურში - 16 (იხ.ცხრილი XXXI).

ანალიზის შედეგად, ჩვენ მივიღეთ შემდეგი სტატისტიკური მონაცემები

ქართული ენა	რაოდენობა	რუსული ენა	რაოდენობა	ესპანური ენა	რაოდენობა
ხელი	8	Рука	7	La mano	0
ფეხი	5	Нога	1	El pie	2
თვალი	5	Глаза	3	El ojo	2
თავი	4	Голова	3	La cabeza	2
ყური	3	Ухо	1	La oreja	0
ცხვირი	2	Нос	0	El nariz	0
ენა	2	Язык	1	La lengua	0
თითი	2	Палец	3	El dedo	1
ყბა	2	Челюсть	0	La mandíbula	0
ძუძუ	1	Грудь	0	La teta	1
ყელი	1	Горло	2	La garganta	0
გული	1	Сердце	2	El corazón	0
პირი	1	Рот	0	La boca	2
მუცელი	1	Живот	0	El vientre	4
სახე	0	Лицо	0	La cara	2
შუბლი	0	Лоб	1	La frente	0

ამდენად, ქართულ ენაში ყველაზე მეტია სომატური ერთეულები ხელი და ფეხი, რომლებსაც მოჰყვება: თვალი, თავი, ყური, ცხვირი, ენა, თითი, ყბა, ძუძუ, ყელი, გული, პირი და მუცელი.

რაც შეეხება რუსულ ენას, აქ გვხვდება ყველაზე მეტი ოდენობით, ხელი და თავი, რომლებსაც მოყვება თვალი, თითი, ყელი, გული, ყური და ფეხი. რუსულ ენაში არ გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატური კომპონენტებით: ცხვირი, პირი, ყბა, ძუძუ, მუცელი.

ესპანური ენის კვლევამ ცხადყო, რომ ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სომატური ერთეულებით ძალზე ცოტაა. ესპანურ ენაში ამგვარი იდიომები არ არის წარმოდგენილი ისეთი სომატიზმებით, როგორცაა **ცხვირი, ენა, ყური, ხელი, ყელი, ყბა, გული**. ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, ესპანურ ენაში გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სომატური ერთეულებით - **სახე**. მაგალითად: **a dos caras; tener dos caras de medico**. ქართულ და ესპანურ ენებში, რუსულისაგან განსხვავებით, გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სომატური ერთეულებით - **ძუძუ**. მაგალითად:

**ქართულში:** ერთ უბეში ძუძუ ძუძუს მოხვდებაო.

**ესპანურში:** **dos tetas** tienen más fuerte que una yunta de bueyes.

ქართულ ენაში, **ხელთან** და **ფეხთან** დაკავშირებული სომატური იდიომები, ყველაზე ჭარბად გვხვდება. რუსულ ენაში, **ხელთან** დაკავშირებული სომატური იდიომები, როგორც ქართულში, ჭარბადაა წარმოდგენილი, **ფეხთან** დაკავშირებული კი მხოლოდ 1 მაგალითი დასტურდება. ესპანურ ენაში, **ფეხთან** დაკავშირებული 2 ერთეული დასტურდება. ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, ესპანურ ენაში არცერთი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმი არ გვხვდება სომატური კომპონენტით **ხელი**.

ქართული და რუსული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, სომატური კომპონენტით **ხელი**, დადებითი სემანტიკის გამომხატველებია. **ქართულ ენაში:** **ორი ხელით** პირის დაბანა; **ორივე ხელით** (რისმე გაკეთება); **ორი ხელით** მიცემა (რისმე). **რუსულ ენაში:** за доброго человека **сто рук; вторая рука**. ასევე გვხვდება ერთეულები, რომლებიც უარყოფით სემას გამომხატავენ. **ქართულ ენაში:** **ერთი ხელი** ჩუმად არის, **ორი** გაიღებს ტყლამანსაო; **რუსულ ენაში:** в **одну руку** всего не загребешь; в **одну руку** **десять** дел брать; в **одной руке** пусто, а в другой ничего.

სამივე საანალიზო ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში სომატური კომპონენტი „თავი/ голова/ la cabeza“ - წარმოადგენს აზროვნებას, ჭკუასა და გონებას. ქართულ ენაში გამოვლინდა - 4 სომატური იდიომი; რუსულენაში - 3; ესპანურენაში - 2.

როგორც რუსულში, ისევე ესპანურ ენაში, „თავის“ დადებითი ან უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობა აღნიშნავს გონებას და ჭკუას, ან მის არარსებობას.

მაგალითად: რუსულ ენაში - **сто голов-сто умов**; ესპანურენაში - **dos cabezas piensan mejor que una**.

რუსულ ენაში სომატურ კომპონენტს თავს უკავშირდება **შუბლი**, რომელიც აღნიშნავს ძალიან ჭკვიან ადამიანს - **семи пядей во лбу**.

ქართულ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში სომატური კომპონენტი „თავი“ გამოხატავს უარყოფით სემას, უბედურებას, ტანჯვა-წამებას:



„თვალები/ **глаза/ los ojos**“ გრძნობისა და ემოციის გამომხატველი მნიშვნელოვანი ორაგანოა და ეს კომპონენტი სამივე საანალიზო ენაში გვხვდება. ქართულში დასტურდება თვალთან დაკავშირებული სომატური იდიომები - 5 ფრაზეოლოგიური ერთეული; რუსულში - 3; ესპანურში - 2.

„თვალი / თვალები“ - ძირითადად გამოხატავს გაკვირვების, სურვილის, ტყუილის, შურისა და არაკეთილმოსურნეობის სიმბოლოს. ნუმერაციულ

ფრაზეოლოგიზმებში თვალთან დაკავშირებული სომატური იდიომები ქართულ ენაში გამოხატავენ სიფრთხილეს, დაკვირვებას.

ქართულ ენაში გვხვდება თვალთან დაკავშირებული ისეთი იდიომები, რომლებიც ორ სომატურ ერთეულს შეიცავს: **ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური; თვალი - ოთხი, ყური-ექვსი.**

რუსულ ენაში გვხვდება თვალთან დაკავშირებული ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ სიფრთხილეს - **дороже алмаза свои два глаза;** დაკვირვებას - **один глаз морщит, другой вон тащит;** დარწმუნება (რამეში) – **лучше один раз своими глазами увидеть, чем сто раз услышать.**

ესპანურ ენაში გვხვდება თვალთან დაკავშირებული სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ უარყოფით სემას, მნიშვნელობით „ბრუციანი“ - **cuatro ojos;** უარყოფითი სემის გამომხატველი, „შეუთავსებლობა“, „ერთმანეთის აუტანლობა“ – **dos cojos nunca se miran con buenos ojos.**

**„ფეხი/нога/el pie“** - ეს სომატური ერთეული წარმოადგენს მოძრაობის სიმბოლოს. ქართულ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში, სომატური კომპონენტით **ფეხი** დასტურდება - 5 ერთეული; რუსულ ენაში - 1 ერთეული; ესპანურ ენაში - 2.

ქართულ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში, სომატური ერთეული - „**ფეხი**“ გამოხატავს მანძილის მცირე რაოდენობას: **ერთი ფეხით** წინ (სულ ცოტათი ადრე); **ერთი ფეხის** გადადგმა (მცირე მანძილი); **ორი ფეხის** გადადგმაზე (ახლოს).

სამივე საანალიზო ენაში გამომხატველია უარყოფითი სემის, სიკვდილის: **ქართულ ენაში** - **ერთი ფეხი** სამარეში უდგას; **რუსულ ენაში** - **одной ногой** в могиле; **ესპანურ ენაში** - **tener un pie** en la sepultura; **con un pie** en la tumba.

**„ენა/язык/la lengua“** - სამივე საანალიზო ენაში გვხვდება მწირი რაოდენობით. ქართულ ენაში - 2 ფრაზეოლოგიური ერთეული; რუსულ ენაში - 1 ფრაზეოლოგიური ერთეული; ესპანურ ენაში კი - არცერთი ერთეული არ დასტურდება.

**„ენა - язык“**, ქართულ და რუსულ ენებში შემავალ სომატურ იდიომებში გადმოცემულია, როგორც ზედმეტი ლაპარაკის მნიშვნელობით, რომელიც ზიანს აყენებს სხვასაც და თავის თავსაც, რაც ხშირად უარყოფითი კონოტაციის მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად: **რუსულ ენაში** - **три чулка с языка** (ბევრი და დაუღლეელი ლაპარაკი); **ქართულენაში:** **ცხრა ენა გამოიბა** (ყბედობს, ბევრს ლაპარაკობს).

„პირი/por/la boca“ ესპანურ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში შემავალ სომატურ იდიომებში, ძირითადად უკავშირდება ლაპარაკს და საუბარს. ესპანურ ენაში: **una en la boca y otra en el corazón; una aguja para la bolsa y dos para la boca.** ქართულ ენაში ფიქსირდება მხოლოდ ერთი ერთეული, მნიშვნელობით „ერთად ქმედება“ - **ერთ პირზე დგომა** (ერთად მოქმედება). რუსულ ენაში არ ფიქსირდება არცერთი ამგვარი მაგალითი სომატური კომპონენტით - „პირი“.

ესპანური ენის ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში, სომატური კომპონენტი „**la cara**“ (სახე) გვხვდება და სემანტიკურად წარმოქმნის შესაბამის სომატურ იდიომს. მაგალითად: **a dos caras** (ფარისეველი); **tener dos caras de médico** (ფარისეველი) ეს სომატური იდიომები უარყოფითი ემოციის გამომხატველნი არიან. ასევე, ესპანურ ენაში გვხვდება ორი სომატური კომპონენტი **თვალი - სახე; ¡ ni por un ojo de la cara!** რომელიც აღნიშნავს - „არასოდეს, არავითარ შემთხვევაში“.

ქართული, რუსული და ესპანური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების განხილვისას, რომლებიც შეიცავენ სომატურ კომპონენტებს, აღმოჩნდა, რომ სამივე საანალიზო ენაში, შესაძლებელია, იყოს გადმოცემული ერთი და იგივე ემოცია ერთი და იმავე სომატური კომპონენტით.

ემოციები:	ქართული	რუსული	ესპანური
უბედურება	ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე	Горюет в <u>одну</u> <b>голове</b>	Tener la <b>cabeza</b> a las <u>once</u>
სიკვდილი	ერთი ფეხი სამარეში უდგას	<u>Одной</u> <b>ногой</b> в могиле	Tener <u>un</u> <b>pie</b> en la sepultura; con <u>un</u> <b>pie</b> en la tumba
სიფრთხილე	ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური	Дороже алмаза свои <u>два</u> <b>глаза</b>	<u>Dos</u> <b>cojos</b> nunca se miran con buenos <b>ojos</b>

ამგვარად, სამივე საანალიზო ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სომატური კომპონენტებით, წარმოადგენს მარკირებულ ენობრივ სტერეოტიპებს, ანუ რაიმე

ობიექტზე ადამიანის ფსიქიკური აქტივობის კონკრეტულ მისწრაფებას. ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებში სომატური იდიომური გამოთქმები ძირითადად გადმოიცემა დადებითი და უარყოფითი ემოციური შეფასების სისტემით.

## 2.15. ფრაზეოლოგიზმთა ეკვივალენტობის საკითხისათვის

ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურის და სემანტიკის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამივე საანალიზო ენებში შევგვხვდა ერთნაირი სტრუქტურის მქონე და სემანტიკის მატარებელი ფრაზეოლოგიური ერთეულები. კვლევისას გამოიყო ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სტრუქტურულად განსხვავდებიან, შინაარსობრივად და სემანტიკურად კი ემთხვევიან ერთმანეთს. გამოვლინდა ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა გადატანითი მნიშვნელობა არ ემთხვევა, მათი მნიშვნელობა კი - იდენტურია. ასევე, დიდი ოდენობით შეგვხვდა ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სტრუქტურულად და შინაარსობრივად განსხვავდებიან, ხოლო ერთნაირი სემანტიკის მატარებელი არიან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამივე საანალიზო ენაში გამოვლინდა ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, რომელნიც ეკვივალენტურნი არიან. ისინი ნაციონალურ წეს-ჩვეულებებს აღნიშნავენ, ან ნაციონალური კულტურის, ანდა, კოლორიტის გამომხატველნი არიან. ამიტომ, რეცკერის (Рецкер 1989:34) თეორიის მიხედვით, გამოვყავით შემდეგი ჯგუფები:

**ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები** - ეს არის ის მყარი გამონათქვამები, რომლებიც ყოველგვარი მაჩვენებლით, თანაბარდირებულნი არიან ამოსავალ და სათარგმნ ენებში. კონტექსტისგან დამოუკიდებლად, ისინი უნდა „ფლობდნენ ერთსა და იმავე დენოტატურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს“ (იხილეთ ცხრილი XXXII).

ა).**სრული ეკვივალენტები** - ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც აქვთ მსგავსი სტრუქტურა, ხატოვანი საფუძველი და გადატანითი მნიშვნელობა. ისინი მსგავსნი არიან სხვადასხვა ენაში თავიანთი ფუნქციონალურ- სტილისტიკური ზემოქმედებითაც.

ქართული	რუსული	ესპანური
ორ ნაბიჯში	В двух шагах	A dos pasos



ერთი ფეხით სამარეში ყოფნა	Одной ногой в могиле	Tener un pie en la tumba
სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია	От любви до ненависти один шаг	Desde el amor hasta el odio un paso
ორი შოლტი ტყავი ააძრო	Две шкуры драть	-
ორ ცეცხლშუა	Между двух огней	Entre dos fuegos

ბ). ნაწილობრივი ეკვივალენტები - ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც აქვთ მსგავსი სემანტიკა და შიდა ფორმა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთ-ერთი მაჩვენებლით (სხვადასხვა სინონიმური კომპონენტები, სხვა სტრუქტურა, შეერთება, კომპონენტთა მეტი ან ნაკლები რაოდენობა, ხმარების სხვა ხარისხი ან სხვა განსხვავებანი, რომლებიც გამომდინარეობენ თარგმანის ენის სისტემიდან და გრამატიკული წყობიდან). როგორც წესი, ნაწილობრივ ეკვივალენტებს გააჩნიათ ერთნაირი ან ძლიერ მსგავსი ხატი.

ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
ერთ პირზე დგომა	Все как <b>один</b>	Gritar a <b>una</b>
ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი	<b>Семь</b> раз отмер, <b>раз</b> отрежь	-

გ). შეფარდებითი ეკვივალენტები - ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც ჩანს მსგავსი სემანტიკა, მაგრამ ნაწილობრივ იცვლება ხატოვანება; თუმც ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ხატები განსხვავდებიან კიდევ, შეპირისპირებადნი არიან.

ქართული	რუსული	ესპანური
ერთი - მეომარი არ არის	<b>Один</b> в поле не воин	<b>Una</b> no es ninguna

დ). ფრაზეოლოგიური ანალოგები - გამონათქვამები, რომელთაც გააჩნია სხვადასხვა ხატოვანება, ახლომდგომი ან საკმაოდ განსხვავებული სტრუქტურა, მაგრამ აქვთ საერთო მნიშვნელობა და სტილისტიკური ტონალობა.

ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
მარტოხელა ადამიანი ჭამაშიც ცოდოაო	И в раю жить тошно <b>одному</b> ; <b>один</b> и дома загорюет	<b>Una</b> alma sola, ni canta ni llora
ერთი კერისანი ვართ და ერთი ცეცხლისანი; ერთი ცის ქვეშ ვართ დაბადებულნი	Из <b>одного</b> и того же теста; <b>одним</b> миром мазаны; <b>одного</b> поля ягоды	Ser <b>dos</b> personas para el <b>uno</b> ; ser <b>uno</b> y lo mismo
ერთს წისქვილი გაუყიდეს და მეორე სარეკელას ემებდაო	В <b>одной</b> руке пусто, а в <b>другой</b> ничего	<b>Unas</b> han ventura, y <b>otras</b> han ventrada
ერთი ალთას, მეორე ბალთას	<b>Одному</b> нравится арбуз, <b>другому</b> свиной хрящик	<b>Uno</b> come la fruta, y <b>otro</b> tiene la dentera: uva
-----	На торгу <b>два</b> дурака: <b>один</b> дешово дает, <b>другой</b> дорого просит	<b>Dos</b> amigos de una bolsa, el <b>uno</b> canta y el <b>otro</b> llora

ე). არაეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმები - ესენია „საკუთრივ ნაციონალური“ იდიომები. ისინი თავიანთი ხატოვანებითა და აღსანიშნი რეალიებით იმდენად მაგრად არიან მიჯაჭვულნი კონკრეტულ ენას, რომ მათი ჩამოცილება ნაციონალური საყრდენიდან გამოიწვევს მათ სრულ რღვევას. საანალიზო ენებში ყოველ ასეთ გამონათქვამს - საკუთარი ისტორია აქვს, რამაც მოახდინა არცთუ მცირე ანაბეჭდი მათ ხმარებასა და სტილისტიკურ შეფერილობაზე.

ქართული ენა	რუსული ენა	ესპანური ენა
ერთ დარჯაკში გატარება	С <b>три</b> короба	Mantenerse en sus <b>trece</b>
ერთ მაფრაშაში მოქცევა	<b>Семь</b> пядей во лбу	Meterse en camisa de <b>once</b> varas

ხუთი თითი სანთელი შეანთებს იქ ანთებული	Семь верст не доехал	Estar a <b>cuarta</b> pregunta
ხუთ თით სანთლად დაინთება ვისთვისმე	Заблюдиться в <b>трех</b> соснах	Cantar las <b>cuarenta</b>
ათასი ქისა მარჩილი	Седьмая вода на киселе	

განვიხილავთ იმ ნაციონალური ფრაზეოლოგიზმების წარმომავლობას, რომელთა დადგენაც იქნა შესაძლებელი:

**ათასი ქისა მარჩილი** - სულ ბევრი, აურაცხელი ფული, უთვალავი სიმდიდრე. მარჩილი (24 ბისტი) ძველებური ქართული ფული იყო, უდრიდა ქართულისავე ვერცხლის სამ აბაზს.

**ერთ** მაფრაშაში მოქცევა - (მაფრაშა-ფარდაგისებრი ქსოვილის განიერი ოთხკუთხა ტომარა) ერთნაირად, ერთი საზომით მიდგომა ყველას მიმართ.

**Наврать с три короба** - ცრუობა, ტყუილების თქმა, მოჩმახვა.

ერთ-ერთი ვერსიით, ეს გამონათქვამი, ენობრივი ფესვებით, უკავშირდება კუდიან დედაბერს (რუსული ზღაპრებიდან). როგორც ცნობილია, კუდიანი დედაბერი, გზის გასაკვლევად, აძლევდა ძაფის გორგალს ივან ცარევიჩს. თქმულების მიხედვით, კუდიანი დედაბერი ასეთ გორგლებს ინახავდა არყის ხის ქერქის ყუთებში. „Наврать с три короба“ (სიტყვა-სიტყვით: „მოტყუება სამი ყუთიდან“) აღნიშნავდა, რომ კუდიანი დედაბერი „არასწორ, არასაჭირო“ გორგლებს გასცემდა. თუმც, როგორც ჩანს, შეიძლება უფრო მარტივი ახსნაც არსებობდეს. ანდაზა "Приехала баба из города, привезла вестей три короба" მითითებულია წიგნში "Пословицы русского народа" В.И. Даля (1853 г.) (раздел - "Молва - Слава"). როგორც ჩანს, აქედან წარმოიშვა ეს გამონათქვამი. გასაგებია, რომ ანდაზაში საქმე ეხება ქალაქიდან ჩამოსულს, რომელმაც ჩამოიტანა იმდენი ახალი ამბავი, რომ ალბათ (უეჭველად) იტყუება. ამ ვერსიას მხარს უჭერს ლიტერატურული წყაროებიც. ასე, მაგალითად, ა. ტ. ბოლოტოვი თავის წიგნში «Жизнь и приключения Андрея Болотова, описанные самим им для своих потомков», 1771 წ., აღწერს, თუ როგორ ჩამოვიდა მასთან ქალი ახალი ამბებით: «- Ну, что, моя голубка, Ивановна? спросил я ее увидев. – Ездил ли ты, и что вестей?- **Целый короб** привезла их к вам, барин! отвечала она: и все хороших».

**Семи пядей во лбу** - (ასე ამბობენ ძალიან ჭკვიან ადამიანზე, ვარაუდობენ რა, რომ შუბლის სიმაღლე პროპორციულია ჭკუისა); ამ გამონათქვამის სამი მნიშვნელობის მქონე სიტყვიდან, გაუგებარია - მეორე (пядь - მტკაველი); თუმცა, სახელდობრ, ასე ერქვა სიგრძის საზომ ერთ-ერთ რუსულ ერთეულს; არსებობდა ორი სახეობა: მცირე და დიდი მტკაველი; პირველი აღნიშნავდა დაშორებას გაჭიმულ დიდ და საჩვენებელ თითებს შორის, მეორე კი - დიდსა და შუა თითს შორის. გამოდის, რომ ამ საზომის საშუალო ზომა იყო დაახლოებით 18 სანტიმეტრი, ხოლო შვიდმტკაველიანი შუბლის მქონე ადამიანს უნდა ჰქონოდა თავის წარმოუდგენელი ზომა (1,2 მეტრზე მეტი სიმაღლისა). <http://fb.ru/article/139497/sem-pyadey-vo-lbu---proishojdenie-frazeologizma-znachenie-poslovitsyi-sem-pyadey-vo-lbu>

სარწმუნო ისტორიული ფაქტი უდევს საფუძვლად ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმს **mantenerse en sus trece** (სიტყვასიტყვით: „საკუთარ ცამეტზე დგომა“). ბენედიქტე XIII-ის მმართველობისას, ეკლესიაში მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც დასავლეთში ორი პაპი გაჩნდა, ერთი - ავინიონში, მეორე კი - რომში. 1392 წელს, ბენედიქტე XIII არჩეულ იქნა ავინიონის პაპის თანამდებობაზე. 1414 წელს კი, მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო „ორპაპიანობისათვის“, თუმც თვითონ დიდხანს და ჯიუტად არ თმობდა თავის საპაპო ტახტს, რამაც გამოიწვია ამ გამონათქვამის შენარჩუნება და რაც თანამედროვე ესპანურ ენაში აღნიშნავს „ურყევად და შეუპოვრად რაიმეს დაჟინებას“.

არანაკლებად საინტერესოა გამონათქვამი **meterse en camisa de once varas** (სიტყვასიტყვით: „დინით (დინა - ფიზიკის ტერმინია) თერთმეტი ვარის ტოლ პერანგში შეძრომა (1 ვარა = 83,5 სმ)“), რომელიც ასახავს შუა საუკუნეების ესპანეთში შვილად აყვანის ცერემონიას. ამ ტრადიციის მიხედვით, ბავშვის მშვილობელი ბავშვს აძვრენს პერანგის სახელოში და გამოჰყავს საყელოდან. ეს ოპერაცია მუდამ სასურველად არ მთავრდებოდა, განსაკუთრებით ბავშვისათვის, რის შედეგადაც წარმოიშვა ეს გამონათქვამი - რჩევა, რომ არ ჩაერიო, ცხვირს ნუ ჰყოფ სხვის საქმეში.

**Estar a cuarta pregunta** (სიტყვასიტყვით: „მეოთხე შეკითხვაზე პასუხი“), მნიშვნელობით „რთულ მდგომარეობაში ყოფნა“. ეს გამონათქვამი მომდინარეობს პატიმართა დაკითხვის სასამართლო წესებიდან. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით პატიმარს აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი შემდეგ ოთხ კითხვაზე: სახელი

და ასაკი, ქვეყანა და პროფესია, რელიგიური კონფესია და მოქალაქეობა, ყოველწლიური შემოსავალი. მეოთხე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, პატიმრები მუდამ პასუხობდნენ, რომ იყვნენ ღარიბები და არ ჰქონდათ ფული; ასე გავრცელდა ხალხში ეს გამოთქმა და ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა ფულს, ამბობდნენ - ვპასუხობთ მეოთხე შეკითხვასო.

აღსანიშნავია, რომ ყოველთვის არ ხერხდება ფრაზეოლოგიზმთა ამოსავალი მოტივირების აღმოჩენა და წყაროების განსაზღვრა. ალბათ, ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ რიცხვითი კომპონენტი, რომელიც შედის ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში, ხშირად თვით რაოდენობის გამომხატველია და, აქედან გამომდინარე, აუცილებელი არაა, რომ სემანტიკური დატვირთვა გააჩნდეს. ასე, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი **cantar las cuarenta** (სიტყვასიტყვით: „ორმოცის ყვირილი“), თავისი წარმოშობით უკავშირდება ბანქოს თამაშის სახეობას „ტუტე“, რომელიც ადრე პოპულარული იყო ესპანეთში. ამ თამაშის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოთამაშეს რაც შეიძლება სწრაფად მოეგროვებინა ერთი მასტის კარტები; თუ ამას მოახერხებდა, ხმამაღლა გამოაცხადებდა და იღებდა 20 ქულას, ხოლო თუ კოზირებს მოაგროვებდა - მაშინ 40 ქულას. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად გამონათქვამს **cantar las cuarenta**, რომელიც იქცა მყარ გამონათქვამად და დღეს ნიშნავს „სრული სიმართლის პირში თქმას“.

## თავი III

# ნუმერაციის შემცველი ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში

### 3.1. დისკურსი, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის

#### კვლევის ობიექტი

ტექსტის განსაზღვრა დასრულებული სახით, რომელიც იქნება ამომწურავი და ტერმინოლოგიურად გამართული, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შემუშავებული. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებობს „ტექსტის“ ცნების განსაზღვრის 250-ზე მეტი სახეობა. ლინგვისტიკაში ტექსტის მრავალფეროვან განსაზღვრათა ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა მოწმობს, რომ ტექსტის განსაზღვრის პრობლემა ურთულესია პრობლემათა იმ წრეში, რომლებიც დაკავშირებულია ამ ერთეულთან.

ტექსტი - შეტყობინებისა და ადამიანური ურთიერთობის განსაკუთრებული ფენომენია და ამიტომაც თანამედროვე მეცნიერებაში იკვლევა და შეისწავლება სხვადასხვა ასპექტით: **სემიოტიკურად**, როგორც ვერბალური ნიშნობრივი სისტემა (რ. იაკობსონი, ი. მ. ლოტმანი, ბ. ი. უსპენსკი და სხვ.); **დისკურსულად** - ცოდნის ინტერდისციპლინარული სფეროების მახასიათებლებში (ე. ბენვენისტი, ტ. ა. ვან დეიკი, რ. ბარტი და სხვ.); **ლინგვისტურად** - ენის ერთეულთა ფუნქციონალური მნიშვნელობების სისტემაში (ვ. ვ. ვინოგრადოვი, გ. ო. ვინოკური, ვ. პ. გრიგორიევი, გ. ი. სოლგანიკი, ლ. ა. ნოვიკოვი, ნ. ა. კოჟენიკოვი და სხვ.); **სამეტყველო-ქმედითად** - პრაგმატიკული სიტუაციის ჩარჩოებში (ჯ. ოსტინი, მ. მ. ბახტინი, ნ. დ. არუტიუნოვა და სხვ.); **დეკონსტრუქციულად** - როგორც ტექსტის ანალიზი ლიტერატურული, ლინგვისტიკური, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ხასიათის „კულტურული ინტერტექსტის“ ცნებებში (ჟ. დელეზი, ი. კრისტევა, რ. ბარტი და სხვ.); **ნარატოლოგიურად** - თხრობის თეორიის ფარგლებში, როგორც მწერლისა და მკითხველის აქტიური დიალოგური ურთიერთქმედებისა (ვ. პროპი, ვ. შკლოვსკი, ბ. ეიჰენბაუმი, მ. ბახტინი, პ. ლაბოკი, ნ. ფრიდმანი, ე. ლაიბფრიდი, ვ. ფიუგერი და სხვ.);

**ფსიქოლინგვისტურად** - როგორც მეტყველების წარმოებისა და მისი აღქმის დინამიკური სისტემა (ლ. ს. ვიგოტსკი, ა. გ. ლურია, ნ. ი. ჟინკინი, ტ. მ. დრიდზე, ა. ა. ლეონტიევი და სხვ.); **ფსიქოფილოლოგიურად** - როგორც მრავალზომიანი ფენომენი, რომელიც ენობრივი საშუალებებით ახორციელებს ავტორის ფსიქოლოგიას განსაზღვრულ ლიტერატურულ ფორმაში (ე. ი. დიბროვა, ნ. ა. სემიონოვა, ს. ი. ფილიპოვა და სხვ.).

ე. ი. დიბროვას აზრით, „ტექსტი წარმოადგენს რთულ მრავალგანზომილებიან სივრცეს, სადაც ხორციელდება ავტორისეული მე-ს (მისი მოთხოვნები, მოტივები, მიზანდასახულებანი, განზრახვები, უნარები) ფსიქოლოგია, ლიტერატურული ფორმით რეალიზდება ჩაფიქრებული იდეა (თემა, სიუჟეტი, ჟანრი, კომპოზიცია, სახეთა სისტემა, ლიტერატურული მიმართულების თავისებურებანი, რომელთაც მიეკუთვნება ავტორი და ა. შ.); და ბოლოს, ადამიანური ცნობიერების უნიკალური მოვლენა - ენა, რომელიც წარმოგვიდგება თავისი სისტემურ-ფუნქციონალურობით, სემანტიკურ-სემიოლოგიურობით, სტილისტურობით და სხვა შემადგენლობის ორგანიზებულობით. ტექსტი არის თაობათა მოღვაწეობის, შემოქმედებისა და კულტურის კრისტალიზაციის ფენომენი, შემეცნების რეზერვუარი, რომლისგანაც მომდევნო თაობები მოიპოვებენ მომავალს. ტექსტი - ეს არის სინამდვილის ცოდნისა და ჩანაფიქრის, აზრისა და მისწრაფებათა, აღქმისა და განმარტებათა სამყარო, იმ სოციოლინგვისტურ და ინდივიდუალურლინგვისტურ ენობრივ საშუალებათა ექსპლიკაცია, რომლებიც შემუშავებულია ერის წერითი კულტურით. ენა არსებობს ტექსტში, როგორც კულტურულ-ფილოლოგიური ფენომენი, რომელშიც ფორმირდება და აისახება ერის სულიერი პოტენციები (დიბროვა 1997).

ტექსტის ფსიქოლოგიური, ლიტერატურული და ენობრივი ფაქტორები, ლიტერატურული ნაწარმოების მასალები შეადგენენ მის ერთიან ფსიქოფილოლოგიურ საფუძველს. ამგვარი მიდგომით, ტექსტი არის ფსიქოფილოლოგიური ერთიანი სისტემა და შედარებით ჩაკეტილი სტრუქტურა, რომელიც შეკრული, დალაგებული ფორმით გადმოსცემს პირადულ და პირადულ-სოციალურ შეტყობინებებს. სიტყვიერი მხატვრული ტექსტი (განსხვავებით არავერბალურისაგან...) წარმოადგენს ავტორის სამეტყველო შეტყობინებას მის მიერ გააზრებული სამყაროს რაიმე ფრაგმენტზე, მის მიერ გააზრებულ რეალობაზე.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის განსაზღვრის არსებულ განსხვავებებში მაინც არსებობს მრავალი საერთო. ყველა მკვლევრისათვის უდავოა ის დებულება, რომ ტექსტთა პროდუცირება და მათი გააზრება ხდება კომუნიკაციის პროცესში და ამიტომაც ტექსტი განიხილება, როგორც მეტყველებაში მოქმედი ნაწარმი, როგორც მეტყველების პროდუქტი, როგორც მეტყველების ძირითადი ერთეული. არავინ დავობს იმ დებულებაზე, რომ ტექსტი, როგორც წესი, რეალიზდება წერილობითი ფორმით, რომ ტექსტი - არის დასრულებული, სრულყოფილი ქმნილება და ტექსტს აქვს საკუთარი შიდა სტრუქტურა, განსაზღვრული აგებულება, ფლობს მისი ნაწილების მაკავშირებელ საშუალებებს, რომლებიც არ აძლევენ მას უფლებას „გაიფანტოს“ ცალკეულ წინადადებებად.

ტექსტი არის არა მხოლოდ კონკრეტული ერთეული, დაკავშირებული კომუნიკაციის რეალურ აქტთან, არამედ ის არის ასევე უმაღლესი დონის აბსტრაქტული ერთეული ენისა, რომელიც წარმოადგენს ენის მატარებლის ენობრივი უნარის თეორიის საგანსაც. ამასთან დაკავშირებით, ტერმინ **დისკურსის** გვერდით, ასევე დასაკვირვებელია, შესამჩნევია ენის კონკრეტული მოვლენა მეტყველებაში, ტექსტის რეალიზაცია მეტყველებაში. შესაბამისად, **ტექსტი** - არის ის, რაც არსებობს ენაში, **დისკურსი** კი - არის ის ტექსტი, რომელიც რეალიზდება მეტყველებაში.

ტექსტს მივიჩნევთ ენობრივი დახასიათების საფუძვლად, მაშინ უნდა გავანალიზოთ ტექსტის დამოკიდებულება ენის სხვა ერთეულებთან. ენის ერთეულები, ერთიანდებიან რა წინადადებებად და წინადადებათა ჯგუფებად, ქმნიან ტექსტის კომპონენტებს, მის სტრუქტურულ ელემენტებს. ვ. ა. ბუხბინდერის აზრით, ენობრივი ვარიანტები ტრანსფორმირდებიან სამეტყველოში, ტექსტობრივი დონე კი თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა ერთეულთა როგორც ენობრივ, ასევე სამეტყველო თვისებებსაც, რაც იძლევა საშუალებას, რომ ის (ტექსტი) კვალიფიცირდებოდეს ენის ერთეულად და როგორც ყველა დონის მეტყველების ნაწარმი, აერთიანებდეს თავის თავში ენობრივ არსებას და სამეტყველო თვისებებს. ის (ტექსტი) არის ერთდროულად ენის ერთეულიც და მეტყველების ნაწარმიც (ბუხბინდერი 2007).

ყოველი გამართული ნიშნობრივი კომპლექსი შეიძლება განვიხილოთ ენის სისტემაშიც, როგორც გრამატიკული მოვლენა, და „მთლიანობაში ინდივიდუალურ გამონათქვამად და სამეტყველო ჟანრად“, როგორც სამეტყველო მოვლენა. ეს ორი



თვალსაზრისი „კი არ უნდა იყოს ურთიერთშეუღწევადი და მექანიკურად კი არ უნდა ცვლიდნენ ერთიმეორეს, არამედ ორგანულად უნდა შეერწყან ერთმანეთს... ენობრივი მოვლენის რეალური ერთიანობის საფუძველზე“ (ბახტინი 1979: 30).

ტექსტი, როგორც სინტაქსური ერთეული, ფლობს არსებით ნიშანს, რომელიც მიჯნავს მას ტრადიციული სინტაქსური ერთეულებისაგან. ამ ნიშანს წარმოადგენს ტექსტის შინაარსის რაღაც ხარისხი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ტექსტის შინაარსი წარმოადგენს სემანტიკურ სისტემას, რომელიც ფორმირებულია დიალექტიკური ურთიერთქმედებისა და აზრთა ურთიერთგანვითარების შედეგად. ამ სემანტიკური სისტემის აღსანიშნად, მ. ი. დიმარსკი გვთავაზობს ტერმინ „კონცეფციას“. ამგვარად, ტექსტი გაიგება, როგორც წერილობითი სამეტყველო-სააზროვნო ქმნილება, რომელიც შემუშავებულია ლიტერატურული ნორმის შესაბამისად და შეიცავს სინამდვილის კომუნიკაციურად და კოგნიტიურად მოცემული ფრაგმენტის კონცეფციას.

ტექსტში ასახული ყოველი სიტუაცია და აზრი შერჩევის ობიექტი ხდება, რის დროსაც აზრების ან სიტუაციათა განსაზღვრული ასპექტები აქტუალიზირდება, სხვები კი გადადიან მეორე რიგში. ასეთი შერჩევა სრულიად დამოკიდებულია ტექსტის ავტორზე. ტექსტში მჭიდროვდება მისი მათორგანიზებელი კონცეპტუალური და პრაგმატული საწყისები, რადგან ის ორგანიზდება იმ განსაზღვრული თვალსაზრისით, რომელიც ახასიათებს მოცემული ტექსტის ორიენტირებს.

ამ შერჩევის შედეგად, წარმოიშობ აზრი, რომელიც წარმოადგენს მოცემული ტექსტის კონცეფციის ელემენტს და გამოდის, როგორც იმ აზრის კონცეპტუალური ფორმა, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ მოცემულ ტექსტს. მ. ი. დიმარსკის მიხედვით, „კონცეპტუალურად მნიშვნელოვანი აზრის ფორმირების პროცესი, ანუ აზრის კონცეპტუალური დამუშავება, ხორციელდება რთული სინტაქსური მთლიანობით: სახელდობრ, ამაში მდგომარეობს რთული სინტაქსური მთლიანობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციონალური დანიშნულება (დიმარსკი 2006).

ბოლო ხანებში ლინგვისტიკაში გამოჩნდა ტექსტისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა. მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით, ტექსტს განმარტავენ, როგორც სინამდვილის კომუნიკაციურად და კოგნიტიურად მოცემული ფრაგმენტის კონცეფციას ენობრივი (ხატოვან-ენობრივი) ფორმით. ზოგადფილოლოგიურ ჭრილში,

ტექსტის ასეთი გაგება შეეფარდება მ. მ. ბახტინისა და ვ. ვ. ვინოგრადოვის იდეებს და ვარაუდობს ორიენტაციას პირადული, ავტორისეული საწყისის რეალიზაციის ხერხების გამოვლენაზე (და ასევე მკითხველზე ორიენტაციის ხერხებისაც) არა მხოლოდ მთელი ტექსტისა, არამედ მისი კომპონენტებისაც.

ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა წინადადების ნიშნების მექანიკური გადატანით ტექსტზე, მითუფრო, რომ თავისი აგებულებით ტექსტი ძალიან „გვაგონებს“ წინადადებას, მითუმეტეს - რთულ წინადადებას; მაგრამ ეს არ იქნება სწორი გადაწყვეტილება, რადგან ანალოგიის არსებობის შემთხვევაშიც, ტექსტი წარმოადგენს დამოუკიდებელ მოვლენას, რომელიც ფლობს თავის საკუთარ ნიშნებს, განსხვავებულს წინადადების ნიშნებისაგან.

ტექსტი სხვადასხვა სახეობისაა. ჩვენ გვინტერესებს მხატვრული ტექსტი, რომელშიც აისახება ფრაზეოლოგიზმები. კერძოდ, რიცხვითი სახელის შემცველი ერთეულები.

### **3.2. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში**

მხატვრული ტექსტი - ეს ის სფეროა, სადაც იქმნება ახალი ფრაზეოლოგიზმები, საიდანაც სამეტყველო ხმარებაში შემოდის უცნობი და ნაკლებად გამოყენებადი გამონათქვამები და რომელშიც მდიდრდება მყარ გამონათქვამთა აზრობრივი და სტრუქტურულ-გრამატიკული ბუნება.

ლიტერატურულ ნაწარმოებში მწერლის მიერ გამოყენებულ ფრაზეოლოგიაზე დაკვირვება არა მარტო მდიდარ მასალას იძლევა ფრაზეოლოგიზმების მხატვრულ ფუნქციათა გამოსავლენად, არამედ საშუალებასაც გვაძლევს, გადავწყვიტოთ იმ საკითხთა რიგიც, რომლებიც უკავშირდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციონირების თავისებურებებს მეტყველებაში.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ნათელი სტილისტიკური საშუალებაა, რომელიც აძლიერებს მეტყველებას, აქცევს მას მხატვრულად, ხატოვანად და დამაჯერებლად. ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ჩვენს საანალიზო ენებში, მწერლები ფართოდ იყენებენ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებს. გავაანალიზოთ 30

ნაწარმოები. ქართული ენიდან - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას. რუსული ენიდან - სალტიკოვ-შჩედრინის, ა. პ. ჩეხოვის, ლესკოვის, ა. ტოლსტოის, მელნიკოვის ნაწარმოებები. ესპანური ენიდან - A. Palacio Valdés, B. Pérez Galdós, J. E. Pedro Bazán-ის ნაწარმოებები.

თვით მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს ფრაზეოლოგიის წყაროს. თვით ავტორთა მრავალი გამონათქვამი იქცევა ფრაზეოლოგიზმებად. ფრაზეოლოგიური ერთეულები აცოცხლებენ ნაწარმოებთა ენას.

მწერლების მიერ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა სტილისტიკური გამოყენება განსაკუთრებულად შემოქმედებითია. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება გამოყენებული იქნეს განსაზღვრული სტილისტიკური ფუნქციებით უცვლელი სახითაც, ასევე, განახლებული სტრუქტურითაც და ახალი ექსპრესიულ-სტილისტიკური თვისებებითაც (Виноградов:254).

განსაზღვრული მხატვრული მიზნებით ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა უცვლელად გამოყენების დროს ისინი იქცევიან საავტორო მეტყველებაში ისეთ საშუალებებად, რაც ავტორის მეტყველებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, უფრო მხატვრულს, მეტად გამომსახველობითს, პერსონაჟთა მეტყველებაში კი - ისინი წარმოადგენენ მათ ენობრივ-სტილისტიკურ მახასიათებელთა ერთ-ერთ საშუალებას. მაგალითად:

**ქართულ ენაში:** „ეხლა კი აენტო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდან ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა“ (ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?!“).

**რუსულ ენაში:** « Я вот на что уж хил – одной ногой в могиле стою, а все-таки думаю: зачем мне распоряжение делать коль скоро закон за меня распорядиться может» (Салтыков Головлевы.2.). [მე უკვე ისეთი მოხუცებული ვარ - ერთი ფეხი სამარეში მიდგას, და მაინც ვფიქრობ: რისთვის გავცე ბრძანება, თუ მალე კანონს შეუძლია, ჩემს მაგივრად ბრძანება გასცეს].

**ესპანურ ენაში:** “Con todos sus millones y sus palacios, yo le hubiera enseñado cuánto son dos más dos, le habría hecho batirse en retirada”...(M. Denevi. Rosaura a las 10). [მთელი მისი

მილიონებით და სასახლეებით, მე მას გავაგებინებდი რამდენია ორჯერ ორი, ის მაშინვე უკან დაიხევდა].

როდესაც ფრაზეოლოგიური გამონათქვამი გამოიყენება მწერლის მიერ შეცვლილი სახით, სხვა სემანტიკით ან სტრუქტურით, ის იძენს ახალ ესთეტიკურ და მხატვრულ თვისებებს, ანუ იქცევა ფრაზეოლოგიურ ნეოლოგიზმად.

სადისერტაციო ნაშრომში, სამწერლო პრაქტიკის კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო საერთო ფრაზეოლოგიური ფონდის, კერძოდ კი, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმთა ხმარების ინდივიდუალურ-მხატვრული დამუშავებისა და გამოყენების შემდეგი ძირითადი ხერხები:

1. ხშირია ფრაზეოლოგიური გამონათქვამის ლექსიკურ-გრამატიკული მხარის განახლება, სტრუქტურის ძირითად ნიშანთა სემანტიკის შენარჩუნებით. განახლება მისი სიტყვათა შემადგენლობის რაოდენობის გაფართოებით - ახალი სიტყვით. მაგალითად:

**რუსულ ენაში:** «Первый дачный блин вышел, кажется, комом» (А.П.Чехов О «рукописании»). ამ გამონათქვამში ჩართულია სიტყვა дачный.

**ესპანურ ენაში:** “Por eso es que el obrero vive permanentemente al tres y al cuatro, porque de su sacrificio, de su tragedia depende que el capitalista aumente sus ganancias. ამ გამონათქვამში ჩართულია სიტყვა permanentemente (ყოველთვის) (L.González Zenteno. Los pampinos). [ამიტომ მუშა ყოველთვის ცხოვრობს დატაკურად იმიტომ, რომ მის უბედურებაზე, მის ტრაგედიაზე არის დამოკიდებული კაპიტალისტის გამდიდრება].

2. საანალიზო ენათა მწერლები იყენებენ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებს მხატვრულ ტექსტში პერსონაჟთა დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებისათვის.

**წინადადებები დადებითი კონოტაციით:**

**ქართულ ენაში:** „როგორც ცაზედ, ისე ჩემს გულში, ერთი ღრუბელი აღარ იყო“ (ილია ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“).

**რუსულ ენაში:** «Для мила дружка семь верст не околица, - заговорил князь Василий, как всегда, быстро, самоуверенно и фамильярно». (Л.Н. Толстой «Война и мир». 1,3,4). [საყვარელი ადამიანისათვის შვიდ ვერსტზე წასვლა არაფერია, - დაიწყო ლაპარაკი თავადმა ვასილიმ, როგორც ყოველთვის სწრაფად, თავდაჯერებულად და ფამილიარულად].

**ესპანურ ენაში:** “Si antes me lo hubiese vd dicho, antes hubiese yo venido aquí con el señor, que es un médico de los pocos, y que en un dos por tres se la va a vd a poner hubena” (F.Caballero. La Gaviota). [თქვენ რომ ეს ადრევე გეთქვათ, ადრევე მოვიდოდი აქ ბატონთან ერთად, რომელიც იშვიათი ექიმია და ორ წამში დაგაყენებდათ ფეხზე].

**წინადადებები უარყოფითი კონტაქტით:**

**ქართულ ენაში:** „ სოფლის გულისთვის ჯანდაბას იყოს ჩემი თავი, ერთ დღეს გავჩენილვარ, ერთ დღეს მოვკვდები (ვაჟა-ფშაველა „დათვი“).

**რუსულ ენაში:** «Ежели... мы его в живых оставим, то он первый на нас доказчик. Все равно говорит, что одного убить, что двух...Семь бед – один ответ» (А.П. Чехов «Степь»,6). [ჩვენ თუ მას ცოცხლად დავტოვებთ, ის პირველი დაგვაბიზღებს. ამბობს, რომ მისთვის სულ ერთია ერთის თუ ორის მოკვლა... შვიდი უბედურება - ერთი პასუხი].

**ესპანურ ენაში:** “Yo desearía saber quién te trae a ti esos chismes, para enseñarle cuántas son cinco” (E. Pardo Bazán. Pascual López). [მინდა ვიცოდე ვის მოაქვს შენამდე ეს ჭორები, მე მას ვუჩვენებდი სეირს].

3. კვლევამ აჩვენა, რომ სტილისტიკური ეფექტის შექმნის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისეთი ფრაზეოლოგიზმის გამოყენება, რომელიც გაგებულ იქნება ერთდროულად, როგორც სიტყვათა ფრაზეოლოგიურ შეერთებად, ასევე სიტყვათა თავისუფალ შეერთებად; მაგალითად:

**ქართულ ენაში:** „ერთხელ მაინც როგორ არ მინახულე, ბიჭო! ერთს დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია, სხვა არა იყოს რა“ (ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობი“).

**რუსულ ენაში:** «Меня занимает одна девушка, с которой я почти двух слов не сказал, но в которой я чувствую своего поля ягоду» (Тургенев.Новь.8). [მე გატაცებული ვარ ერთი გოგოთი, რომელთანაც ორი სიტყვა არ მაქვს ნათქვამი, მაგრამ რომელშიც ვგრძნობ ჩემს ადამიანს].

**ესპანურ ენაში:** “Y la parienta, cuando llega el miércoles, nos dice: “A ver qué quieres que haga sin cinco”... (A.M. de Lera. Novelas). [ნათესავი გვეუბნება, როდესაც მოდის ოთხშაბათი: „უყურეთ, გინდათ თუ არა ვართ უკაპიკოდ“].

4. განსაკუთრებული მხატვრული გამომხატველობის მიზნით, ყველაზე მეტად გამოიყენება ფრაზეოლოგიური გამონათქვამის საერთო ხატი ან შინაარსი.

მაგალითად: «Что будет – радуюсь тому, Пою о том, что есть. Пылать здесь сердцу моему, И разливаться здесь» (М. Дудин), აქ გამოიყენება გამონათქვამი *разрыв сердца*.

5. ორი ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შერევა, რომელთაც კომპონენტად ერთი და იგივე ომონიმური სიტყვები აქვთ, ან ერთიანდებიან სინონიმებიანი და ანტონიმებიანი ფრაზეოლოგიზმები.

**მაგალითად:**

**ქართულ ენაში:** „და რაც დღე მაშინ ქართველებს ადგათ, მტრის ჯარს იგივე დღე დააყენა: შემოჰკრეს ირგვლივ და ორ ცეცხლშუა გამომწყვდეული დარჩა მტრის ჯარი“... (აკაკი წერეთელი). შერწყმულია გამონათქვამები: *ორ ცეცხლშუა დგომა* და *ორ ცეცხლშუა გამომწყვდეული*.

**რუსულ ენაში:** «Что грех таить, одного помету» (Фонвизин. Недоросль.,3,3). [ცოდვა განხილული სჯობს, ერთი ფერისანი არიან]. შერწყმულია გამონათქვამები: *одного поля ягода* и *одного помету*.

**ესპანურ ენაში:** “Mira que te hecho de mi casa te pongo de patitas en la calle como tres y dos son cinco” (B. Pérez Galdós. La incógnita). [მიყურე შენ, გაგაგდებ სახლიდან, ქუჩაში იხეტიალებ, ჩემთვის ამის გაკეთება როგორც, ორჯერ ორი-ოთხი]. აქ სინონიმურია გამონათქვამები: *como tres y dos son cinco* [როგორც, სამს მივუმატოთ ორი -ხუთი] და *como cinco y dos son siete* [როგორც, ხუთს მივუმატოთ ორი-შვიდი].

ვაანალიზებთ რა ავტორთა მიერ ფრაზეოლოგიური ერთეულის სტილისტიკურ გამოყენებას, შევნიშნეთ, რომ ავტორები მათ იღებენ არსებული ფრაზეოლოგიური სისტემიდანაც და სიტყვის თავისუფალ ხმარებასაც, ანუ ტრანსფორმაციასაც მიმართავენ.

### 3.3. წინადადებათა ტიპები ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებით

წინადადება დამოუკიდებელი ერთეულია და გაბმულ მეტყველებაში, ჩვეულებრივ, ნაწილია ნათქვამისა. იგი აზრობრივად სხვა წინადადებებთან არის დაკავშირებული და ამიტომ ზოგი რამ ცალკე აღებული, წინადადების მიხედვით, შეიძლება არ იყოს ნათელი. ზოგი წინადადება სრულად გამოხატავს აზრს, ხოლო ზოგი - მომდევნო წინადადებაში აღნიშნულ მოქმედებას პირველი წინადადებით ხსნის, ან პირიქით, ბოლო წინადადების მიხედვით ხდება წინმდგომი წინადადება გასაგები.

აგებულების მიხედვით ქართულში გვაქვს სამი ტიპის წინადადება: მარტივი, შერწყმული და რთული.

მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ ქართული ენის მხატვრულ დისკურსში სამივე ტიპის წინადადებებში გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების გამოყენების მაგალითები, უმეტესად კი – რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში.

#### 1. მარტივ წინადადებაში:

ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით (ს. მგალობლიშვილი).

#### 2. შერწყმულ წინადადებაში:

„ჯოკია აქებდა მის სიბრძნეს, დიდსულოვნებას, გულუხვობას, ზნეობრივ სისპეტაკეს, ერთი სიტყვით, მეშვიდე ცაში აჰყავდა იგი“ (კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცება“).

#### 3. რთულ წინადადებებში:

„თოვლი მოვიდა და ბავშვები ერთ ამბავში არიან“ (ილია ჭავჭავაძე).

„ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოედო“ (აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“).

აგებულების მიხედვით რუსულ ენაში წინადადება არის: მარტივი (გავრცობილი, გაუვრცობელი), რთული (თანწყობილი, ქვეწყობილი).

შედგენილობის მიხედვით რუსული მარტივი წინადადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გავრცობილი; გართულებული ან გაურთულებელი. რუსულ ენაში, გავრცობილ მარტივ წინადადებებში, უფრო ხშირად იხმარება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, ვიდრე გაუვრცობელ წინადადებებში:

#### 1. «Одному нравится арбуз, другому – свиной хрящик.» (Салтыков. За рубежом, 3)

„ერთი ალთას, მეორე ბალთას“

2. «Что грех таить, одного помету» (Фонвизин. Недоросль, 33).

„ცოდვა გამხელილი ჯობს, ერთი ფერისანი არიან“.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ენაშიც, ყველაზე ბევრი მაგალითი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით, შეგვხვდა რთულ თანწყობილ წინადადებებში.

რუსული ენის მხატვრულ დისკურსში შეგვხვდა ბევრი მაგალითი, სადაც ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებია გამოყენებული რთულ თანწყობილ წინადადებებში, რომლებშიც მარტივი წინადადებები უკავშირდებიან ერთმანეთს მაერთებელი კავშირებით:

«Видишь ли, Никита Романыч: хорошо стоять за правду, да один в поле не воевода» (А.Толстой.Кн.Серебряный,172).

„ნუ, ნიკიტა რომანიჩ: კარგია სიმართლის მხარეს ყოფნა, მაგრამ ერთი მეომარი მხედართმთავარი არ არის“.

«Будь ты хоть семи пядей во лбу, а учись, учись с азбуки» (Тургенев.Дым.14).

„გინდ ძალიან ჭკვიანი იყავი, მაგრამ ისწავლე, ისწავლე ანბანიდან“.

«Когда кто меж своими супругами присматривает одного мятежника и заговорщика, то вскоре такого надо отослать, ибо от одной овцы паршивой все стадо пострадать может» (Мельников. В лесах. 3,5).

„როდესაც მეუღლეებს შორის ვინმე შენიშნავს ერთ ბუნტის თავს ან მემამბოხეს, ის მაშინვე უნდა გადასახლდეს, რადგან ერთ წუნკლიან თავგს მთელი ქვევრის წაბილწვა შეუძლია“.

რაც შეეხება რთულ ქვეწყობილ წინადადებებს რუსულ ენაში, ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებით, გვხვდება ისეთი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მთავარ წინადადებებს უერთდებიან მაქვემდებარებელი კავშირებით. მაგალითად:

«Если мы его в живых оставим, то он первый на нас доказчик. Все равно говорит, что одного убить, что двух – семь бед – один ответ» (А.П.Чехов. Степь.6).

ესპანურ ენაში წინადადება აგებულია მისხედვით, არის მარტივი, რომელიც შეიძლება იყოს გავრცობილი ან გაუვრცობელი; რთული, რომელიც შეიძლება იყოს რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი და ასევე რთული უკავშირო.

კვლევამ ცხადყო, რომ ესპანური ენის მხატვრულ დისკურსში მოიპოვება როგორც მარტივი, ასევე რთული წინადადებების ნიმუშები ნუმერაციული



ფრაზეოლოგიზმებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარტივი წინადადებები ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებით მწირი რაოდენობითაა, ხოლო ყველაზე მეტი მაგალითები შეგვხვდა რთული თანწყობილი წინადადებებისა, რომლებშიც გამოყენებულია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები.

რთული თანწყობილი წინადადება ესპანურ ენაში გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-შეკავშირებას. რთული თანწყობილი წინადადებების ნაწილებს მაერთებელი კავშირები აერთებს - y, ni, ya...ya, ora...ora, o, o...o, bien...bien, pero, aunque, sino, antes.

“Oír esto y volverse loco el tío Manolo, fue todo uno. Por milagro no acabó allí mismo con su cuñada” (A.Palacio Valdés.Riverita).

„გაიგო თუ არა ეს, ძია მანოლო შეიშალა ჭკუიდან. კინაღამ იქვე არ მიასაკლავა თავისი რძალი“.

“ – Si me lo sigues negado, no podré contenerme: saldré a la calle, iré a reconvenirle al novio y le diré cuantas son cinco” (J. López-Portillo y Rojos.La parcela).

„- თუ გააგრძელებ უარყოფას,ვერ შევძლებ თავის შეკავებას: გავალ ქუჩაში, წავალ მოსალაპარაკებლად სასიძოსთან და ვეტყვი პირში მთელ სიმართლეს“.

ესპანურ ენაშიც, ჩვეულებრივ, რთული ქვეწყობილი წინადადება გულისხმობს ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებშიც გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ არ არიან თანასწორნი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი - მასზეა დაქვემდებარებული. რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს დაქვემდებარებული კავშირები აერთებს:

1. დროის კავშირები: cuando, después que, apenas, ahora que, desde que, hasta que, así que, luego que, tan pronto como;
2. მიზეზის კავშირები: porque, como, pues que, puesto que, supuesto que, ya que;
3. შედეგობრივი კავშირები: pues, luego, ahora bien, conque, por consiguiente, así que;
4. მიზნობრივი კავშირები: para que, a que, a fin de que;
5. დათმობით კავშირებს შემოჰყავთ დათმობითი წინადადებები რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებში. ასეთ კავშირებს მიეკუთვნება: aunque, a pesar de que, aun cuando, siquiera, bien que, si bien, bueno que ;
6. პირობითი კავშირები: si, supuesto que, ya que, como, dado que, siempre que, con tal que;
7. შედარებითი კავშირები: como, así como, según que, de manera que, como si;

აღსანიშნავია, რომ ესპანურ ენაში, მაქვემდებარებელი კავშირების გარდა, რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, მათი ფუნქცია შეიძლება შეასრულონ ჩვენებითმა ნაცვალსახელებმა (**que, quien, cual, cuyo**) ან ზმნიზედებმა (**donde, cuanto, cuando**).

### მაგალითები:

“Oiga: ¿no sobra también toda esa plaga de curas y frailes y majos, que no dan una en todo el día?” (J.R.Gamecho.La ultima encrucijada).

„მისმინეთ: ვერ იტყვით, რა სარგებელია ამდენი მღვდლებისაგან, ბერებისაგან და მონაზონებისაგან, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში თითოაც კი არ ატოკებენ?“

“Por eso es que el obrero vive permanentemente al tres y al cuatro, porque de su sacrificio, de su tragedia depende que el capitalista aumente sus ganancias” (L.González Zenteno.Los pampinos).

„სწორად ამის გამო მუშა ცხოვრობს დატაკად იმიტომ, რომ მის უბედურებაზე, ტრაგედიაზე დამოკიდებულია კაპიტალისტის გამდიდრება.“

ანალიზურმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართული, რუსული და ესპანური წინადადებების სტრუქტურა, რომლებშიც გამოყენებულია ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, მხატვრულ დისკურსში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. თუ ქართულ ტექსტებში უმთავრესად ვხვდებით შერწყმული და რთული წინადადებების მაგალითებს, რუსულ და ესპანურ ენებში უმთავრესად რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები გვხვდება, თუმცა, დასტურდება მარტივი წინადადებების მაგალითებიც.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენისაგან განსხვავებით, რუსულ და ესპანურ ენებში არ გამოიყოფა შერწყმული წინადადება. აგებულების მიხედვით, ამ ენებში გამოიყოფა მარტივი და რთული წინადადებები, ამიტომ შერწყმული წინადადებების მაგალითები მათში არ მოიპოვება.

ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები ამდიდრებენ ტექსტს. მათი მეშვეობით ტექსტი იძენს ემოციურ ელფერს. ისინი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციის მატარებელნი არიან. შეიძლება ითქვას, რომ ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აშკარაა, რომ ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებენ, ფუნქციონირებენ რა რეპლიკების სახით დიალოგურ დისკურსში. მყარ ნუმერაციულ გამონათქვამთა ნაწილი ერთმნიშვნელოვნად გადმოსცემს ინტენციებს, მაგალითად, გაფრთხილებას, თანხმობის

ან უარის წინასწარ შეტყობინებას; ამასთანავე, ისინი ამას გადმოსცემენ ფიქსირებულად და გამოიყენებიან ერთტიპობრივ კომუნიკაციურ სიტუაციებში, სხვა ინტერპრეტაციის დაშვების გარეშე. ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება ნუმერაციულ მყარ გამონათქვამებს - სამეტყველო ფორმულებით.

ნუმერაციულ მყარ გამონათქვამთა მეორე ნაწილი, ფუნქციონირებენ რა როგორც სამეტყველო აქტები, კომუნიკაციურ-პრაგმატულ სიტუაციათა მიხედვით, გადმოსცემენ სხვადასხვა ინტენციონალურ მიზანდასახულობას, მათ გარეშე (ამ სიტუაციათა) კი - გვაწვდიან სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რაც ართულებს მათ განმარტებას არა მარტო საკვლევი ენების კარგად მცოდნე ადამიანების მიერ, არამედ ზოგჯერ - ენის მატარებელთა მიერაც. როგორც ანალიზმა აჩვენა, ნუმერაციული მყარი გამონათქვამებისათვის, ინტენციებს შორის, ყველაზე მეტად დამახასიათებელია განზრახვები. ნუმერაციულ მყარ გამონათქვამს ასერციული სამეტყველო აქტის ფორმაც რომ ჰქონდეს, მაინც ის, უმეტესად, გადმოსცემს დირექტიულ ინტენციებს, ვუაღირებულად იმპლიციტური ფორმით.

ანალიზის შედეგად, შეგვიძლია, აღვნიშნოთ ნუმერაციულ მყარ გამონათქვამთა ფართო დიაპაზონი წამქეზებლობის (შემაგულიანებლობის) სხვადასხვა ელფერით გამოვლენის მხრივ, კერძო შემთხვევებში კი - ეს ვლინდება ერთი ლექსიკურ-გრამატიკული ფორმით. ეს გამონათქვამები სამეტყველო აქტებად იქცევიან მეტყველებაში, გადმოსცემენ სხვადასხვა ილოკუციური ძალის მნიშვნელობებს, მოვალეობასთან დაკავშირებული დარიგებებითა და გაფრთხილების მიზნით სასურველი რჩევებით.

## ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომში „ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით)“ შესწავლილია რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა, სემანტიკა და მათი ფუნქციონირება მხატვრულ დისკურსში. კვლევამ ცხადყო:

I. ფრაზეოლოგიური უნივერსალები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში:

- ნუმერაციული (რიცხვის შემცველი) ფრაზეოლოგიზმები;
- დადებითი და უარყოფითი სემანტიკის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები;
- ფრაზეოლოგიური ერთეულების სინონიმია, ანტონიმია;
- რიცხვების სიმბოლიკა;
- ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ფუნქცია მხატვრულ დისკურსში.

II. საანალიზო ენებში რიცხვითი სახელის ნუმერაციათა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს ახასიათებს, როგორც მსგავსება (იზომორფიზმები), ასევე განსხვავება (ალომორფიზმები).

1. იზომორფიზმები:

- სამივე ენაში აღინიშნება რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები;
- სამივე ენაში გვაქვს მარტივი და რთული რიცხვითი სახელები;
- რუსული და ესპანური ენის რიცხვით სახელებს ახასიათებთ სქესის გრამატიკული კატეგორია.

2. ალომორფიზმები:

- ქართულ და ესპანურ ენებში არ გვაქვს - შეკრებითი რიცხვითი სახელი, ის წარმოდგენილია მხოლოდ რუსულ ენაში; ასევე, გაორმაგებული რიცხვითი სახელი არის ესპანურ ენაში, მაგრამ არ არის ქართულ და რუსულ ენებში;
- ქართულ ენაში მარტივია 12 რიცხვითი სახელი (1,2,3,4,5,6,7,8,9,10, 20, 100 ) ყველა დანარჩენი რთულია;
- რუსულ ენაში მარტივია : 1-10; 11-20, 30;

რთულია - восемьсот, семьдесят и т.д

შედგენილია-восемьсот тридцать один, шестьсот двадцать один и т.д

- შედგენილი რიცხვითი სახელები დამახასიათებელია მხოლოდ რუსული ენისათვის.
- ქართულ ენას არ გააჩნია სქესის კატეგორია.

III. 7 ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში დადასტურებული 706 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულის გაანალიზებისა და ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- ❖ ქართულ ენაში 238 ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულია (ნფე); რუსულ ენაში - 247, ხოლო ესპანურ ენაში - 221.
- ❖ სამივე ენაში არსებული ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება ის ერთეულები, რომელთა შემადგენლობაშიცაა რიცხვები: „ერთი“, „პირველი“, „ორი“, „მეორე“, „შვიდი“, „ცხრა“ ;
- ❖ ქართული, რუსული და ესპანური ენების ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურაში ძირითადად მარტივი რიცხვითი სახელები შედიან; ქართულ ენაში 88% -ია მარტივი რიცხვითსახელიანი ფუძით; რუსულ ენაში 87%; ესპანურ ენაში – 85%;
- ❖ საანალიზო ენებში მარტივფუძიანი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების გარდა, აღინიშნება ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოქმნილი და რთული რიცხვითსახელიანი ფუძეებითაც: ქართულ ენაში - 12%; რუსულ ენაში - 8%. ესპანურ ენაში- 15%.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენისათვის ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია შემადგენელი რიცხვითი სახელების გამოყოფა ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურაში. მაგალითად:

Двадцать четыре часа (Молотков 1999:92); у бабы семьдесят две увертки в день (Мокиенко 2007:467); пока баба с печи летит семьдесят семь дум передумает (Мокиенко 2007:469).

- ❖ აღმოჩნდა, რომ სამივე ენაში ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურებში შედის რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები.
- ❖ ქართული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, რუსულ ენაში, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში გვხვდება შეკრებითი რიცხვითი

სახელები, რაც ახასიათებს მხოლოდ ამ ტიპის სტრუქტურას; მაგალითად: семеро одного не ждут (Мокиенко 2007:589); двое пашут, семеро руками машут (Мокиенко 2007:199).

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ დანაწევრებადი რიცხვითი სახელები საანალიზო ენების ნუმერაციულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში არ დასტურდება.

- ❖ ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში გვხვდება ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შემადგენლობაში შედის ორი და მეტი რიცხვითი სახელი.

#### IV. სახელური იდიომების კვლევამ ცხადყო:

მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელური იდიომების უმრავლესობა არ იზღუდება გრამატიკული რიცხვით. შესაბამისად, სახელური იდიომები გვხვდება როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითშიც. ნართანიანი მრავლობითის ფორმები, როგორც წესი, სახელურ იდიომებს არ ახასიათებთ.

- ქართული, რუსული და ესპანური ენების სახელური იდიომები განსხვავდებიან სტრუქტურული შემადგენლობით. ქართულ ენაში არ გვხვდება მაგალითები, რომელთა სტრუქტურაშიც წინდებული და არტიკლია, რადგან ქართულ ენას არ ახასიათებს ამგვარი რამ. ქართულისაგან განსხვავებით, რუსულ ენაში გავრცობილია სახელური იდიომები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის წინდებული, ხოლო არ გვაქვს მაგალითები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის არტიკლი, რადგან რუსული ენის სტრუქტურას არ ახასიათებს ამგვარი წყობა და, როგორც ქართულში, აქაც არტიკლის კატეგორია არ გამოიყოფა. ესპანურ ენაში, ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, სახელური იდიომების შემადგენლობაში შედის არტიკლი, აგრეთვე, როგორც რუსულ ენაში, სახელური იდიომების სტრუქტურაში შედის წინდებული.
- თუ ქართულ ენაში უმეტესად გვხვდება ორკომპონენტიანი სახელური იდიომები ნუმერაციული კომპონენტით, რუსულ და ესპანურ ენას ახასიათებს სამ და ოთხ კომპონენტიანი სახელური იდიომების სიმრავლე; ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია თვითონ საკვლევი ენების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე.

- საანალიზო ენებში გვხვდება ექვს, ცხრა, თორმეტ და თექვსმეტ კომპონენტისანი ფრაზეოლოგიური ერთეულები, თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე უკვე იდიომებთან კი არ გვაქვს, არამედ ანდაზებთან და ფრთიან თქმებთან.

#### V. ზმნური იდიომების კვლევამ ცხადყო:

მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, ზმნური იდიომების ტრანსფორმაციული ცვლილებების ერთ-ერთ პირობას ზმნური კომპონენტის გარდამავლობა ან გარადაუვალობა წარმოადგენს. ქართულში ზმნური კომპონენტის გარდამავლობას უკავშირდება: ა).ზმნის პოლიპერსონალიზმი, ბ).ერგატიული კონსტრუქციის შესაძლებლობა II სერიის ფორმებთან, გ).კონვერსია და დ).ინვერსია. კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისას განსაზღვრული იყო ზმნური იდიომების რამდენიმე შემზღუდველი, რომელიც განაპირობებს ზმნური კომპონენტის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას იდიომის ფარგლებში, ესენია: ქცევა, ასპექტი, დრო. ბუნებრივია, რომ ბოლომდე გაქვავებული ერთეულები ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იდიომების უმეტესობა კი სხვადასხვა სახისა და დონის ტრანსფორმაციებს ექვემდებარება და, შესაბამისად, არ იფარგლება ამა თუ იმ კონკრეტული სერიისა თუ მწკრივის ფორმებით. ქართულ ენაში, სინტაქსური თვალსაზრისით, შეზღუდვები სუბიექტისა და პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ასახვაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენპირიანია ესა თუ ის ზმნა და იდიომის ზმნური კომპონენტი მართავს მათ არა მხოლოდ იდიომის, არამედ მთელი წინადადების ფარგლებში.

- რუსულ და ესპანურ ენებში ორკომპონენტისანი სტრუქტურის მქონე ზმნური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები არ დასტურდება. ქართულში კი ამ სტრუქტურის მქონე ზმნური ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები საკმაოდ პროდუქტიულია. რუსული და ესპანური ენებისათვის სამ/ოთხკომპონენტისანი სტრუქტურის მქონე ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები პროდუქტიულია. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია ენების სტრუქტურის თავისებურებებთან.
- ზემოთ დასახელებულ ენებში ნუმერაციების ადგილი ფრაზეოლოგიზმებში სხვადასხვანაირია. ქართული ენა გამოირჩევა ნუმერაციების განლაგების მკაცრი წესით. რუსული და ესპანური, ქართულთან შედარებით, ამ მხრივ თავისუფალი

წყობის ენებია და ნუმერაციები გვხვდება, როგორც ფრაზეოლოგიზმების თავში, ასევე შუაში და ბოლოში.

**VI. ნუმერაციული (რიცხვითი) კომპონენტის ტრანსფორმაციები ფრაზეოლოგიზმებში:**

- რიცხვითი სახელები ასახავენ იმ მყარ გამონათქვამთა პროტოტიპურ ნიშნებს, რომელთა კომპონენტებსაც თვითონ წარმოადგენენ და ქმნიან ნუმერაციულ ჯგუფებს განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენების ფრაზეოლოგიურ და პარემიოლოგიურ ფონდში;
- განსხვავებული სტრუქტურის მქონე ქართული, რუსული და ესპანური ენების მყარ გამონათქვამთა შემადგენლობაში რიცხვითი სახელები განიცდიან ხარისხობრივ სემანტიკურ ცვლილებებს; ისინი ნაწილობრივ კარგავენ თავიანთ პირდაპირ ლექსიკურ რაოდენობრივ მნიშვნელობას და გამოიყენებიან იმ იდეათა ინტენსიფიკატორებად, რომლებიც ჩადებულია ამ მყარ გამონათქვამებში;
- უმრავლეს შემთხვევაში რიცხვითი სახელები წარმოადგენენ მყარ გამონათქვამთა აუცილებელ კომპონენტს. საანალიზო ენებში **ერთი/პირველი**, როგორც მყარ გამონათქვამთა კომპონენტები, გადმოსცემენ რაოდენობის პირდაპირ მნიშვნელობას, ასევე, იმ სიმბოლურ მნიშვნელობებს, რომლებიც უკავშირდება მოქმედების, მოვლენის, პროცესის სისწრაფის, განუსაზღვრელად მცირე რაოდენობის, განუსაზღვრელად შორი ან ახლო დაშორების იდეებს. გარდა ამისა, რიცხვითი სახელის **ერთი/პირველის** არსებითი როლი მდგომარეობს იმაში, რომ, გამოხატავს რა ზემოჩამოთვლილ ყველა მნიშვნელობას, იგი ჰიპერბოლიზებს მათ და წარმოადგენს მათ ინტენსიფიკატორს. ლექსემები **ერთი/პირველი** ასახავენ იმ მყარ გამონათქვამთა პროტოტიპულ ნიშნებს, რომელთა კომპონენტებსაც თვითონ წარმოადგენენ.
- **„ორი“** (და მისგან წარმოებულნი) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში, ასევე გამოხატავს რაოდენობრივ და არარაოდენობრივ, სიმბოლურ მნიშვნელობებს. რიცხვით სახელებს - **ორი/მეორე/ორივე**, ფრაზეოლოგიზმებში უნარი აქვთ განახორციელონ დიდი და პატარა რაოდენობის, ასევე, უპირატესობის, ერთზე მეტობის, სისწრაფის, წამიერების, სიმოკლის, იგივეობის, მთლიანობის მნიშვნელობები, ასევე, შეუთავსებლობის, რთული მდგომარეობის



მნიშვნელობები, ზედმეტობისა და არასაჭიროების იდეები. ეს უკავშირდება მოცემული რიცხვის დიალექტიკურობას: ორი ნაწილისაგან შემდგარი მთლიანის ჰარმონიულობას, ასევე, ერთი ელემენტის უკმარისობას მთლიანობის მისაღწევად. ოპოზიციაში 'ნორმა - ანომალია', რიცხვითი სახელი ამბივალენტურია. რიცხვითი სახელები **ორი/მეორე/ორივე** ასევე ხშირად წარმოადგენენ ინტენსიფიკატორებს.

- ქართულ და რუსულ ენებში რიცხვითი სახელი „ექვსი“ არ მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში, ხოლო ესპანურ ენაში დასტურდება რამდენიმე ერთეული.
- აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაში, რიცხვითი სახელის - **შვიდის** - სემანტიკური სპექტრი გამოირჩევა ყველაზე მეტი მრავალფეროვნებით, სხვა რიცხვით სახელებთან შედარებით. თუ რიცხვ „შვიდის“ ხარისხობრივი სემანტიკის განვითარების საბაზო იდეად მივიჩნევთ მის საკრალურობას, ამჟამად ენისათვის უფრო აქტუალურია სიმრავლის (რაოდენობის) „გამარტივებული“ იდეა. მთავარი აზრი, რაც წარმოიშობა „შვიდის“, როგორც სიმრავლის იდეიდან, არის ინტენსიურობა;
- კვლევამ გვიჩვენა, რომ არცერთ საკვლევ ენაში რიცხვითი სახელი „რვა“ არ არის პროდუქტიული. რიცხვითი სახელი „რვა“ არ შედის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში არცერთ საანალიზო ენაში.
- ქართული ენისათვის რიცხვითი სახელი „ცხრა“ წარმოადგენს სიმრავლის, დიდი დაშორებისა და არარეალური მნიშვნელობის ინტენსიფიკატორს. კვლევამ აჩვენა, რომ რუსულ და ესპანურ ენებში, რიცხვითი სახელი „ცხრა“ - არაპროდუქტიულია.
- რიცხვითი სახელი „ასი“, ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში წარმოადგენს განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის მაჩვენებელს; ამიტომაც ასეთ მნიშვნელობიანი ინტენსიფიკატორი ძალზე ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენილ ენათა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.
- როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტები, ნუმერაციული ლექსემები განიცდიან სემანტიკის ცვლილებას და იძენენ განზოგადოებულ რაოდენობრივ, ანუ სიმბოლურ მნიშვნელობას. ნორმატიულ/არანორმატიულ ან მცირე/დიდ


რაოდენობაზე წარმოდგენები იქმნება რიცხვობრივი რიგის შეფასებითი გააზრების შედეგად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიმბოლურ მნიშვნელობათა წარმოქმნა აიხსნება მითოპოეტიკური სისტემებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თანამედროვე ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებზე.

- კვლევისას გამოვლინდა, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში რიცხვითი სახელები მონაწილეობენ სომატურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნაში.

VII. ქართული, რუსული, ესპანური ენების ეკვივალენტობის საკითხის შეპირისპირებისას გამოვლინდა:

- ენათაშორისი ეკვივალენტები;
- ნაწილობრივი ეკვივალენტები;
- ანალოგები;
- არაეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

დიაგრამაზე წარმოდგენილია ქართული ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტები რუსულ და ესპანურ ენებზე:



დადგინდა ქართული ენის 110 ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმის ეკვივალენტი რუსულ და ესპანურ ენებზე. სადაც 20% შეადგენს ქართული ენის ეკვივალენტებს რიცხვითი სახელებით რუსულ და ესპანურ ენებზე; 12% შეადგენს რუსული და ესპანური ენების შესატყვისებს სემანტიკური მნიშვნელობით; 9%-ს წარმოადგენს ქართული და რუსული ენების შესატყვისები რიცხვითი სახელით; 4%-ს შეადგენს მხოლოდ ქართული და ესპანური ენების შესატყვისები რიცხვითი სახელით; 2%-ია მხოლოდ რუსული ენის შესატყვისები სემანტიკური მნიშვნელობით; 4%-ს შეადგენს მხოლოდ ესპანური ენის შესატყვისები სემანტიკური მნიშვნელობით.

კვლევამ ცხადყო, რომ ქართული ენის ყველა ფრაზეოლოგიზმს რიცხვითი სახელით ვერ დაეძებნა ეკვივალენტი ნუმერაციული (რიცხვის შემცველი) ფრაზეოლოგიზმით. საკმაოდ დიდი ოდენობა არის მოძიებული სემანტიკური მნიშვნელობით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მოვლენა არის დაკავშირებული ნაციონალურ ფაქტორებთან. ქართველების, რუსების და ესპანელების მსოფლხედველობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც არის მჭიდრო კავშირში ერის კულტურასთან და ისტორიასთან.

**VIII.** მხატვრულ დისკურსში მწერლები უხვად იყენებენ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებს:

- დადებითი ან უარყოფითი გმირის სახის შესაქმნელად;
- გმირის შინაგანი განცდების გადმოსაცემად;
- გმირისთვის დამახასიათებელი თვისებების გამოსახატად;
- იმისათვის, რომ ტექსტს მინიჭონ ხატოვანება.

**IX.** კვლევამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო საერთო ფრაზეოლოგიური ფონდის ინდივიდუალურ-მხატვრული დამუშავებისა და გამოყენების ძირითადი ხერხები, კერძოდ, ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმთა მასალაზე:

- განსაზღვრული მხატვრული მიზნებით, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უცვლელად გამოყენებისას, ისინი შედიან საავტორო მეტყველებაში, როგორც ერთ-ერთი ისეთი საშუალება, რომელიც მეტყველებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, მხატვრულს, გამომხატველობითს, ხოლო პერსონაჟთა მეტყველებაში კი წარმოგვიდგებიან, როგორც ენობრივ-სტილისტიკური ერთ-ერთი მახასიათებელი საშუალება;
- ხშირია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკურ-გრამატიკული მხარის განახლება, მათ სტრუქტურათა ძირითადი ნიშნების სემანტიკის შენარჩუნებით; განახლება ხდება ახალი სიტყვის დამატებით ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში;
- მწერლები იყენებენ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებს მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟთა დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების გამოსახატად;

- სტილისტიკური ეფექტის შექმნისათვის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულის გამოყენება, რომელიც ერთდროულად გაიგება, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულიც და სიტყვათა თავისუფალი შეერთებაც;
- განსაკუთრებული მხატვრული გამომსახველობისათვის ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეულის ზოგადი ხატი ან შინაარსი;
- ერთი და იმავე სიტყვების ან ომონიმური სიტყვების მქონე ორი ფრაზეოლოგიური ერთეულის შერევა ან გაერთიანება გვხვდება სინონიმებიანი და ანტონიმებიანი ფრაზეოლოგიზმების სახით.
- აღმოჩნდა, რომ ქართული ენის მხატვრულ ტექსტებში, მწერლები ხშირად იყენებენ: მარტივ და შერწყმულ წინადადებებს, მაგრამ შეინიშნება ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების გამოყენება პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წინადადებებშიც. რუსული ენის მხატვრულ ტექსტებში შევნიშნეთ ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულების შემცველ ყველა ტიპის წინადადებათა გამოყენება; თუმცა, ყველაზე მეტად გავრცელებულია რთული წინადადება. ესპანური ენის მხატვრულ ტექსტებში გამოვლინდა წინადადებათა ყველა ტიპის გამოყენება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებიან მარტივ წინადადებათა ნიმუშები ძალიან მცირე რაოდენობითაა; **ესპანურ ენაში** ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმებით ყველაზე ხშირად დასტურდება რთული წინადადებები, კერძოდ, რთული თანწყობილი წინადადებები.

**X.** აღსანიშნავია, რომ საკვლევი ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წინადადებათა ტიპების აგების მხრივაც:

- რუსულ და ესპანურ ენებში ცალკე არ გამოიყოფა შერწყმული წინადადება, ქართულ ენაში კი გამოიყოფა. მაშასადამე, რუსულ და ესპანურ ენებში, აგებულების მიხედვით, გამოყოფენ მარტივ და რთულ წინადადებებს; ქართულ ენაში კი - მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებს. ამიტომაც, ქართული ენისაგან განსხვავებით, რუსულ და ესპანურ ენებში არ გვხვდება მსგავსი ნიმუშები.

მხატვრულ დისკურსში პერსონაჟთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებები და იმ ემპირიული მასალის ანალიზი, რომელიც მიღებულია ლინგვისტური კონსტრუირების მეთოდით, ჩვენი აზრით, უკუაგდებს ჩვეულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ

უნივერსალური გამონათქვამები - აფორიზმები და ანდაზები თვითკმარები და ტექსტიდან დამოუკიდებელი არიან.

კომუნიკაციურ სიტუაციებში ნუმერაციულ მყარ გამონათქვამთა ფუნქციონირების ანალიზის შედეგად, ნათელი გახდა, რომ მათ (ნუმერაციულ მყარ გამონათქვამებს) აქვთ უნარი იმ სამეტყველო აქტთა ფორმირებისა, რომლებიც შეიცავენ მოლაპარაკეთა მრავალ ინტენციას; ზოგი მათგანი იქცევა ისეთ სამეტყველო ფორმულებად, რომლებიც ფუნქციონირებენ მინიმალური დიალოგური ერთეულის ფარგლებში. ეს სამეტყველო ფორმულები გადმოსცემენ შემფასებლურ ინტენციებს, წუხილის, ჩივილის, გულგრილობისა და სხვ. გამონათქვამებს. ნუმერაციული მყარი გამონათქვამები, ასევე, შეიძლება იქცნენ: განსჯის, უთანხმოების, კამათის, დავის, აკრძალვისა და ა. შ. გამომხატველ ფორმულებად.

ნუმერაციული მყარი გამონათქვამები - სამეტყველო ფორმულები ასრულებენ დისკურსიულ ფუნქციას და წარმოადგენენ უშუალო რეაქციებს ადრესატთა რაიმე ქმედებებზე, აზრებსა და საქციელზე. ნუმერაციულ მყარ გამონათქვამთა - სამეტყველო ფორმულათა ილოკუციური ძალა ფიქსირებულია და მოცემულია ამოსავალი (საწყისი) ფორმით სალექსიკონო დეფინიციებში.

## დამოწმებული ლიტერატურა:

1. **აზიანიძე 2011:** აზიანიძე, ზ.სიმბოლოთა ილუსტრაციული ენციკლოპედია. ტ.I თბ. 2011.
2. **აფრიდონიძე 1986:** აფრიდონიძე, შ .იდიომი და იდიომურობა. თბ.1986:73.
3. **ბახტაძე 1992:** ბახტაძე, დ. ფრაზეოლოგიური პრედიკაციის პრობლემები. ქუთაისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, 1992.
4. **ბახტაძე 2010:** ბახტაძე, დ. ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2010:12-14.
5. **გამრეკელი 1956:** გამრეკელი, დ., მგალობლიშვილი, ე. რუსულ-ქართული იდიომატიკა. თბილისი: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამომცემლობა, 1956.
6. **გამყრელიძე 2003:** გამყრელიძე თ., და კიკნაძე ზ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები, თავი 7: 399-432. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. **გამყრელიძე 2008:** გამყრელიძე, თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
8. **გვენცაძე 1972:** გვენცაძე, ა. ქართული ენის რიცხვითი სახელი. თბ.,1972
9. **გვენცაძე 1974:** გვენცაძე, ალ. ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1974.
10. **დარასელია 2010:** დარასელია, ნ. დიალოგური მეტყველების ზოგიერთი ერთეულის ლინგვისტური სტატუსის საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 10: 12-19. თბილისი: ქართული ენა, 2010.
11. **ენციკლოპედია 2008:** ენციკლოპედია. ქართული ენა, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი: ეროვნული მწერლობა., 2008.
12. **თაყაიშვილი 1961:** თაყაიშვილი, ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961:22.
13. **კვაჭაძე 1996:** კვაჭაძე, ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: რუბიკონი, 1996:174.
